საქართველოში უსაფრთხოების გარანტიებს მოითხოვენ A4

პაპი ბუშთან კიდევ ერთ დესპანს აგზავნის A5

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 3 მარტი, 2003 წელი. №60 (272)

ფასი 50 თეთრი

# მიიღებს თუ არა სახელმწიფო მინისტრი "წასვლის გადაწყვეტილებას"

ბადრი კოპლატაძე

*სამთავრობო კრიზისმა აპოგეას მიაღწია. პარლამენტის გადაწყვეტილებამ მინიმალური ხელფასის გაზრდის შესახებ, სახელმწიფო მინისტრი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო. ამ პოსტზე, თითქმის წელიწადნახევრიანი მოღვაწეობის შემდეგ, ავთანდილ ჯორბენაძე გადაყენების ან, უკეთეს შემთხვევაში, გადადგომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.*

2001 წლის სტუდენტური გამოსვლების შემდეგ ხელისუფლებაში ერთგვარი ვაკუუმი შეიქმნა. პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც მანამდე მთავრობის შიგნიდან ცდილობდნენ სიტუაციის შეცვლას, ოპოზიციაში გადაინაცვლეს, მთავრობა დატოვეს ასევე "რკინის კაცებად" ცნობილმა ძალოვანმა მინისტრებმაც. ეს სიტუაცია შევარდნაძეს აქტიური ქმედებებისაკენ უბიძგებდა. სასწრაფოდ უნდა მოძებნილიყო ის ადამიანი, რომელიც უმოკლეს ვადებში შეძლებდა პრეზიდენტის მიმოფანტული მომხრეების კონსოლიდაციას და ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორებას თუ არა, სტაბილიზებას მაინც. გარდა ამისა, მოამზადებდა მომავალ არჩევნებში სახელისუფლო ძალების წარმატებით გამოსვლის საფუძველს. ამ ამოცანისათვის თავის გართმევა მაშინდელ ჯანდაცვის მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს დაევალა. მისი თავდაპირველი აქტიური ქმედებები ნათლად მიუთითებდა, რომ ჯორბენაძე სულაც არ აპირებდა იმ გარდამავალი ფიგურის როლის თამაშს, რომელიც შავი სამუშაოს დასრულების შემდეგ, ადგილს სხვას დაუთმობდა. მაგრამ, პოლიტიკურ ამბიციას ზურგს ყოველთვის პოლიტიკური შესაძლებლობები უნდა უმაგრებდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე



ავთანდილ ჯორბენაძე

## საშიში ტენდენცია – პარლამენტი ადგენს, მთავრობა უგულებელყოფს

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს პარლამენტის მიერ პარასკევს მიღებული კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ, იმთავითვე გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების თავსატეხი. კომენტარები ცხადყოფს, რომ პრეზიდენტი და მთავრობა არ აპირებენ მინიმალური ხელფასის გათანაბრებას საარსებო მინიმუმთან. საქართველოში ბოლო პერიოდში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, აღმასრულებლებისთვის პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების უგულებელყოფა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.*

2002 წლის მიწურულს "24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავად 2002 წლის ბიუჯეტის კანონში გაწერილი 12 დავალება და კანონის ხუთი მოთხოვნა არ შეასრულა, რომ არაფერი ვთქვათ თავად ბიუჯეტის პარამეტრების შესრულებაზე.

დღეს შემოგთავაზებთ საქართველოს პარლამენტის იმ დადგენილებების ნუსხას, რომელთა შესრულება საქართველოს მთავრობას ევალებოდა, თუმცა, ამას მისთვის არ შეუშლია ხელი, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რადიკალურად საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებიც კი მიეღო.

ასეთი გადაწყვეტილების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელება. ამის თაობაზე პარლამენტმა ჯერ კიდევ გასული წლის 26 აგვისტოს მიიღო დადგენილება "რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით" და ამ დადგენილების პირველი პუნქტით, აღმასრულებელ ხელისუფლებას დაევალა განესაზღვროს რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადები და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა მათ შესასრულებლად.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „რკინის კაცი" პანკისის ხეობაზე ალაპარაკდა

*შს ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძე პანკისის ხეობაზე ალაპარაკდა. "რკინის კაცი", რომელიც პანკისის პრობლემის შექმნის ავტორადაა მიჩნეული, ხეობის გასუფთავებას ამჟამინდელ ძალოვან მინისტრთა ნამუშევრად სულაც არ მიიჩნევს.*

*"გასული წლის ზაფხულისათვის, ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული სპეცღონისძიებების დაწყების წინ, ხეობა ბოევიკების დიდი ნაწილისაგან უკვე გაწმენდილი იყო. ამ დროისათვის, ხეობა, ბოევიკების 90 პროცენტს უკვე დატოვებული ჰქონდა," – სააგენტო "პრაიმ-ნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა კახა თარგამაძემ.*

ინგა ალავიძე

მისი მტკიცებით, ხეობის გასუფთავების პროცესები ჯერ კიდევ მისი შს მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში განხორციელდა, უშიშროების მაშინდელი მინისტრის ვახტანგ ქუთათელაძისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფის ავთანდილ იოსელიანის ოპერატიული მუშაობის შედეგად, რომელთაც, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, თარგამაძის ხელძღვანელობით შსს-ც ეხმარებოდა.

**"შს სამინისტრო იმ პერიოდში კატეგორიულად ერიდებოდა ჩეჩნებთან ურთიერთობას, რადგან ხეობაში შინაგანი ჯარების შეყვანის შემთხვევაში, საქართველო დიდ კავკასიურ ომში იქნებოდა ჩათრეული,"** - აცხადებს პანკისის ხეობის შესახებ თარგამაძე.

გაგრძელება A7 გვერდზე

## თურქეთი ამერიკული ჯარების შეშვებაზე უარს ამბობს

რევაზ ბახტაძე

1 მარტს თურქეთის პარლამენტმა ბუშის ადმინისტრაციის გეგმებს ცივი წყალი გადაასხა და ათიათასობით ამერიკელ ჯარისკაცს ქვეყნის ბაზების გამოყენების უფლება არ მისცა, ერაყის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში ჩრდილოეთის ფრონტის გასახსნელად.

მმართველი "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიამ, რომელიც შეერთებული შტატების ჯარების თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებას ეთანხმება, შესაძლოა, სამშაბათს საკითხი კიდევ ერთხელ დააყენოს კენჭისყრაზე. თუმცა, რეზოლუციის პირველ ჯერზე ჩავარდნა, იმის მიუხედავად, რომ მის გატანას მხოლოდ სამი ხმა დააკლდა, თავად მთავრობას შეიძლება ძვირად დაუჯდეს. თუ კენჭისყრა ხელმეორედაც ჩავარდება, სავარაუდოდ, მთავრობა გადადგება.

პარლამენტში რეზოლუციას ხმა მისცა 264 დეპუტატმა, 250 წინააღმდეგი წავიდა, ხოლო 19-მა თავი შეიკავა. პარლამენტის სპიკერმა ბულენთ არინკმა განაცხადა, რომ ხმები საკმარისი არ იყო და სასწრაფოდ დახურა სხდომა.

კენჭისყრის შემდეგ, თურქეთის შეშფოთებულმა პრემიერ-მინისტრმა აბდულა გულმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მინისტრები და პარტიის ლიდერები "სიტუაციას შეაფასებენ". თუმცა, დანამდვილებით ვერ თქვა, დაინიშნება მეორე კენჭისყრა, თუ - არა. "ჩვენ ყველამ პატივი უნდა ვცეთ პარლამენტის გადაწყვეტილებას. ეს დემოკრატიის მოთხოვნაა", - აღნიშნა მან. "ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც საჭიროა. მთავრობის არც ერთ წევრს ეჭვი არ ეპარება, რომ ახლა კრიტიკული პერიოდია".

მმართველი პარტიის ლიდერმა რეჯებ ერდოგანმა კი პარლამენტის გადაწყვეტილებას "აბსოლუტურად დემოკრატიული უწოდა".

გაგრძელება A5 გვერდზე

## ლისისტრატეს ახალი პროტესტი ერაყის ომის წინააღმდეგ

B2




PHOTO CAPTION: "LYSISTRATA PROJECT DROPS SEX BOMB ON LONDON" CREDIT: NICKY DUNS

REUTERS

## რა დაგვრჩენია ამ გაღატაკებულ საქართველოში?

რუსუდან ნიკურაძე
*საკ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვის "პრეზიდენტ-ოტელი" ორი დღის მანძილზე მასპინძლობდა საერთაშორისო კონფერენციას "ეკონომიკურ სფეროში დსთ-ს რესპუბლიკების ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები".

კონფერენცია მიჰყავდა დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს იური იაროვს და მას ოთხი რესპუბლიკის – უკრაინის, ბელორუსის, ყაზახეთისა და რუსეთის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მთავარი აქცენტი გაკეთდა ამ ქვეყნების სავაჭრო კავშირებზე და საქონლის თავისუფალი მოძრაობის შემაფერხებელი ბარიერების ლიკვიდაციაზე. იური იაროვმა და რუსეთის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვადიმ გუსტოვმა ახლადშექმნილ ეკონომიკურ სივრცეში დაპატიჟეს ყველა მსურველი.

ვადიმ გუსტოვი, რუსეთის ფედერაციათა საბჭოს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე:

**- აუცილებელია დღესვე დავიწყოთ მუშაობა ახალი ეკონომიკური კავშირის თავისუფალი სავაჭრო ზონის სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის შესაქმნელად, რის მერეც ჩვენ ვიფიქრებთ ამ რესპუბლიკებისათვის ხელსაყრელ საბაჟო რეჟიმზეც. წარმოიდგინეთ, როგორ გაადვილდება დსთ-ს ამ რესპუბილკებს შორის ექსპორტ-იმპორტი და მუშახელის თავისუფალი გადაადგილება, როგორი თავისუფალი მანევრის საშუალება მიეცემათ დაინტერესებულ ბიზნესმენებს. მივესალმები, თუკი ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ვიხილავ საქართველოსაც. კარგად ვიცი, რომ ამ ოდღესღაც აყვავებულ რესპუბლიკაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ოცნებობს რუსეთის ბაზარზე თავისუფალი გადაადგილებისა და საკუთარი პროდუქციის გასაღებაზე.**

გაგრძელება A2 გვერდზე

### პოლიტიკა

**სვანებმა დმანისი "აიღეს", 14 აპრილს ისინი თბილისზეც "გამოილაშქრებენ"**

მოსახლეობას უკვე აღარ სჯერა, რომ ხელისუფლებას პენსია-ხელფასების, დასაქმების, კომუნალური თუ სხვა საკითხების გადაჭრა ხელეწიფება. ამიტომ, სოციალ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას ადამიანები უკვე მთავრობის დაუხმარებლად, გვარტომობრივი კავშირების საშუალებით ცდილობენ.

A2

### პოლიტიკა

**არაა საჭირო, საქართველომ თავისი მომავალი იმის მიხედვით განსაზღვროს, რა იქნება რუსეთში**

"24 საათის" სტუმარია დოქტორი ჯოზეფ შეველი, გალილეის კოლეჯის (ისრაელი) პრეზიდენტი

A3

### ეკონომიკა

**საარსებოდ მინიმალური ხელფასი**

მთავრობის მიერ უტოპიად შერაცხული ინიციატივა მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ პარლამენტმა 28 თებერვალს დაამტკიცა. 90 ხმა არც ერთის წინააღმდეგ – ასეთი შედეგით დაასრულეს "დემოკრატებმა" მინიმალური ხელფასის გაზრდისათვის წამოწყებული ბრძოლა.

A4

### უცხოეთი

**ტერაქტის „რეკლამა„ მოსკოვის მეტროში**

როგორც ირკვევა, "მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო მეტროპოლიტენი" დღეს ერთ-ერთი ყველაზე სარისკოა. მოსკოვის სამართალდამცავი ორგანოების ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ტერორისტები მორიგი იერიშის მიტანას დედაქალაქის მეტროპოლიტენზე აპირებენ.

A5

### საზოგადოება

**შეღავათისთვის ცნობის ასაღებად საომარი შემართებაა საჭირო**

ელექტროენერგიაზე შეღავათების აღდგენამ მოსახლეობის გარკვეული კატეგორია ძალზე გაახარა. თუმცა, მოქალაქეთა ნაწილმა ამ შეღავათით სარგებლობა, შეიძლება, წლის ბოლომდეც ვერ მოახერხოს.

A6

### სამართალი

**ამერიკამ ბინ ლადენის მოადგილე დააპატიმრა**

აშშ-ს პრეზიდენტმა სპეცსამსახურების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას ბოლო წლებში ყველაზე წარმატებული ოპერაცია უწოდა. საქმე ისაა, რომ პაკისტანში დააკავეს "ალ-ქაიდას" ერთ-ერთი ლიდერი, ბინ ლადენის მოადგილე, 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზატორი, ხალიდ შეიხ მუჰამედი.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 8 |
| ქუთაისი | 12 |
| ბათუმი | 12 |
| სოხუმი | 12 |
| ფოთი | 13 |
| თელავი | 7 |
| ზუგდიდი | 14 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1751 |
| ევრო | 2.3443 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4371 |
| რუბლი | 0.0688 |

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** ფრაქცია "სოციალისტის" წევრის, საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებით შექმნილი საპარლამენტო ქვეკომისიის წარმომადგენლის ზაქარია ქუცნაშვილის პროგნოზით, მომავალი საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს, მიმდინარე წლის 2 ნოემბერს გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში 7 პროცენტიან ბარიერს აუცილებლად გადალახავს "მოქალაქეთა კავშირი" და "აღორძინება".

ამასთან, როგორც საყვარელიძემ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, "მოქალაქეთა კავშირი" ვერ მიიღებს ისეთივე რაოდენობის მანდატებს როგორც ეს 1995 და 1999 წლის არჩევნებზე მოხდა, როდესაც პარტია უმრავლესობით შევიდა საკანონმდებლო ორგანოში.

საყვარელიძის ვარაუდით, გასულ წელს გამართულ თბილისის საკრებულოს არჩევნებთან შედარებით უფრო შედეგიანი იქნება "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" წარმატება.

"ნაციონალური მოძრაობა -დემოკრატიულ ფრონტს" დიდი რეიტინგი აქვს თბილისში, თუმცა თუ ამ პოლიტიკურ ძალას არ აღმოაჩნდა შესაბამისი მხარდაჭერა რეგიონებში, შესაძლოა არ ეყოს დედაქალაქის ხმები, - თქვა მან.

ამასთან, პოლიტოლოგის აზრით, თუ "გაერთიანებული დემოკრატები" ცალკე გადაწყვეტენ გამოსვლას არჩევნებში, საეჭვოა, რომ ისინი პარლამენტში მოხვდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლო ფრაქციის "ალიანსი ახალი საქართველოსათვის" ლიდერი ირაკლი გოგავა არ გამორიცხავს ფრაქცია "დემოკრატების" მიერ ფრაქცია "აღორძინებისთვის" მიცემული პირობის დარღვევას და უარის თქმას საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზ) შექმნის შესახებ "აღორძინების" მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მხარდაჭერაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლიბერალური პარტიის" ლიდერის რევაზ შავიშვილის აზრით, დიდი ალბათობა არსებობს, რომ შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ ძალადობა ქვეყანაში კიდევ უფრო გამწვავდეს, ამიტომ ნებისმიერი პარტიის მოვალეობაა წინ აღუდგეს ასეთ პროცესებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი თვლის, რომ ამ ეტაპზე, შესაძლებლად არ მიაჩნია კონფლიქტის მოგვარების საკითხებთან დაკავშირებით, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან პირადი შეხვედრა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სფეროში ქართულ-ამერიკული შეთანხმების პარლამენტში რატიფიცირება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკელ სამხედროთათვის შეღავათების მინიჭებას ითვალისწინებს, ქვეყნის ტერიტორიაზე აშშ-ს ბაზების განთავსების წინაპირობას არ წარმოადგენს, - განუცხადა პრაიმ-ნიუსს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ. **პრაიმ-ნიუსი**




# სვანებმა დმანისი "აიღეს", 14 აპრილს ისინი თბილისზეც "გამოილაშქრებენ"

გიორგი ასანიშვილი

*მოსახლეობას უკვე აღარ სჯერა, რომ ხელისუფლებას პენსია-ხელფასების, დასაქმების, კომუნალური თუ სხვა საკითხების გადაჭრა ხელეწიფება. ამიტომ, სოციალ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას ადამიანები უკვე მთავრობის დაუხმარებლად, გვარ-ტომობრივი კავშირების საშუალებით ცდილობენ. ასე რომ, კუთხურ თანადგომას XXI საუკუნის საქართველოში არა თუ ყავლი არ გაუვიდა, არამედ ცალკეული მხარეების მოსახლეობისთვის თვითგადარჩენის ლამის ერთადერთ ფორმად იქცა. გუშინ, დმანისის დრამატული თეატრის გაყინულ დარბაზში, დაახლოებით, ასამდე კაცი სწორედ "ქვეყნის მამების" უპასუხისმგებლობამ და ამით გამოწვეულმა საერთო გაჭირვებამ შეყარა. პარლამენტარების, ზვიად მუკბანიანისა და გოგი ლიპარტელიანის ინიციატივით დაფუძნდა საზოგადოებრივი მოძრაობა "ძლიერი სვანეთი - ერთიანი საქართველოს" რაიონული ორგანიზაცია, რომელიც თავისი საქმიანობის ძირითად მიზნად სვანური წარმოშობის მოსახლეობისთვის დახმარების აღმოჩენას აცხადებს.*

სულო ცოდვილო და, საპარლამენტო არჩევნების მოახლოვების კვალობაზე, ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ ყოველი ახალი ორგანიზაციის დაფუძნება პოლიტიკური მოსაზრებებით არის ნაკარნახევი. თუმცა, ზვიად მუკბანიანი და ახლადჩამოყალიბებული მოძრაობის რეგიონული ლიდერი ერეკლე ვიბლიანი კატეგორიულად უარყოფენ, რომ "ძლერი სვანეთი - ერთიანი საქართველოს" დაფუძნება პოლიტიკური კონიუნქტურიდან მომდინარეობს და კარსმომდგარ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

გუშინ გამართულ დამფუძნებელ შეკრებაზე თითქმის ყველა გამომსვლელი ბეჯითად ამტკიცებდა, რომ მოძრაობის მთელი არსი მთიდან ჩამოსახლებული სვანების სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და კოდორის მოსახლეობის დახმარების გაწევის სურვილში მდგომარეობს.

**"ძალიან დაქსაქსულები და დაშლილები ვართ. თანდათან ხდება იმ მედიატორული სისტემის მოშლა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მთის მოსახლეობის შიდა ურთიერთობებს აწესრიგებდა. სამწუხაროა, რომ სვანური ელიტა არ დაინტერესდა იმ პროგრამების ხორცშესხმით, რასაც ბევრი ჩვენი თვისტომის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის უნდა შეეწყო ხელი,"** - გულისტკივილით საუბრობდა არქეოლოგი შოთა ჩართოლანი. იგი სულაც არ იკვებება ილუზიებით და არ აპირებს იმის მტკიცებას, რომ ერთი შეკრებით საქმეს ეშველება. ცნობილი მეცნიერის თქმით, გამოსავალი ერთია: **"თუ ცოტა არ მოიკელი და საერთო საქმისთვის საკუთარი რამ არ გაიღე, ისე არაფერი გამოვა."**

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ორგანიზაციის გუშინდელი პრეზენტაციის ორგანიზატორები გულმოდგინედ ცდილობდნენ თავიანთი აპოლიტიკურობისა და არჩევნებისადმი ინდიფერენტულობის ხაზგასმას, ამას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. მაგალითად, თბილისიდან ჩასულმა ერთ-ერთმა სტუმარმა თავი ვერ შეიკავა ცდუნებისგან და თვისტომებისგან დაჟინებით მოითხოვა, არავითარ შემთხვევაში არჩევნებში მიხეილ სააკაშვილისთვის ხმა არ მიეცათ.

**"მაგან საქმე არ იცის, მხოლოდ ლაქლაქი ეხერხება. მიშას არაფერი დაუჯეროთ და ხმას ნუ მისცემთ. აირჩიეთ ისინი, ვისაც საქმის კეთება შეუძლია",** - მოუწოდებდა სტუმარი მასპინძლებს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ორატორი პოლიტიკურ დაკვეთას იძლეოდა. ყველა დანარჩენი გამოსვლა, პირიქით, "დიდი პოლიტიკისგან" გამიჯვნის დემონსტრირებას წარმოადგენდა.

**"ბევრი არჩევნები ჩაგვიტარებია, მაგრამ დმანისში სერიოზული დაპირისპირება და ექსცესები არასდროს მომხდარა. ეს არც ახლანდელი საპარლამენტო არჩევნების დროს მოხდება. სვანები ისეთს არაფერს გავაკეთებთ, რომ მეორე დღეს თვალებში ვერ შევხედოთ ერთმანეთს,"** - ირწმუნება მოძრაობის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ერეკლე ვიბლიანი. იგი, სხვა გამომსვლელებთან ერთად, სინანულით იხსენებს იმ მწარე გამოცდილებას, რომელიც სვანებმა ორგანიზაცია "ლემთან" დაკავშირებით მიიღეს.

**"ის შეცდომა, რაც "ლემს"მოუვიდა, აღარ უნდა გავიმეოროთ,"** - ლამის ბრძანების კილოთი საუბრობდა პარლამენტარი გოგი ლიპარტელიანი.

დმანისში დაწყებული "სუპერსვანური" მოძრაობა ქვემო ქართლში არ მთავრდება. ზვიად მუკბანიანი აცხადებს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და აპოთეოზი 14 აპრილს იქნება, როდესაც თბილისში სვანური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეების გრანდიოზული თავყრილობა გაიმართება.



სვანური წარმოშობის მოსახლეობა გაყინულ დარბაზში შეიკრიბა.



ახლადჩამოყალიბებული მოძრაობის რეგიონულ ლიდერად ერეკლე ვიბლიანი აირჩიეს.

# რა დაგვრჩენია ამ გალატაკებულ საქართველოში?

## რუსეთს საქართველო ახალ სსრკ-შიც აღარ სჭირდება

პირველი გვერდიდან

**არ გამოვრიცხავ, რომ თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს შემოსვლა ერთხელ და სამუდამოდ მოხსნიდა რუსეთ-საქართველოს შორის დღეს არსებულ ამ ყოვლად კომიკურ სავიზო რეჟიმს. ჩვენი ექსპერტების გაანგარიშებით, 2011 წლისათვის დსთ-ს შეიძლება საერთო ვალუტაც გაუჩნდეს და არც ორპალატიანი პარლამენტის იდეა მიმაჩნია აბსურდულად. დსთ-ს ერთიანი პარლამენტი სავაჭრო-ეკნომიკურ საკითხებს დაარეგულირებდა.**

ევგენი ასტახოვი, რუსი კონსერვატორების გაზეთ “ვრემიას” ეკონომისტი ექსპერტი:

**- როგორც იქნა, უკრაინის, ბელორუსისა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა შეიგნეს, რომ აშშ-ს ლაქიობის მეტი მათ სხვა ფუნქცია არ დარჩენიათ. დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს მათი დამოუკიდებლობის აღსაკვეთად. დღეს აშშ კრიტიკული თვალით უმზერს რუსეთთან ამ რესპუბლიკების დაახლოებას. უკრაინისა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა იგრძნეს რა, რომ ამერიკა მათ გადაგდებას უპირებს, უმალ მოსკოვთან დაახლოებას შეუდგნენ. ზედმეტია რუსეთისათვის ბელორუსთან მჭიდრო ინტეგრაციის როლის შეხსენებაც. მაგრამ ვერ გამიგია, რა დაგვრჩენია ამ გალატაკებულ საქართველოში? ჩვენ სულაც არ მივილტვით საქართველოსთან, ტაჯიკეთთან ან უზბეკეთთან შესაერთებლად. რუსეთი მათთვის მხოლოდ მეწველ ძროხად ითვლება. რატომ უნდა შევუქმნათ ამ რესპუბლიკებიდან გადმოხვეწილ უმუშევრებს ცენტრალურ რუსეთში დასახლების დამატებითი შანსი? მათთან კავშირი ასეთი პერსპექტივის მეტს არაფერს მოიტანს, რადგანაც საქართველოს, უზბეკეთის, ტაჯიკეთის პოტენციალი მწირია, ისინი მუდამ დოტაციური რესპუბლიკები იყვნენ. იქ მხოლოდ ჩვენი ბაზები უნდა შევინარჩუნოთ და მათი ე.წ. “დამოუკიდებლობა”. თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა კი იგივე მოვლენაა, რაც საფრანგეთ–გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. მართალია, რუსეთში არსებული პოლიტელიტის ხელში ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ოთხი რესპუბლიკის ერთიანი სავაჭრო-ეკონომიკური და საბაჟო სივრცის შექმნა უკვე დიდი წარმატებაა.**

“24 საათისათვის” მიცემულ ინტერვიუში რუსეთის პარლამენტის დსთ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ტიხონოვმა** კრასნოდარის მხარიდან აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის განახლებას რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ დაახლოებაში პირველი სერიოზული ნაბიჯი უწოდა. პარლამენტარის თქმით, **“აფხაზეთში ეკონომიკური ბლოკადისაგან წელში გაწყვეტილმა მოსახლეობამ, ელექტრომატარებლის წყალობით, პირველად თავისუფლად ამოისუნთქა, ხალხს ვაჭრობის საშუალება მიეცა. თუ საქართველოს ხელისუფლება გამოიჩენს ჩვეულ სიბრძნესა და ხელს შეუწყობს რუსეთიდან საქართველოში ძველი სარკინიგზო მიმოსლვის განახლებას, ამით პირველ რიგში თავად საქართველო მოიგებს."**



ვადიმ გუსტოვი

# არძინბა წუხს, რომ აფხაზური ენა აფხაზეთში არავის სჭირდება

სეპარატისტული აფხაზეთის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ საგანგებოდ მიიწვია იუსტიციის მინისტრი თენგიზ ლაკერბაი და აფხაზური ენის სტატუსზე ესაუბრა. არძინბამ განაცხადა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აფხაზურ ენას, მისი „კონსტიტუციური მდგომარეობის“ ფარგლებში.

არძინბა ძალიან წუხს იმის გამო, რომ „სახელმწიფოში“ თითქმის არ იყენებენ „სახელმწიფო“ ენას. თვითმარქვია პრეზიდენტის თქმით, ამ ენას არ იყენებენ არც გარე რეკლამაში და არც იურიდიული დოკუმენტაციის გაფორმებისას.

**„დღემდე აფხაზური ენის გამოუყენებლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ ეს ენა მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესია, თავად აფხაზებისთვისაც კი ორთოგრაფიის დაუფლება ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ხელისუფლება, მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, ცდილობს აამაღლოს აფხაზური ენის სტატუსი, ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ეს ემსახურება ეროვნული თვითმყოფადობის განვითარების სტრატეგიას“,** — განუმარტა არძინბამ თენგიზ ლაკერბაის. **მედია-ნიუსი**

# აფხაზეთის დეპუტაციამ შეიძლება მანდატი დაკარგოს

ფრაქცია „აფხაზეთის“ დეპუტაცია საპარლამენტო ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით დაემორჩილება იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც პარლამენტი მიიღებს.

ფრაქცია „აფხაზეთის“ ლიდერის გივი ლომინაძის თქმით, საუბარი საარჩევნო კოდექსში შესაბამისი მუხლის შეტანის თაობაზე, რომელიც აფხაზეთის დეპუტაციის შეცვლას ეხება, მიმდინარეობს, მაგრამ იგი ჯერჯერობით პროექტის სახითაა დაფიქსირებული.

**„აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატებს მანდატის გაგრძელება არასდროს უთხოვიათ. ეს თავის დროზე იძულებითი არჩევანი იყო, რითაც დღემდე აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს წევრების ლეგიტიმურობაა შენარჩუნებული“,** — განაცხადა „მედია-ნიუსთან“ საუბრისას ლომინაძემ. მისი თქმით, აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი დღის წესრიგში პოლიტიკური კონიუქტურის და ვიწრო ინტერესების გამო დადგა.

**„ჩვენი დეპუტაცია არც ერთი პოლიტიკური ძალის გავლენას არ განიცდის და ვილაცას სურს მართვადად გვაქციოს“,** — აცხადებს ლომინაძე. მისივე თქმით, **„აფხაზეთის“ დეპუტაცია მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მხარდამჭერ ძალთა შორის მოიაზრება, ხშირად მხარს ოპოზიციის იმ წინადადებებსაც უჭერს, რომელსაც ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მიიჩნევს. „პარლამენტს, თუ იგი ჩვენ მიმართ კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს, წინააღმდეგობას არ გავუწევთ“. მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# არ არის საჭირო, საქართველომ თავისი მომავალი იმის მიხედვით განსაზღვროს, რა იქნება რუსეთში

შოთა უტიაშვილი

"24 საათის" სტუმარია დოქტორი ჯოზეფ შეველი, გალილეის კოლეჯის (ისრაელი) პრეზიდენტი.

**- რა მიზნით ჩამობრძანდით?**

- ჩვენ გვინდა გალილეის კოლეჯისა და ადგილობრივი უნივერსიტეტების მონაწილეობით, შევქმნათ ერთობლივი სასწავლო პროგრამები.

გვინდა, ამ პროგრამებმა რაც შეიძლება მეტი სფერო მოიცვას, მაგრამ ვფიქრობთ, აქცენტს მენეჯმენტზე გავაკეთებთ. სულ სამი დღეა, რაც საქართველოში ვარ, აშკარად იგრძნობა და მეუბნებიან კიდეც, რომ ქვეყანას, ყველაზე მეტად, კარგი მენეჯერები და ხელმძღვანელები აკლია.

მქონდა შეხვედრები ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის სფეროების წარმომადგენლებთან. ყველა აცხადებს, რომ, პირველ რიგში, კარგი მენეჯერები სჭირდებათ და ამ სფეროში კარგი სასწავლო კურსი მათთვის მისწრება იქნება.

მენეჯერები, განსაკუთრებით - ექსპორტის მენეჯერები, სჭირდებათ კერძო სექტორშიც. ევროპაში, ექსპორტის მხრივ, ჩვენ განსაკუთრებული გამოცდილება გვაქვს.

ბლოკადის გამო, ჩვენი ექსპორტის უდიდესი წილი ევროპაში მიდის. ამდენად, ამ საქმეს მთელი მსოფლიო ჩვენგან სწავლობს.

დიდი გამოცდილება გვაქვს სოფლის მეურნეობასა და მცირე ბიზნესშიც. არაერთმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ეკონომიკური ზრდის მთავარი გენერატორი სწორედ მცირე ბიზნესი უნდა იყოს.

საქართველოში ორმა რამემ გამაკვირვა. ერთი მხრივ, არის დიდი გამოუყენებელი პოტენციალი, მეორე მხრივ, ყველგან დიდი სასოწარკვეთა შეიმჩნევა. ყველა წუწუნებს - ბიზნესმენები, მთავრობა, თვით მსოფლიო ბანკიც კი.

არ მესმის ამ სასოწარკვეთის მიზეზები. ხალხო, შემოგვხედეთ ჩვენ! ჩვენ არაფერი არ გვქონდა, მაგრამ რაღაცას მივაღწიეთ.

დარწმუნებული ვარ, საქართველოს შეუძლია წარმატებების მიღწევა. უფრო მეტიც, მას აქვს პოტენციალი, გახდეს რეგიონის ეკონომიკური და პოლიტიკური ლიდერი.

**- თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით, - ამ სასწავლო პროგრამების შესახებ...**

- დღეს ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ ნაბისმიერი ქვეყნის წინსვლისთვის ყველაზე მთავარი განათლებაა. საერთაშორისო განათლების გარეშე კი, დღევანდელ მსოფლიოში, შეუძლებელია სათანადო ცოდნის მიღება.



ჯოზეფ შეველი

გალილეის კოლეჯს შეუძლია შესთავაზოს საქართველოს სასწავლო პროგრამები მრავალ სფეროში. ისრაელის მთავრობა თანახმაა, ხარჯების ნაწილი თავის თავზე აიღოს. იმედი გვაქვს, რომ დანარჩენ ნაწილს დონორი ორგანიზაციები და ფონდები დააფინანსებენ.

ჩვენ გვაქვს უნიკალური შესაძლებლობა, მსმენელს პროგრამები შევთავაზოთ რუსულ და ქართულ ენაზეც კი. ისრაელში ბევრი ქართულად მოსაუბრე ცხოვრობს. გარდა ამისა, გვაქვს ძალზე დიდი გამოცდილება.

ეს სწორედ ისაა, რაც ისრაელს შეუძლია შესთავაზოს საქართველოს. არა ნავთობი, არა იარაღი - არამედ ნოუ-ჰაუ და თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები, მათ შორის, მენეჯმენტიც.

**- ვისთვის იქნება განკუთვნილი თქვენი პროგრამები?**

- დასაწყისისთვის, ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, მათ შორის, თსუ-სთან ერთად გვინდა გავაკეთოთ ერთთვიანი პროგრამა. მსმენელები ორკვირიან სასწავლო კურსს საქართველოში გაივლიან, ორკვირიანსაც - ისრაელში.

თუ ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი გამოდგა, მაშინ უკვე დავიწყებთ სამაგისტრო პროგრამებზე მუშაობას. ერთთვიანი პროგრამები განკუთვნილია საშუალო და უფროსი რგოლისათვის, სამაგისტრო პროგრამები - ბაკალავრებისათვის, და ეს იქნება ყველა სფეროში.

**- თუ არ ვცდები, საუბარია ეროვნული უსაფრთხოების კოლეჯის შექმნაზეც?**

- გალილეის უნივერსიტეტს აქვს ეროვნული უსაფრთხოების შემსწავლელი ცენტრი. აქ წელიწადში სამჯერ ტარდება სასწავლო პროგრამები, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან.

საქართველოში ჩვენ გვინდა რეგიონული უსაფრთხოების ცენტრის დაფუძნება, სადაც რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა, შეხვდნენ ერთმანეთს და აქტუალურ საკითხებზე ისაუბრონ, მათ შორის - რეგიონული უსაფრთხოების პრობლემებზეც. უსაფრთხოება არ არის მარტო ტანკები და თვითმფრინავები. ისრაელს გაცილებით უფრო ნაკლები ჯარისკაცი ჰყავს, ვიდრე მის მეზობლებს, მაგრამ მაინც მათზე ძლიერები ვართ, პირველ რიგში, დიდი ეკონომიკური უპირატესობის გამო. ასე რომ, უსაფრთხოება მოიცავს სამხედრო სფეროსაც, ეკონომიკასაც, ტექნოლოგიასაც, განათლებასაც და გარემოს დაცვასაც.

ეს ეხება როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ უსაფრთხოებასაც. იმედია, სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი მალე მოგვარდება, თუმცა, ეს არ არის ცენტრის წარმატებული მუშაობის აუცილებელი წინაპირობა. ჩვენ ეგვიპტელებს ბევრ რამეში არ ვეთანხმებით, მაგრამ მაინც ვესაუბრებით ერთმანეთს. ბევრი რამის გაკეთება კონფლიქტის პირობებშიც შეიძლება. მთავარია, ვისაუბროთ იმაზე, რაც ერთმანეთთან გვაკავშირებს, და არა იმაზე, რაც გვყოფს.

**- თბილისში სომხურ-აზერბაიჯანული დიალოგის კიდევ ერთი მცდელობა, გასულ კვირას, უშედეგოდ დასრულდა. თქვენ როგორ აპირებთ წარმატების მიღწევას?**

- ჩვენ ამ მხრივ განსაკუთრებული გამოცდილება გვაქვს. ძალიან ხშირად, როცა მე მიწევს საჯაროდ გამოსვლა, არაბი მსმენელები დარბაზს ტოვებენ. ამას მიჩვეულები ვართ და ეს მუშაობაში ხელს არ გვიშლის.

მთავარია, გჯეროდეს, რომ რაღაცის გაკეთება მაინც შეიძლება.

**- როგორ უყურებენ ისრაელის აკადემიურ წრეებში კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების მომავალს?**

- მთელი მსოფლიო რეგიონალიზმისაკენ მიდის. ვფიქრობ, საქართველოსთვისაც უმჯობესია, ევროკავშირში გაწევრიანების ნაცვლად, სადაც ის მესამეხარისხოვანი ქვეყანა იქნება, რეგიონული გაერთიანების შექმნა დაისახოს მიზნად. საჭიროა კავკასიის ქვეყნების რეგიონული ინტეგრაცია. შესაძლოა, მათ დაემატოს უკრაინა, თურქეთი, რომელსაც ევროკავშირი საბოლოოდ, ალბათ, მაინც უარს ეტყვის და, იქნებ - ჩრდილოეთ ერაყიც, ვინ იცის. ამ ქვეყნებს ერთმანეთთან ბევრი რამ აკავშირებთ და ბევრი პრობლემის გადაჭრას ერთად უკეთ შეძლებენ. ვფიქრობ, ნაცვლად იმისა, რომ ევროპის "კუდად" იქცეს, საქართველოს შეუძლია გახდეს ამ რეგიონული გაერთიანების ლიდერი.

**- საქართველოს დასავლურ არჩევანს რუსული საფრთხის განეიტრალების აუცილებლობაც განაპირობებს ...**

- ამ მიზნით რეგიონული გაერთიანებაც შეიძლება გამოიყენო. თანაც, გაერთიანებას ექნება აშშ-ს მხარდაჭერაც.

რაც შეეხება რუსეთს, იგი ჯერ კიდევ ითვლება ძლიერ სახელმწიფოდ, მაგრამ იგი სულ უფრო და უფრო სუსტდება. არა მგონია, საჭირო იყოს, საქართველომ თავისი მომავალი იმის მიხედვით განსაზღვროს, რა იქნება რუსეთში.

**- რეგიონულ გაერთიანებას, ბუნებრივად, ძალზე მჭიდრო კავშირი ექნება ისრაელთან...**

- ცხადია. თუმცა, არა მგონია, ისრაელი მას შეუერთდეს. ჩვენ მაინც შორს ვართ. ამჟამად, ჩვენ მზად ვართ რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში სამივე ქვეყნის წარმომადგენლებს ჩავუტაროთ ტრენინგები.

# მიიღებს თუ არა სახელმწიფო მინისტრი "წასვლის გადაწყვეტილებას"

პირველი გვერდიდან

მიუხადავად იმისა, რომ ჯორბენაძეს შევარდნაძესთან ურთიერთობის და მთავრობაში ყოფნის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა, მან თავიდანვე ტაქტიკური შეცდომები დაუშვა. ბუნებრივია, პრეზიდენტი დიდი კმაყოფილებით არ შეხვდებოდა არც ვანო ზოდელავას ჩამოშორების განზრახვას და არც სახელმწიფო მინისტრის სურვილს, პირდაპირ დაქვემდებარებაში მოექცია ძალოვანები. პირველივე ნაბიჯებით ჯორბენაძემ, შეიძლება ითქვას, დააფრთხო პრეზიდენტი შევარდნაძე. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკური იყო ის, რაც "მოქკავშირის" აღდგენასთან დაკავშირებით მოხდა. სახელმწიფო მინისტრი, ძველი მონსტრის რეაბილიტაციის ნაცვლად, ბევრად უფრო დიდი სიამოვნებით ახალ მოძრაობას დააფუძნებდა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა წარსული ცოდვებისაგან და ამიტომაც შედარებით იოლად შეძლებდა სხვა, მანამდე ოპოზიციურად ცნობილ ძალებთან საერთო ენის გამონახვას. მაგრამ შევარდნაძემ ჯორბენაძის შემოსაზღვრულ სათამაშო სივრცეში მოქცევა ამჯობინა.

ამის შემდეგ პრეზიდენტის დამოკიდებულება სახელმწიფო მინისტრისადმი საკმაოდ გაწონასწორებული იყო – საჯაროდ არც უკმაყოფილება გამოითქმებოდა და არც გადამეტებული შექება. ჯორბენაძეს, როგორც ჩანს, გარკვეული ვადა მიეცა, რათა კიდევ ერთხელ ეცადა თავისი შესაძლობლებების დამტკიცება, თუმცა მისი მოღვაწეობის არც ეს რაუნდი აღმოჩნდა წარმატებული. როგორც მოსალოდნელი იყო, ბიუჯეტის მხრივ სიტუაცია კვლავ არასახარბიელოდ განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯორბენაძემ გარკვეული პერიოდი პარლამენტის პარალიზება შეძლო, საბოლოო ჯამში ყველაფერი გასული წლის მიწურულს მთავრობის წარდგენილი ბიუჯეტის ჩავარდნით დასრულდა. მაშინ საპარლამენტო ფრაქციებმა სახელმწიფო მინისტრს თანამშრომლობა შესთავაზეს, მაგრამ ჯორბენაძემ ტრადიციას არ უღალატა და ოპოზიციის წინადადებას თავისი მომხრეების მობილიზებით უპასუხა, რასაც ბიუჯეტის მიღება მოჰყვა. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, პრობლემები ჯერ კიდევ წინ იყო. ოპოზიციამ ტაქტიკა შეცვალა და ე.წ. შეთქმულების თემით უკვე მთავრობის შიგნით მოახდინა დაპირისპირების კიდევ უფრო პროვოცირება. ამის პარალელუარდ მდგომარეობა გართულდა "მოქკავშირშიც". როგორც ყოველთვის, გააქტიურდა ქვემო ქართლის გუბერნატორი.

ყველა ზემოთ მოყვანილი და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დღეისათვის ავთანდილ ჯორბენაძის გარშემო ასეთი სიტუაცია შეიქმნა: ურთულესი მდგომარეობაა იანვარ-თებერვლის ბიუჯეტის შესრულების მხრივ, უმძიმესი პრობლემებია ენერგეტიკაში, წაგებულია საპარლამენტო ბრძოლა ოპოზიციასთან, ვერ მოხერხდა სახელისუფლო ფლანგზე სერიოზული პოლიტიკური ძალების მიმხრობა, გართულებულია ურთიერთობები ასლან აბაშიძესთან, დაპირისპირება სხვადასხვა სახელისუფლო ჯგუფებთან კი კულმინაციას აღწევს. პარასკევს პარლამენტში მიღებული გადაწყვეტილება მინიმალური ხელფასის შესახებ ამ ყველაფრის დაგვირგვინება აღმოჩნდა.

ეს სიტუაცია ედუარდ შევარდნაძისათვის, ბუნებრივია, სასიამოვნო არ არის. სტრატეგიული თვალსაზრისით, მისთვის ჯორბენაძის ფიგურა უკვე წამგებიანია. ორი კვირის წინ მთავრობის სხდომაზე შევარდნაძის განცხადება, რომ არჩევნებზე "მოქკავშირს" მისი დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, შეიძლება იმის მანიშნებელიც იყოს, რომ სახელისუფლო წრეებში მოვლენათა განვითარების ისეთი სცენარები მუშავდება, რომელთა განხორციელებაში ჯორბენაძის წამყვან პოზიციებზე მონაწილეობა დაგეგმილი არ არის. ალბათ შემთხვევითი არც ის იყო, რომ პარასკევს, იმავე მინიმალური ხელფასის შესახებ კენჭისყრის წინ, დარბაზი პროსახელისუფლო ოთხი ფრაქციიდან მხოლოდ ორმა დატოვა – პრეზიდენტის ერთგულებით ცნობილი ფრაქციები "თანადგომა" და "მოქკავშირი" სხდომაზე დარჩნენ.

თუ პოლიტიკურ ლოგიკას დავეყდრნობით, შექმნილ სიტუაციაში სახელმწიფო მინისტრის მხრიდან ყველაზე ადექვატური ნაბიჯი გადადგომა იქნებოდა. მთავრობა ამტკიცებს, რომ პარლამენტის გადაწყვეტილების შესრულების შემთხვევაში, ეკონომიკური კოლაფსი გარდაუვალი იქნება. ბუნებრივია, ასეთი განცხადების შემდეგ, ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნება, თუ მთავრობის დღევანდელი შემადგენლობა პარლამენტის გადაწყვეტილების შესრულებას ივალდებულებს. მდგომარეობას ვერც ბიუჯეტთან დაკავშირებული მინისტრების თანამდებობიდან გათავისუფლება ან მათი ნებაყოფლობითი გადადგომა შეამსუბუქებს. მთავრობის გადარჩენა ახლა მხოლოდ პრეზიდენტის ვეტოს შეუძლია, თუმცა ასეთი გადაწყვეტილება მთავრობას მხოლოდ დროებით გაუხანგძლივებს სიცოცხლეს, რადგანაც სტრატეგიული ხასიათის პრობლემები ამით არ მოიხსნება.

გარდა ამისა, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ პრეზიდენტი ვეტოს უფლებით ისარგებლებს. ეს მისი მხრიდან ძალზე სარისკო ნაბიჯი იქნება, რადგანაც, ამ შემთხვევაში, შევარდნაძე საბოლოოდ დაკარგავს სივრცეს პოლიტიკური მანევრებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა არასასურველ შედეგებზე. საკითხის არსიდან გამომდინარე, პრეზიდენტისთვის საუკეთესო ვარიანტი პრობლემის უმტკივნეულოდ მოგვარებაა. ამიტომაც, არ არის გამორიცხული, პროსახელისუფლო ფრაქციები კანონის ამოქმედების ვადების გადაწევის ინიციატივით გამოვიდნენ და ოპოზიციასთან კონსულტაციებში უშუალოდ პრეზიდენტიც ჩართონ. ასეთ შემთხვევაში, მთავრობის წევრებს უბრალო სტატისტის როლი ექნებათ განკუთვნილი.

წარსული გამოცდილება აჩვენებს, რომ შევარდნაძე თავის მინისტრებს წასვლისაკენ ღიად არასოდეს მოუწოდებს. მათ ყოველთვის "თვითონ" უწევთ ამ გადაწყვეტილებამდე მისვლა

# ჟან-მარი ლეპენი: ამერიკაში ნაციონალური იდეაა სიმდიდრე, გერმანიაში-შრომა, რუსეთში კი - ოცნება

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

მოსკოვში პრესკონფერენცია გამართა ფრანგული ოპოზიციის წარმომადგენელმა, საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერმა ჟან-მარი ლეპენმა. იგი ახალგაზრდა მშვენიერ მეუღლესთან ერთად ცხოვრობს სასტუმრო "შერატონ-პალასში", სადაც საუზმეზე მიიწვია თავისი მეგობარი ვლადიმერ ჟირინოვსკი. პრესკონფერენციაზე კი რუსეთის ნაციონალური აღორძინების პარტიის "ნაროდნაია ვოლიას" ლიდერთან, სერგეი ბაბურინთან ერთად გამოცხადდა.

ჟან-მარი ლეპენმა ბაბურინთან და ფრანგ ბიზნესმენებთან ერთად ციმბირში იმოგზაურა და მოსკოვში გამართულ "რუსეთის ნაციონალური აღორძინების" პარტიის მეორე ყრილობაშიც მიიღო მონაწილეობა.

პრესკონფერენციაზე ჟან-მარი ლეპენმა მოიწონა ერაყთან დაკავშირებით რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების პოზიცია და მიესალმა მორიგი მსოფლიო ომის წინ ახალი ღერძის გაჩენას: ეს ღერძია პარიზი-ბერლინი-მოსკოვი-პეკინი. ლეპენის თქმით, **"ღერძი გამოიკვეთა როგორც პოლიტიკური რეალობა, რომელიც რუსეთ-გერმანია-საფრანგეთ-ჩინეთის მყარ სტრატეგიულ პარტნიორობას მეტ სტაბილურობას შემატებს. არ შეიძლება დღეს ერთმა სახელმწიფომ ითამაშოს მსოფლიო ჟანდარმის როლი. ერაყის გარშემო მოსკოვის პრინციპულობით ცხადი გახდა, რომ რუსეთმა უკვე გააკეთა არჩევანი: იგი არ იქნება აშშ-ს კოლონია ან მისი პროვინცია,"** - თქვა მან. ფრანგული ოპოზიციის წარმომადგენელმა ასევე მოიწონა საერთაშორისო ტერორიზმისადმი რუსეთის დამოკიდებულება და აღნიშნა, რომ **"ჩეჩნეთის პრობლემა მოსკოვში უნდა გადაწყდეს, რადგანაც ჩეჩნური ტერორიზმი ატარებს სოციალურ და არა - ეთნიკურ ხასიათს".**

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რაშია ხედავს იგი რუსეთის ნაციონალურ იდეას? ლეპენმა ასე უპასუხა: **"ამერიკაში ნაციონალური იდეაა სიმდიდრე, გერმანიაში – შრომა, რუსეთში კი – ოცნება".**

ჩრდილოეთ კავკასიაზე საუბრისას ლეპენმა თქვა, რომ მას **"რეცეპტები არ აქვს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ კავკასიაში კონფლიქტების მიზეზი მხოლოდ სიღატაკეა. რუსეთი მდიდარი ქვეყანაა და ეს სიმდიდრე ბევრის მადას აღვიძებს".**

ჩვენი გაზეთის შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს იგი დღევანდელ საქართველოზე, ჟან –მარი ლეპენმა აღნიშნა, რომ იგი, შეძლებისდაგვარად, თვალყურს ადევნებს თბილისში მიმდინარე პროცესებს, სადღაც ყურიც აქვს მოკრული, რომ იქაც არიან ნაციონალისტები. **"თუ ისინი წერილს მოგვწერენ, კარგი იქნება",** - დასძინა მან.

საფრანგეთის ოპოზიციის ლიდერმა თქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ მისი წარსულით იცნობს, როცა იგი სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ლეპენმა ასევე აღნიშნა, რომ იგი სიამოვნებით მეგობრობს დღეს საფრანგეთში მცხოვრებ საქართველოს სამეფო გვარის წარმომადგენლებთან, ვისგანაც რამდენიმე ხნის წინ მწუხარებით შეუტყვია სამეგრელოში მათი სასახლის დაწვის ფაქტი.




# საშიში ტენდენცია - პარლამენტი ადგენს, მთავრობა უგულებელყოფს

პირველი გვერდიდან

დადგენილების მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა შეუწყვიტოს მანდატი დსთ-ს სამშვიდობო ძალების კონტიგენტს და მიიღოს სათანადო ზომები, რათა უმოკლეს ვადაში დატოვონ მათ საქართველოს ტერიტორია

დადგენილების მე-3 პუნქტით, ეთხოვა საქართველოს პრეზიდენტს დაიწყოს საჭირო პროცედურები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების დენონსირებისათვის.

რა თქმა უნდა, საქართველოს პრეზიდენტს და მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებას "მეტად დამაჯერებელი" და "უდაოდ მნიშვნელოვანი" საფუძვლები გააჩნდა იმისათვის, რომ "ქვეყანაში პოლიტიკის განმსაზღვრელი" საკანონმდებლო ორგანოს აღნიშნული დადგენილება, არა თუ შეეესრულებინა, არამედ 6 თვის მანძილზე საამისო წინაპირობების მომზადებაც არ დაეწყო.

ასეთივე ბედი ეწია პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას რუსული ბაზების დაბეგვრის თაობაზე, რომელსაც, მართალია, ბაზებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე ქართული მხარე "ატრიალებს", თუმცა რეალურ ქმედებებამდე არც ეს საკითხი მისულა.

საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ გასული წლის მარტში მიიღო დადგენილება "აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ", რომლის მიხედვითაც, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან და გაერო-ს, ეუთო-ს, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა შეემუშავებინა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ქონებრივი უფლებების აღდგენის ღონისძიებები. საქართველოს ქონების მართვის სამინისტრომ თავად გამოსცა ბრძანებულება აფხაზეთში დღეს მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის უკანონობის შესახებ, თუმცა საერთაშორისო სტრუქტურებთან შეთანხმებული კომპლექსური გეგმა დღემდე შემუშავებული არ არის.

პარლამენტის აბსოლუტურ იგნორირებად შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული სოციალური ხასიათის დადგენილების აღსრულებაზე უარის თქმა.

არ შესრულებულა, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის დადგენილება "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი. 2002 წლის 10 ოქტომბერს მიღებული დადგენილების მე-4 პუნქტით საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას დაევალა ერთი თვის ვადაში საქართველოს პარლამენტისათვის წარედგინა ინფორმაცია "1987 წლის შემდგომ პერიოდში სტიქიით დაზარალებული ოჯახების სოციალურ-სამართლებრივ პრობლემათა გადაჭრის სახელმწიფო პროგრამისა და მისი რეალიზაციის სახელმწიფო კომისიის შესახებ". არც ინფორმაცია და არც პროგრამა არავის წარმოუდგენია.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ორი დადგენილება მიიღო გასულ წელს მიწისძვრით დაზარალებულთა საცხოვრებლების რეაბილიტაციის პროგრამის შექმნასთან დაკავშირებით, რომელშიც საქართველოს მთავრობას მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების სახელმწიფო პროგრამა უნდა წარმოედგინა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული თანხა ამ მიზნით ბიუჯეტში გაწერილია, მთავრობას დეტალური პროგრამა, რომელიც ამ თანხების ხარჯვას კონკრეტულ რეჟიმში მოაქცევდა, საპარლამენტო მაგიდაზე არ დაუდია.

დღეს ძნელია იმაზე საუბარი, კონკრეტულად რა შეიძლება დაუპირისპიროს პარლამენტმა მთავრობისთვის არასასურველი დადგენილებებისა და კანონების უგულვებელყოფას, მაგრამ ცხადია, რომ ეს ტენდენცია ქვეყნისათვის სახიფათოა.

## საქართველოს ენერგოსისტემის მართვას ირლანდიელები შეუდგებიან

"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" 5-წლიანი მართვის უფლებით ირლანდიური კომპანია ESBI-ის შესვლასთან დაკავშირებით, პროექტით გათვალისწინებული 3-თვიანი გარდამავალი პერიოდი [illegible] იწურება. ირლანდიური კომპანია დღეიდან საქართველოს ელექტროსისტემის ერთპიროვნულ მართვას შეუდგება. თუმცა, არ არის გამორიცხული, ირლანდიელებმა კომპანიაში მუშაობა შეწყვიტონ: ელექტროენერგიის ტარიფში "გადაცემა-დისპეტჩერიზაციის" წილის შემცირების გამო სახელმწიფო ორგანიზაციები [illegible] დაფინანსების შეწყვეტით იმუქრებიან.

კომპანია ESBI ელექტროსისტემაში გასული წლის 3 დეკემბერს შევიდა. სამი თვის განმავლობაში ირლანდიელები, ქართველ ენერგეტიკოსებთან ერთად, ერთობლივ მართვას ახორციელებდნენ. სახელმწიფო ელექტროსისტემაში ESBI-ის 6 მენეჯერი დაიწყებს მუშაობას.

ირლანდიელებმა, "ელექტროდისპეტჩერიზაციისა" და "გადაცემის" გაერთიანების შედეგად მიღებული ორგანიზაციის სტრუქტურული რეორგანიზაციის მოდელი უნდა შეიმუშაონ. ისინი ქართველ ენერგეტიკოსებს ტრეინინგს ჩაუტარებენ და სტაჟირებისათვის უცხოეთში გააგზავნიან.

"ელექტროდისპეტჩერიზაციისა" და "ელექტროგადაცემის" გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებულ "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" ამჟამად 4200 თანამშრომელი მუშაობს.

ESBI-თვის "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მართვის უფლების გადაცემას მსოფლიო ბანკის "ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი" ითვალისწინებს. ბანკის მიერ გამოყოფილი თანხებით [illegible] რეაბილიტაცია განხორციელდება.

"ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი" მსოფლიო ბანკმა 2001 წლის დასაწყისში დაიწყო, თუმცა პარლამენტმა ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიცირება მიმდინარე წლის [illegible] მოახდინა. პროექტს, მსოფლიო ბანკთან ერთად, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (KFW) აფინანსებს.

მსოფლიო ბანკმა ენერგოსისტემის რეფორმირებისათვის საქართველოს 27 მილიონი დოლარი უნდა გამოუყოს, ხოლო KFW-მა - 25 მილიონი გერმანული მარკა. **"ინტერ-პრესი"**

## საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

**კომპანია ბი-პი-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და ბი-პი-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA აცხადებს კონკურსს კვალიფიციური საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად. საინფორმაციო ტექნოლოგიის ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში ბი-პი-ს მილსადენის სამშენებლო პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს ბი-პი-ს ხელმძღვანელობის ქვეშ**

სამუშაოს აღწერა:

IT ინჟინერი ანგარიშვალდებულია პროექტის IT მენეჯერის წინაშე და პასუხს აგებს პროექტის საინფორმაციო ტექნოლოგიის გეგმის განხორციელების ხელშეწყობაზე, სტანდარტული ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურირებასა და ინსტალაციაზე, ავტომატიზაციის საბაზისო ტექნიკური უზრუნველყოფისა და ტრეინინგზე, პროექტის მიმდინარეობის და დახურვის დახმარების აღმოჩენაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

IT ინჟინრის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
- ყველა სატელეკომუნიკაციო და მასთან დაკავშირებული ელექტრონული აპარატურის და სისტემების ფუნქციონირება და ექსპლუატაცია.
- IT საინფორმაციო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება დადგენილ ადგილებში.
- ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალაცია და კონფიგურირება ყველა საჭირო სამუშაო ტერმინალზე.
- სერვერების ოთახებში, საწყობებსა და ოფისში სისუფთავის და წესრიგის დაცვა და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
- კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლუატაციისა და რემონტის დროს დახმარების აღმოჩენა.
- სეტელეფონო ქსელთან და სხვა სატელეკომუნიკაციო აპარატურასთან, მაგალითად ოფისის ტელეფონებთან დაკავშირებით ჩანაწერების წარმოება.
- სატელეკომუნიკაციო აპარატურასთან დაკავშირებული საიზოლაციო სამუშაოების შესრულება და სამუშაო ნებართვების სისტემის ღრმა ცოდნა.
- მოწყობილობისა და ინვენტარის შეფასება, მოდიფიკაციების ინიცირება ან მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება მოდიფიკაციების პროცედურის პლატფორმის გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო სისტემების გაუმჯობესებას.
- სამუშაო სადგურების საოპერაციო სისტემების საწყისი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
- გამოყენებითი კლიენტის პროგრამის დამტკიცებული ბოლო ვერსიის ინსტალაცია, ტესტირება, კონფიგურირება და ექსპლუატაცია.
- პროექტის წევრების დახმარება გამოყენებითი სისტემით სარგებლობისას და ფორმალური და არაფორმალური ტრეინინგის ჩატარება.
- მომხმარებლების დახმარება ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში და საჭიროებისამებრ, სხვა ჯგუფებთან კოორდინირება.
- ავტომატიზაციის გრაფიკისა და ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება და აპარატურის ტექნიკური პირობების შემუშავების ხელშეწყობა.
- მითითებისამებრ, პროცედურების, ინსტრუქციების, დოკუმენტაციის და საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ, სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

- სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი და სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის დარგში, ან სულ მცირე 5 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის უზრუნველყოფაში.
- სულ მცირე 3 წლის სამუშაო გამოცდილება ტელეკომუნიკაციის ან საინფორმაციო უზრუნველყოფის დარგში.
- ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა.
- ატესტირებული სპეციალისტი მაიკროსოფტის პროგრამაში (დიპლომირებული სპეციალისტი (MCP), მომავალში დიპლომირებული ინჟინრის კვალიფიკაციით (MCSE).
- თვითმოტივაცია, დინამიკური სამშენებლო პროექტის ატმოსფეროში მუშაობის და დაწესებული მოთხოვნების ალღოს აღების უნარი.
- დადებითი პირადი თვისებები და ურთიერთობის შესანიშნავი უნარი.
- პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დამატებითი სამუშაოს შესრულება.
- სისტემატურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი.
- თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი: სისტემატიზირებულ და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
- ზეგავლენა: პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
- სამუშაოს კომპლექსურობა: სხვადასხვა დიაპაზონისა და კონტექსტის მქონე მოვალეობების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირი კავშირის გარეშე.
- აუცილებელი უნარ-ჩვევები: შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, გრაფიკზე აყვანის და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური კავშირის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი ურთიერთობების უნარი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციფიკის ცოდნა: IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდების, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

- თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 13 მარტი, ხუთშაბათი.
- კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

*კადრების განყოფილება*

**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38.**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია "ბი-პი საქართველო"**

# საარსებოდ მინიმალური ხელფასი

მაია ურუშაძე

*მთავრობის მიერ უტოპიად შერაცხული ინიციატივა, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ, პარლამენტმა 28 თებერვალს დაამტკიცა. 90 ხმა არც ერთის წინააღმდეგ – ასეთი შედეგით დაასრულეს "დემოკრატებმა" მინიმალური ხელფასის გაზრდისათვის წამოწყებული ბრძოლა. შედეგად, პირველი ივლისიდან მინიმალურმა ხელფასმა 115 ლარამდე უნდა მოიმატოს, ეს კი მთავრობაში უარყოფით ემოციებს წარმოშობს. მთავრობის მხრიდან ასეთი რეაქცია ბუნებრივიცაა: ის სარეზერვო 210 მილიონი ლარი, რომელიც, სპეცსახსრების სახით, რეგიონებში უნდა დარიგებულიყო და ხელისუფლების საარჩევნო კამპანიას მოხმარებოდა, ახლა სხვა მიმართულებით – ხელფასებისა და პენსიების დასაფინანსებლად უნდა დაიხარჯოს.*

თავისი ინიციატივის ბოლომდე "გატანას" "დემოკრატებმა" "აღორძინებასთან" მოლაპარაკებით მიაღწიეს. როგორც ჩანს, "სპეციალური ეკონომიკური ზონების" შექმნის შესახებ "აღორძინების" მიერ შეთავაზებულ კანონპროექტს "დემოკრატების" მხარდაჭერა ელის.

"დემოკრატების" მიერ წარმოდგენილი გათვლებით, მინიმალური ხელფასის მატებამ უნდა გამოიწვიოს საპენსიო ფონდის შემოსავლების ზრდაც: რაც მეტია სახელფასო მინიმუმი, მით მეტია ამ ხელფასის დასაბეგრი განაკვეთი. ეს კი საპენსიო ფონდის შევსების წყაროა. ამდენად, მინიმალური ხელფასის მატებისთანავე, მთავრობამ პირველ ეტაპზე საპენსიო დავალიანებების გასტუმრება, ხოლო ორიოდე თვეში – პენსიების 25-30 ლარამდე მომატებაც უნდა შეძლოს.

მოსახლეობისთვის ჯერ ხელფასებისა და მერე პენსიების გაზრდა, თანაც ამ ნაბიჯით ოპოზიციისთვის ქულების დაწერა, ხელისუფლებისთვის უპრიანი სულაც არ არის. უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლებაში არ მალავენ. მთავრობის ეკონომიკურ ბლოკში "მოსალოდნელ უარყოფით პროცესებს" შესაშური სიზუსტით აანალიზებენ და ერთხმად საუბრობენ არასასურველ ფისკალურ ეფექტზე, ინფლაციასა და ბიზნესის დიდი ნაწილის ჩრდილოვან ეკონომიკაში გადანაცვლებაზე. მათი შეფასებით, **"მთელი ეს უბედურობა"** მინიმალური ხელფასის ზრდამ უნდა გამოიწვიოს.

**"გამორიცხულია, რომ ხელფასების მატებას უარყოფითი ეფექტი ჰქონდეს, თუ მთავრობა ხელოვნურად არ გამოიწვევს ამას, არ აიძულებს ეროვნულ ბანკს, მოახდინოს ფულის ნიშნების ემისია და ეს თანხა ისე შემოიტანოს ბაზარზე. იმის შესახებ, რომ სხვაგვარად ინფლაცია არ მოხდება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმაც კი ღიად განაცხადა,"** – აცხადებს ფრაქცია "დემოკრატების" ლიდერი გია ბარამიძე.




*"დემოკრატებმა" მთავრობას "ძვალი გააგდებინეს"?*

მაინც, რისი ეშინია მთავრობას?

საქმე ისაა, რომ 2003 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, ფინანსთა სამინისტრომ მომავალი არჩევნების დასაფინანსებლად 210 მილიონი ლარი "თითიდან გამოწოვა". საბოლოოდ, წლევანდელ ბიუჯეტში შარშანდელ შემოსავლებთან შედარებით, 167 მილიონ ლარიანი მატება დაფიქსირდა. ამ თანხით მთავრობამ, პრინციპში, გვარიანადაც ივაჭრა და ბიუჯეტის მხარდასაჭერად დეპუტატების ხმები მოიპოვა. "დემოკრატების" მიერ ინიცირებულ მინიმალური ხელფასების ზრდას 116 მილიონი ლარი სჭირდება. თუ მთავრობას ამ თანხის ხელფასებისკენ მიმართვა მოუხდა, მას "სპეცსახსრების" სახით რაიონებში დასარიგებლად "თავისუფალი" თანხა - 50 მილიონიღა რჩება. შესაბამისად, ხელისუფლება რაიონებში არჩევნების დაფინანსებას საბიუჯეტო სახსრებით ისე თავისუფლად ველარ მოახერხებს, როგორც ეს ადრე, ბიუჯეტის დამტკიცებისას იგეგმებოდა.

მთავრობის უკმაყოფილებას მეორე, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორიც იწვევს. საქმე ისაა, რომ ხელფასების მომატება მნიშვნელოვნად შეზღუდავს ბიუჯეტის ნებისმიერი სხვა "თავისუფალი თანხის" ხარჯვის შესაძლებლობასაც. "დემოკრატები" მიიჩნევენ, რომ **"მთავრობამ გაუწერელი ენერგეტიკული საჭიროებებისა და საზღვარგარეთული მანქანების შესყიდვის ნაცვლად, ფული თავის ხალხს უნდა მისცეს, რადგან ამ შემთხვევაში ეს ფული აქ დაიხარჯება, აქვე დაბანდდება. ეს კი ქართული ვალუტის გამყარებას მოემსახურება".**

დღეს მთავრობის უკმაყოფილება იმდენად დიდია, რომ სახელმწიფო მინისტრი და ეკონომიკური პროფილის მესვეურები არაპოპულარულ ნაბიჯებს აღარ ერიდებიან და ღიად აცხადებენ, რომ პარლამენტმა მთავრობას სერიოზული დარტყმა აგემა. ეს კომენტარები იმაზე მეტყველებს, რომ მთავრობას ბრძოლა წაგებულად არ მიაჩნია. ამდენად, არ არის გამორიცხული, ჯორბენაძის გუნდმა პრეზიდენტს ვეტოს უფლების გამოყენებისკენ მოუწოდოს და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების დაბლოკვას ამ გზით შეეცადოს.

ამის მიღწევას სამთავრობო გუნდი იმ შემთხვევაში მოახერხებს, თუ ეკონომისტი მინისტრები პრეზიდენტს წინ დამაჯერებელ უარყოფით ეკონომიკურ პროგნოზებს დაულაგებენ. მხოლოდ ის, რომ მინიმალური ხელფასის ზრდა მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების დიფერენციაციის საშუალებას მოსპობს და ე.წ. "ლასალის სოციალიზმის" ეფექტს გამოიწვევს, საპრეზიდენტო ვეტოს უფლების ასამოქმედებლად საკმარისი არგუმენტი ვერ გახდება.

**"არც პროფესორი, რომლის ხელფასი დღეს 80 ლარია, და არც დამლაგებელი, რომელსაც 20 ლარი აქვს, არ იუარებენ, რომ მათი ანაზღაურება 115 ლარამდე გაიზარდოს. ჩვენი გათვლებით, სწორი ადმინისტრირების პირობებში, ხელფასებს შორის თანაფარდობის შენარჩუნებაც იქნება შესაძლებელი,"** - ასეთი კონტრარგუმენტი აქვთ "დემოკრატებს" მთავრობის არგუმენტების საპირისპიროდ.

პრეზიდენტის მიერ ვეტოს უფლების ასამოქმედებლად ნიადაგის შემზადებისთვის მთავრობამ სერიოზული მუშაობა უკვე გააჩაღა. ფინანსთა სამინისტრომ სასწრაფოდ "გააანალიზა" მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგები და საქართველოს ეკონომიკას ყოველწლიურად ზრდის (?) 2-3 პროცენტით შემცირება, ხოლო ლარს – 12-პროცენტიანი, ან საერთოდ არაპროგნოზირებადი ინფლაცია უწინასწარმეტყველა. სამომხმარებლო ფასების უმართავ ზრდას უკვე "ხედავს" სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე სოსო არჩვაძეც.

ასე რომ, მთავრობას რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი: თუ ჯორბენაძის გუნდი მოახერხებს დაარწმუნოს პრეზიდენტი, რომ მინიმალური ხელფასის ზრდის დაფინანსებისთვის ბიუჯეტიდან გასაცემი 116 მილიონი ლარის გარეშე "მოქალაქეთა კავშირის" წინასაარჩევნო კამპანია განწირულია, შესაძლოა, პრეზიდენტმა თავისი გუნდი დაინდოს და ვეტოს უფლება აამოქმედოს. თუმცა, პარლამენტარ ვიტალი ხაზარაძის აზრით, თუ პრეზიდენტი კანონს ვეტოს დაადებს, **"დემოკრატები" მაინც პოლიტიკურად მოგებულ პოზიციაზე დარჩებიან, რადგან პრეზიდენტს ხალხისთვის სასიკეთო გადაწყვეტილების უგულებელყოფაში დაადანაშაულებენ."**

ამდენად, შესაძლოა, საქმე ვეტომდე არც მივიდეს და მთავრობის დღევანდელ გააფთრებულ წინააღმდეგობას გაცილებით ბანალური მიზეზი ჰქონდეს. მაგალითად, გამორიცხული არ არის, რომ მთავრობა მოსახლეობას მინიმალური ხელფასის ზრდის იდეის უტოპიურობას წინასწარ იმიტომ აგუებდეს, რომ სამომავლოდ თავი დაიზღვიოს და პარლამენტისკენ ხელის შვერით თქვას: "ვცდილობდით და არ გამოგვივიდა".

# მთავრობა "აზოტისათვის" შეღავათიან გაზს ითხოვს

მაია მოსიაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და კომპანია "იტერას" შორის ხელშეკრულება, ამ უკანასკნელისთვის "აზოტის" გადაცემის თაობაზე, ჯერ კიდევ გასულ კვირას უნდა გაფორმებულიყო. პროცესი დროებით შეჩერდა და, როგორც "აზოტის" რეაბილიტაციის მმართველი ნიკო ბაკაშვილი აცხადებს, მიზეზი ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ხელშეკრულებაში ჩადებული მოთხოვნებია.

**"ერთ-ერთი მოთხოვნა ბუნებრივი აირის შეღავათიან ტარიფს ეხება. ვინაიდან "იტერა" საწარმოს აქციების მფლობელი იქნება, ხელისუფლება მას საწარმოსათვის შეღავათიან გაზს თხოვს. ჩემი ინფორმაციით, "იტერა" ამას არ ეთანხმება. ქართული მხრიდან ეს მოთხოვნა კატეგორიულად არის დასმული, რადგან გაზის დაბალი ტარიფი პროდუქციის თვითღირებულებას შეამცირებს და ქართველ ფერმერებსა და გლეხებს შესაძლებლობა ექნებათ შეღავათიან ფასებში შეიძინონ გვარჯილა,"** - ამბობს ბაკაშვილი.

თითქმის ოთხი თვის მანძილზე გაჩერებული "აზოტი" რამდენიმე დღის წინ ამუშავდა. შეთანხმება ბუნებრივი აირის შეღავათიან ტარიფზე ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა და ქარხანა გაზს კვლავ კომერციულ ფასში, 80 დოლარად იღებს. "იტერამ" საწარმოსათვის იმდენი გაზის მიწოდება უზრუნველყო, რამდენიც 2000 ტონა გვარჯილის გამოშვებას ეყოფა, ანუ ზუსტად იმდენის, რამდენიც ერთი თვის ხელფასების გასტუმრებისათვის არის საჭირო.

4 მარტს "აზოტში" კრედიტორთა კრება ჩატარდება, სადაც, ბაკაშვილის ინფორმაციით, განიხილება ხელშეკრულება, რომელსაც ქონების მართვის სამინისტრო "იტერასთან" აფორმებს, მოსმენილი იქნება რეაბილიტაციის მმართველის ანგარიში. ასევე დღის წესრიგში შეტანილია კრედიტორთა ახალი კომიტეტის არჩევნები.

"ამჟამად კომიტეტის თავმჯდომარე "იტერას" წარმომადგენელია. თუ საწარმო "იტერასი" იქნება, ხომ არ შეიძლება მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი იყოს. გარდა ამისა, აქ თანამდებობრივ შეუთავსებლობასაც აქვს ადგილი - კრედიტორთა კომიტეტის თავმჯდომარე "საქგაზის" დირექტორის მოადგილეა," აცხადებს ბაკაშვილი და ხაზს უსვამს იმას, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში "აზოტის" დავალიანებები 25,6 მილიონი ლარით შემცირდა და 64 მილიონი ლარი შეადგინა. სამაგიეროდ გაიზარდა დავალიანება ფინანსთა სამინისტროს მიმართ და ის 22 მილიონის ნაცვლად 33 მილიონი ლარი გახდა.

2000 ტონა გვარჯილის გამოშვების შემდეგ გაჩერდება თუ იმუშავებს ქარხანა, ჯერ გაურკვეველია. მოლაპარაკებები კვლავაც გრძელდება. ნიკო ბაკაშვილის ინფორმაციით, ხელშეკრულების ამ სახით ხელმოწერას შესაძლებელია გაურკვევლობა მოჰყვეს, რადგან მასში ვალების გასტუმრების ვადა რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებულს არ ემთხვევა.

**"ქონების მართვის სამინისტროს და კომპანია "იტერას" ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვთ, რომ სამი წლის მანძილზე უნდა დაიფაროს უდავოდ აღიარებული ვალები, მათ შორის ბიუჯეტის დავალიანებაც. მაგრამ ეს არ არის კანონქვემდებარე მუხლი, რადგან რუსთავის სასამართლოს განჩინებით, რეაბილიტაციის პროგრამა 2004 წლის 27 ივლისამდეა დამტკიცებული. ხელმოწერიდან სამი წელი რომ გადაითვალოს, გამოდის, რომ ვალების გადახდა 2006 წლამდე გაგრძელდება. ეს ეწინააღმდეგება სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, თუ კრედიტორები 2004 წლის 27 ივლისამდე არ დაკმაყოფილდებიან, გაიხსნება გაკოტრების საქმე და "აზოტი", როგორც ქონება, გაიყიდება. ამის საშიშროება ნამდვილად არის, თუკი "იტერა" დავალიანებების დაფარვას სასამართლოს განჩინებით დამტკიცებულ ვადაში არ მოახდენს,"** - აცხადებს რეაბილიტაციის მმართველი.

# საქართველოში უსაფრთხოების გარანტიებს მოითხოვენ

*ქართული არასამთავრობო სექტორი, მოსახლეობის სახელით და პოლიტიკური თუ ეკოლოგიური რისკის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მონაკვეთზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ალტერნატიული მარშრუტების განხილვას მოითხოვს. აზერბაიჯანს კი, ერთი სული აქვს, როდის დაიწყება მილსადენების მშენებლობა. სწორედ, მშენებლობის დაჩქარების თხოვნა წარმოადგენდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე "აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი – რეალობა".*

სოფიკო ოხანაშვილი

გასულ სამშაბათს ვაშინგტონში გამართული კონფერენციის "აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი – რეალობა" შედეგებით რუსული პრესაც დაინტერესდა. "Независимая Газета"-ს ინფორმაციით, აზერბაიჯანის პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის მთავარ მიზანს ფინანსური დახმარების გაზრდა, ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის მიღწევა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენების მშენებლობის დაჩქარება წარმოადგენდა. რუსული პრესის შეფასებით, ჰეიდარ ალიევმა დასახულ მიზანს მიაღწია. ყველაფერ ამის განხორციელება კი, ლოიალობის, დასავლური კურსისა და რეგიონში აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების გატარების სანაცვლოდ ხვდა წილად.

აშშ-სა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრის შედეგები დადებითად შეაფასა აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრმა სპენსერ აბრახამმა. მან აზერბაიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრისას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტები კასპიის რეგიონში ბუშის ენერგეტიკული სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად დაასახელა. ალიევს კი ნავთობის ექსპორტზე ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღუთქვა. ალიევის თქმით, **"ვიღაც-ვიღაცეები ამ პროექტების ჩაგდებას ცდილობენ. მართალია, მუქარები არ არის, მაგრამ გარკვეული ფინანსური ჯგუფები ინვესტიციების განხორციელებას არ ჩქარობენ".** აზერბაიჯანის პრეზიდენტის ინფორმაციით, სირთულეები საბანკო პროცედურებსა და ცალკეული დონორების კაპრიზებს უკავშირდება. ალიევმა სიტუაცია უფრო დეტალურად აღუწერა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) ხელმძღვანელს პიტერ ვოიკს. ამ კორპორაციაზე დიდად არის დამოკიდებული პროექტების მომავალი ბედი.

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობის დაწყების საკითხი გასულ კვირას მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა, რაც კონსორციუმ "შაჰდენიზის" აქციონერებმა გაზის მოპოვებისა და დამუშავების პროექტი და მილსადენის მშენებლობა დაადასტურეს. პროექტის ღირებულება, მილსადენის აღჭურვის ჩათვლით, 3,2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ვაშინგტონში განიხილებოდა. აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანს არ შეუძლია დამოუკიდებლად მოაგვაროს ურთიერთობები გაზის "გიგანტ მონსტრებთან". რამდენიმე დღის წინ, თურქეთმა და საბერძნეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთობლივი გაზსადენის მშენებლობის შესახებ, რომლის მეშვეობითაც აზერბაიჯანული გაზის რეექსპორტირება ივარაუდება ევროპის ქვეყნებში. მაგრამ მანამდე საჭიროა, რომ გაზი თურქეთის საზღვრამდე იყოს მიტანილი.

აზერბაიჯანის მცდელობის პარალელურად, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს მილსადენების მშენებლობა, საქართველოში ჯერ კიდევ ალტერნატიულ მარშრუტებზე საუბრობენ. ამის მიზეზად კი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის და მასთან დაკავშირებული მაღალი ეკოლოგიური რისკის მიმართ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დამოკიდებულებას ასახელებენ. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინების თხოვნით, რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციების ალიანსმა "გარემოსდაცვითი და სამოქალაქო უფლებები საქართველოში" IFC-ს ნავთობის, სამთო მოპოვებისა და ქიმიური დეპარტამენტის დირექტორს რაშად კალდანისა და EBRD-ს ენერგობიზნეს ჯგუფის დირექტორს, პიტერ რეინიგერს წერილი გაუგზავნა. **"საქართველო დაინტერესებულია, ჰქონდეს უნაკლო, ეკონომიკურად გამართლებული და პოლიტიკურად უსაფრთხო ნავთობსადენი, რაც ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობასა და განვითარებას",** - ვკითხულობთ წერილში. ალიანსის წევრები იქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ, სამწუხაროდ, ადგილობრივი ენერგოჩინოსნები და ოპერატორი კომპანიის (BP) წარმომადგენლები უსაფრთხოებას უმაღლეს პრიორიტეტად არ განიხილავენ. წერილის ავტორებს მიაჩნიათ, რომ კარგი და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით აშენებული ნავთობსადენისათვის საჭიროა მოქმედების კურსის შეცვლა, რისი განხორციელებაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, ჯერჯერობით დაგვიანებული არ არის. მოქმედების კურსის შეცვლაში ალიანსის წევრები, უპირველეს ყოვლისა, ბორჯომის ხეობის მარშრუტის ალტერნატიული მარშრუტების განხილვას, კერძოდ, კი მილსადენების სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე გავლას გულისხმობენ. წერილის ავტორების მტკიცებით, სამწუხაროდ, ალტერნატიული ორი მარშრუტი ხელაღებით, დასაბუთების გარეშეა უარყოფილი, რამაც შესაძლოა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის იზოლაცია გამოიწვიოს, რომელიც ეთნიკურად განსხვავებულია და განსაკუთრებით სჭირდება სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება. **"ნავთობსადენის მარშრუტის შერჩევის პროცესმა მაღალი პოლიტიკური და ეკოლოგიური რისკი შექმნა ქვეყნისთვის,"** - აღნიშნულია წერილში.

ალიანსის წევრების ვარაუდით, სექტემბერ-ოქტომბერში ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებამ, შესაძლოა, რთული სიტუაცია შექმნას. ამის თავიდან ასაცილებლად, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები IFC-ის და EBRD-ის ხელმძღვანელობას დაჟინებით სთხოვენ ყველა ალტერნატიული მარშრუტის განხილვას და გადაწყვეტილების ისე მიღებას, რომ გათვალისწინებული იყოს სამხრეთ კავკასიაში გრძელვადიანი სამშვიდობო და განვითარების ინტერესები. **"ეკოლოგიურად და სოციალურად სრულყოფილი მარშრუტის შერჩევა ხელს შეუწყობს დასავლური კორპორაციებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების იმიჯის ამაღლებას რეგიონში,"** – ვკითხულობთ წერილში.

ამასთან, 13-14 მარტს, თბილისი, ნავთობის, გაზისა და ენერგეტიკის მეორე საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლებს. მასში მონაწილეობას მიიღებენ მსხვილი ენერგოკომპანიები, ნავთობისა და გაზის მომპოვებლები დსთ-სა და ევროპის ქვეყნებიდან. კონფერენციაზე განიხილავენ ნავთობისა და გაზის მოპოვების და ტრანსპორტირების საკითხებს, ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივებს საქართველოში.

# თურქეთი ამერიკული ჯარების შეშვებაზე უარს ამბობს

პირველი გვერდიდან

კენჭისყრის დამთავრებისთანავე თურქეთში შეერთებული შტატების ელჩი რობერტ პირსონსი საგარეო საქმეთა სამინისტროში გაეშურა. "ჩვენ ჩვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას ნამდვილად ველოდით", - განუცხადა მან ჟურნალისტებს. "ჩვენ თურქეთის მთავრობის შემდგომ ინფორმაციას დაველოდებით".

"ჩვენ ერთად ვმუშაობდით, როგორც მოკავშირეები და მომავალშიც ასევე გავაგრძელებთ", - აღნიშნა მოგვიანებით აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელმა.

ამერიკული "ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, თურქეთის მთავრობის ანონიმმა წევრმა აღნიშნა, რომ კვირას ერდოგანმა პარტიის მმართველი საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია. "ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვითანხმებია სტრატეგია, - თქვა მან, - ჩვენ ან ხელახლა შემოვიტანთ რეზოლუციას, ან განვაცხადებთ, რომ ეს არის თურქი ხალხის ნება და უცხო ქვეყნის ჯარისკაცებს თურქეთის მიწაზე ყოფნის უფლებას ვერ მივცემთ. ჩვენ ყველა ვარიანტს ყურადღებით განვიხილავთ", - დასძინა მან.

ამავე წყაროს მტკიცებით, კენჭისყრის შედეგებში აშშ-ს მთავრობასაც მიუძღვის ბრალი, რომელმაც ბაზების დათმობის სანაცვლოდ, თურქეთს სათანადო რაოდენობის ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარება არ აღუთქვა.

თანხმობის შემთხვევაში, ამერიკელები თურქეთში 62 000 ჯარისკაცს, 255 საბრძოლო თვითმფრინავს და 65 შვეულმფრენს განალაგებდნენ. ომის უარყოფითი ზეგავლენის გასანეიტრალებლად, ვაშინგტონი ანკარას 6 მილიარდი დოლარის გრანტს და 24 მილიარდი დოლარის შეღავათიან კრედიტს ჰპირდებოდა. თურქეთის ხელისუფლება აშშ-საგან ამერიკის ტექსტილის დაცული ბაზრის გახსნასა და შეღავათიან სავაჭრო პირობებს მოითხოვდა.

ახლა, ფინანსური დახმარების გარდა, ანკარამ, შესაძლოა, ვაშინგტონის პოლიტიკური მხარდაჭერა დაკარგოს, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებისათვის უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ფაქტორია.

რაც ყველაზე მთავარია, ამერიკელებისათვის უარის თქმა, შესაძლებლობას აღარ მისცემს თურქებს, რომ ომის დაწყების შემდეგ, ჩრდილოეთ ერაყში საკუთარი ჯარები გაგზავნონ. თურქი ლიდერები ათასობით ჯარისკაცის გაგზავნას გეგმავდნენ მოსაზღვრე რეგიონში, რათა ლტოლვილების ნაკადი შეძლებისდაგვარად შეეკავებინათ და დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნა არ დაეშვათ, რაც თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებში სეპარატისტულ განწყობას გააღვივებდა.


თურქეთის მთავრობა შეშფოთებულია.

თურქეთის ლიდერებმა არაერთგზის განაცხადეს, რომ ამერიკის გეგმის მხარდაჭერის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს ერაყის მომავალ სახელმწიფო მოწყობაში აქტიური მონაწილეობა წარმოადგენს. რეზოლუციის მიღების უარყოფით მათ ამის საშუალება მოესპოთ.

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, თურქეთის მმართველ "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიას პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა შეუშალა ხელი, პირველ რიგში, სამხედროებმა და ბიუროკრატებმა, რომლებსაც ისლამური ფესვების მქონე პარტიის ხელისუფლებაში ყოფნა დიდად არ ეპიტნავებათ. მიმომხილველების თქმით, ჩვეულებრივ ვითარებაში ისინი ყველაფერს გააკეთებდნენ გადაწყვეტილების გასატანად, მაგრამ ახლა უმოქმედოდ იყვნენ და შეეცადნენ, ამ საკითხის ჩაგდება პარტიის დასასუსტებლად გამოეყენებინათ.

ამას გარდა, სხვადასხვა მონაცემებით, თურქეთის მოსახლეობის 94 პროცენტი ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგია. პარლამენტში კენჭისყრის დროს 50 000 ათასმა ადამიანმა პარლამენტის წინ საპროტესტო მიტინგი მოაწყო. "უარი ომს!" "ჩვენ ამერიკელების ჯარისკაცებად ყოფნა არ გვინდა!" – გაჰყვიროდნენ შეკრებილები.

მოსახლეობას ეშინია, რომ 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის მსგავსად, თურქეთს ლტოლვილთა ნაკადი მიაწყდება და ეკონომიკას უზარმაზარი ზარალი მიადგება.

კენჭისყრის ამგვარმა შედეგებმა ამერიკის ხელისუფლება განცვიფრებული დატოვა, ვინაიდან ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ თურქეთის ლიდერები შეძლებდნენ მმართველი პარტიის წევრების დარწმუნებას. სამხედრო აღჭურვილობით დატვირთული ოცზე მეტი ამერიკული სამხედრო გემი, კარგა ხანია, თურქეთის ტერიტორიულ წყლებში იმყოფება და სწორედ პარლამენტის გადაწყვეტილებას ელოდებოდა პორტებში ტვირთის ჩამოსატვირთად.

წმინდა სამხედრო მოსაზრებების გარდა, თურქეთის პარლამენტის უარი ვაშინგტონისათვის პოლიტიკური დამარცხებაც იყო, რომელიც ერაყში მომავალი ომისათვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს.

პენტაგონისათვის თურქეთთან თანამშრომლობა ძალზე მნიშვნელოვანია, რათა ერაყს ერთდროულად ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, თურქეთისა და ქუვეითის მხრიდან შეუტიოს და ჰუსეინის შეიარაღებული ძალები ორ ფრონტს შორის გააბნიოს.

ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ჩრდილოეთის ფრონტის გახსნა მათ თურქეთის გარეშეც შეუძლიათ. პენტაგონის მაღალჩინოსნების მტკიცებით, ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდალს სპარსეთის ყურეში, გენერალ ტომი ფრენკს ამერიკული ჯარების ჩრდილოეთ ერაყში შესაყვანად სამარქაფო გეგმა აქვს, - იუწყება გავლენიანი ამერიკული გაზეთი "ნიუ-იორკ თაიმსი".

სავარაუდოდ, ერთ-ერთ ამგვარ სამარქაფო გეგმაში საქართველოს ტერიტორიის გამოყენებაც იქნება ნაგულისხმევი. საქართველოს ჩრდილოეთ ერაყის საზღვარს 400 კილომეტრი აშორებს, რაც თანამედროვე ბომბდამშენებისათვის სავსებით მისაღები მანძილია.

ექსპერტების აზრით, მართალია, საქართველო თურქეთის გეოსტრატეგიულ ფუნქციას ვერ ჩაანაცვლებს, მაგრამ ერაყის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება საკმაოდ აქტიური როლი შეასრულოს. თუ გავითვალისწინებთ, საქართველოს ხელისუფლების დიდ ნაწილში არსებულ პროამერიკულ განწყობასა და პრეზიდენტის ცოტა ხნის წინ გაკეთებულ განცხადებას, რომ პრეზიდენტ ბუშის პოლიტიკას აბსოლუტურად მხარს უჭერს, აქ ვაშინგტონს საკუთარი შეიარაღებული ძალების განთავსებაზე დიდი წინააღმდეგობა არ შეხვდება.

# პაპი ბუშთან კიდევ ერთ დესპანს აგზავნის


იოანე პავლე II

"ნაცვლად იმისა, რომ უკან დავიხიოთ პრობლემების წინაშე, უნდა ვეცადოთ, ყველა გზა გამოვნახოთ ომის თავიდან ასარიდებლად. ომი ყველას მწუხარებასა და უმძიმეს შედეგებს მოუტანს," – მიმართა პაპმა იოანე პავლე მეორემ ვატიკანში, საკვირაო ლოცვის მოსასმენად შეკრებილ ხალხს.

პაპმა მოუწოდა ხალხს, მასთან ერთად ელოცა და ემარხულა, რადგან მარხვა "ეხმარება ადამიანებს, უკეთ გაუგონ მათ, ვინც შიმშილით, სიღატაკითა და ომით იტანჯება".

"ჩვენ ღმერთს შევთხოვთ მშვიდობას მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით - ერაყში და წმინდა მიწაზე," – განაცხადა კათოლიკური ეკლესიის 82 წლის წინამძღოლმა.

მიუხედავად პარკინსონის დაავადებისა და მწვავე ართრიტისა, ომისადმი წინააღმდეგობამ ვატიკანი და მისი მეთაური ბოლო დროს დიპლომატიური აქტივობის ერთ-ერთ ცენტრად აქცია.

შაბათს, "წმინდა ტახტმა" განაცხადა, რომ იგი კიდევ ერთ დესპანს გააგზავნის ამერიკაში, ბუშთან შესახვედრად. ამჯერად ეს იქნება კარდინალი პიო ლაგი. კარდინალი აშშ-ში ყოფილი ელჩი და ბუშების ოჯახის ახლო მეგობარია. იგი ამერიკის პრეზიდენტს პაპის მიერ გაგზავნილ სამშვიდობო ეპისტოლეს გადასცემს.

პრეზიდენტ ბუშის პრეს-მდივანი არი ფლეიშერი აცხადებს, რომ პაპის მოსაზრება ამერიკის პრეზიდენტზე გავლენას ვერ მოახდენს.

თუმცა, კათოლიკური ეკლესიის მეთაურს დიდი გავლენა აქვს საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე, მათ შორის - იმ კათოლიკურ ქვეყნებშიც, რომლებიც ამჟამად უშიშროების საბჭოს წევრები არიან: ჩილესა და მექსიკაზე (უშიშროების საბჭოში კიდევ ერთი კათოლიკური ქვეყანაა - ესპანეთი, მაგრამ იგი ამერიკას უჭერს მხარს). **როიტერი**

# არჩევნები ესტონეთში

შოთა უტიაშვილი

კვირას ესტონეთში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. ესტონელები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე მეოთხე პარლამენტს (ბალტიის ქვეყნებში - სეიმს) ირჩევდნენ. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, დიდი უპირატესობით ლიდერობს მემარცხენე "ცენტრისტული პარტია". მის ამომრჩეველთა უმეტესობას უმუშევრები და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები შეადგენენ.

"გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ," – განუცხადა რეპორტიორებს ცენტრისტული პარტიის ლიდერმა, ტალინის მერმა ედგარ სავისაარმა.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ესტონეთი დაუყოვნებლივ შეუდგა დასავლური სტილის საბაზრო ეკონომიკის მშენებლობას. ქვეყნის მთავარი დევიზი ამ წლების მანძილზე - "დაბრუნება ევროპაში", ახდენილ ოცნებად ჩანს მას შემდეგ, რაც ნატო-მაც და ევროკავშირმაც ესტონეთი ამ გაერთიანებების წევრად მიიწვია. ორივე ორგანიზაციაში გაწევრიანება 2004 წელს უნდა მოხდეს.

მაგრამ, რეფორმების ათმა წელმა ქვეყნის სოციალური ქსოვილი საკმაოდ დაჭიმა. 1,4 მილიონიან ქვეყანაში ბევრი თავს სახელმწიფოს მიერ გარიყულად მიიჩნევს.

"მე სავისაარს მივეცი ხმა, – ამბობს გალინა, უმუშევარი მარტოხელა დედა რუსულენოვანი უმცირესობიდან, – ის ძლიერი პიროვნებაა და შეძლებს იმ ორმოდან ჩვენს ამოყვანას, რომელშიც ჩაფლულნი აღმოვჩნდით".

"ცენტრისტული პარტია" აცხადებს, რომ იგი გაჭირვებულ ხალხს წარმოადგენს. ასეთი კი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში, რომელსაც სოციალური უზრუნველყოფის განუვითარებელი ქსელი გააჩნია, საკმაოდ ბევრია. ამ ხალხის გულის მოგებამ პარტია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში ლიდერად აქცია. მას ამომრჩევლის, დაახლოებით, 30 პროცენტი უჭერს მხარს.

სავისაარი ირწმუნება, რომ თავის საარჩევნო პირობებს შეასრულებს. იგი აცხადებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვებასაც შეძლებს. "ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვინც ჩვენს ღირებულებებს იზიარებს," – ამბობს იგი.

პოლიტოლოგიის პროფესორი, რეინ ტოომლა ფიქრობს, რომ სავისაარის არჩევამ ღარიბებსა და უმუშევრებს შეიძლება იმედი დაუბრუნოს. "სიღარიბე ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ამ ქვეყანაში, – ამბობს იგი, – იმედი მაქვს, ახალი მთავრობა მეტს იღონებს მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულის ამოსავსებად".

კითხვაზე, უჭერს თუ არა მხარს ესტონეთის ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებას, სავისაარი გამოკვეთილ პასუხს არ იძლევა. არადა, რეფერენდუმი ამ საკითხზე წელს სექტემბერში უნდა გაიმართოს. მისი პოპულიზმისა და ამ მიზეზის გამო, პოლიტიკურ პარტიებს შორის სავისაარს პარტნიორები თითქმის არ ჰყავს. ბევრი დამკვირვებელი აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მისი მოსვლის თავიდან ასაცილებლად, მემარჯვენე მიმართულების პარტიები დაივიწყებენ ურთიერთშორის არსებულ უთანხმოებებს და გაერთიანდებიან.

ექსპერტთა ნაწილი გამოთქვამს შეშფოთებას, რომ სავისაარის მმართველობისას ესტონეთმა, შესაძლოა, ზურგი აქციოს ვაშინგტონსა და ბრიუსელს და მოსკოვისაკენ შემობრუნდეს. თუმცა, ანალიტიკოსთა მეორე ნაწილი ამგვარ შეშფოთებას გაზვიადებულად მიიჩნევს.

"არ მესმის, რატომ უნდა მაღელვებდეს ხელისუფლებაში სავისაარის მოსვლა, - ამბობს სოციოლოგი ანუ ტოოტსი, – ამ ქვეყანაში არც დიქტატურა დამყარდება და არც სოციალიზმი დაბრუნდება".

ესტონეთს, ამჟამად, პრემიერ სიიმ კალასის რეფორმისტული პარტიისა და ცენტრისტების კოალიცია მართავს. რეფორმისტული პარტია ბიზნესის მხარდამჭერად ითვლება. არჩევნების წინ ორი პარტნიორი "სამკვდრო-სასიცოცხლოდ" დაუპირისპირდა ერთმანეთს. სავისაარი პროგრესული საშემოსავლო გადასახადის (რაც მეტია შემოსავალი, მით უფრო მაღალი პროცენტით იბეგრება) დაწესებას მოითხოვდა, კალასი კი მხარს უჭერდა არსებული ერთიანი განაკვეთის (26 პროცენტი) კიდევ უფრო შემცირებას. ამიტომაც, არჩევნები "საგადასახადო რეფერენდუმად" მოინათლა.

საარჩევნო უბნები გუშინ საღამოს 8 საათზე დაიხურა, შედეგები უკვე უნდა იყოს ცნობილი. წინასწარი მონაცემებით, ურნებთან ამომრჩევლების 65 პროცენტი გამოცხადდა.

# ტერაქტის „რეკლამა" მოსკოვის მეტროში

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

როგორც ირკვევა, "მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო მეტროპოლიტენი" დღეს ერთ-ერთი ყველაზე სარისკოა. მოსკოვის სამართალდამცავი ორგანოების ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ტერორისტები მორიგი იერიშის მიტანას დედაქალაქის მეტროპოლიტენზე აპირებენ. მოსკოვის სამართალდამცავი ორგანოების მტკიცებით, ქალაქის მრავალმილიონიანი მოსახლეობა, რომლის შთამბეჭდავი ნაწილი სარგებლობს მიწისქვეშა ტრანსპორტით, დღეიდან მზად უნდა იყოს მოსკოვის მეტროში ქიმიური და ბექტეოროლოგიური შეტევებისათვის.

მოსკოვის მერიაში გამართულ საგანგებო თათბირზე მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, გაზის გამოყენებით ტერორისტული იერიშის წინაშე ყველაზე დაუცველი და უსუსური მეტროპოლიტენია. არსებობს იმის საშიშროებაც, რომ ტერორისტები შეტევას მეტროსადგურების სავენტილაციო არხების გამოყენებით განახორციელებენ. ამიტომაც, მოსკოვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მიიღო საიდუმლო გადაწყვეტილება, მოსალოდნელი ტერაქტის თავიდან ასაცილებლად მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატაროს. თუმცა, მთლად საიდუმლოს ამ ღონისძიებებს ვერ დაარქმევ, რადგანაც გასულ კვირას მოსკოვის ცენტრალური მეტროსადგურებში მოხალისე მგზავრების ნებაყოფლობითი მონაწილეობით სამხედრო სწავლებები ჩატარდა.

ხელისუფლება მოსახლეობას არ უმალავს, რომ ტერაქტი მოსალოდნელია და მეტროს გამოყენების ალბათობა ყველაზე მაღალია. სწორედ ამ მიზნით, საგანგებო სიტუაციათა სამინისტროსა და მერიის გასამხედროებული რაზმები მეტროპოლიტენის მგზავრებს ასწავლიდნენ, საჭიროების შემთხვევაში როგორ უნდა წამოიცვან თავზე აირწინაღი, როგორ უნდა იმოძრაონ ან დააღწიონ თავი გვირაბიდან და როგორ დატოვონ პანიკის გარეშე მეტრო.

მოსკოვის ხელსუფლების ხელთ არსებული მონაცემების პასუხად, კვირა დილით მეტროსადგურ "შაბლოვსკაიაზე" ნამდვილი შოუ გაიმართა: საკაცეებით, "დაზარალებულებით", მაშველებითა და სპექტანსაცმელებით. ესკალატორებზე მუშაობდნენ მოსკოველი ომონელები, რომლებიც მგზავრებს კიბეებზე გაზსაწინააღმდეგო ნიღბებს ურიგებდნენ, დაბლა ჩასულებს ამ ნიღბებს ართმევდნენ და მსურველებს საკაცეებზე აწვენდნენ. ამ შოუმ მგზავრები კი გაახალისა, მაგრამ მეტროში ხელმეორედ ჩასვლის სურვილი ბევრს საბოლოოდ დაუკარგა.

ჩვენს მიერ გამოკითხულ მგზავრთა ერთი ნაწილი კატეგორიულად აცხადებს, რომ მეტროთი აღარ ისარგებლებს. მეორენი კი ამბობენ, რომ ყველაფრის მიუხედავად, იძულებულნი არიან, ისარგებლონ ამ პოტენციურად საშიში ტრანსპორტით. მესამენი შენიშნავენ, რომ რაც გიწერია, იმას ვერ გაექცევი – ვერც თეატრში და ვერც მეტროში. ასეთები უმრავლესობაში არიან. ასე რომ, ხელისუფლების გაფრთხილების მიუხედავად, მოსკოვური მეტრო მაინც ყველაზე ხალხმრავალ ტრანსპორტად რჩება, განსაკუთრებით - პიკის საათებში, როცა წრიულ გადასასვლელებზე მასობრივი ჭყლეტის ხელოვნურად გამოწვევა უბრალო პროვოკაციასაც შეუძლია.

ტრადიციულად ფხიზელი რუსი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ მოსკოვის აფთიაქებში აირწინაღები არ იყიდება. გაზსაწინააღმდეგო ნიღაბი უკვე დეფიციტია და მას ძველ არბატზე, სუვენირების გვერდით თუღა შეხვდები. ასეთი ნიღაბი გადამყიდველებში ორმოცდაათი დოლარი ღირს. აფთიაქებში ნიღბების მსურველთ ჩვეულებრივ მარლის რესპირატორებს სთავაზობენ. ანუ, გამოდის, რომ "ფართოდ რეკლამირებული" მორიგი ტერაქტის წინ მოსახლეობა კვლავ დაუცველი რჩება.

"ნოვაია გაზეტამ" დაბეჭდა ადამიანის ენის დამჭერი სამედიცინო მაკრატლის ფოტოსურათი შემდეგი მინაწერით: " ამ უბრალო ხელსაწყოს შეეძლო "ნორდოსტის" დაზარალებულთა გადარჩენა". ახლა კი, უბრალო მაკრატელთან ერთად, უბრალო ნიღაბიც დეფიციტია. არავინ იცის, ვის რას უმზადებს ხვალინდელი დღე.

მოსახლეობის ერთ ნაწილს თავისი შვილების გამო ეშინია - მოსამსახურეებთან ერთად, მოსკოვის მეტროპოლიტენით დღეს ყველაზე აქტიურად მოსწავლე ახალგაზრდობა და სტუდენტობა სარგებლობს. მეორე მხრივ, მოსახლეობის გაოცებას იწვევს ის, რომ, თუ ხელისუფლებას მართლა აქვს ოპერატიული მასალა მოსალოდნელ ტერაქტზე, რატომ არ ცდილობს იგი მის თავიდან აცილებას, იმ სავენტილაციო ორმოების ელემენტარულ დაცვას, რომელთა უდიდესი ნაწილი ქუჩებში ამოდის და ნებისმიერი გამვლელისათვის, ნებისმიერი "ბომჟისათვის" ხელმისაწვდომია? უსახლკარონი სწორედ ამ მილებთან ათენებენ...

მოსკოველები იგონებენ მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქების პარალელურად რიაზანში გამართულ ე.წ. სწავლებებსაც, რომლის დროსაც ვიღაც ფხიზელმა მილიციონერმა, ფაქტობრივად, დაგეგმილი ტერაქტი ჩაშალა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამბობს, რომ თავს ისე გრძნობს, როგორც ნამდვილ ხაფანგში.

# ირანელმა რეფორმატორებმა მარცხი იწვნიეს

რევაზ ბახტაძე

წინასწარი მონაცემებით, ირანში გამართულ ადგილობრივ არჩევნებში კონსერვატულმა ძალებმა გამარჯვებას მიაღწიეს. ირანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო "ირნა" თეირანის მერის მონაცემებს იმოწმებს, რომლის თანახმად, დედაქალაქის საბჭოს 15 ადგილიდან 14 კონსერვატორებმა მოიპოვეს.

წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას კონსერვატორთა კოალიცია ამტკიცებდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში "ისლამური რევოლუციის მიღწევებს დაიცავდა" და "მატერიალისტ პიროვნებებს, ჯგუფებსა და პარტიებს გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენაში" ხელს შეუშლიდა.

ეს რეფორმატორი პრეზიდენტის, მოჰამად ხათამისათვის დიდი დარტყმაა, რომლისთვისაც ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები მისი ექვსწლიანი მმართველობის ერთგვარი გამოცდა იყო.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მონაცემებით, თეირანში ამომრჩეველთა, მაქსიმუმ, 20 პროცენტი მივიდა. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ დედაქალაქში ამომრჩეველთა აქტიურობა 10 პროცენტს არ აღემატებოდა.



ოპოზიციონერი პარლამენტარი გამარჯვებას ზეიმობს.

ირანის მოსახლეობამ პარასკევს გამართულ ადგილობრივ არჩევნებში 905 ქალაქისა და 34 205 სოფლის საბჭოები აირჩია.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ეს პირველი სერიოზული მარცხი იყო რეფორმატორებისა, რომლებიც 1997 წელს პრეზიდენტ მოჰამად ხათამის მეთაურობით მოვიდნენ ხელისუფლებაში და 65-მილიონიან მოსახლეობას დემოკრატიული რეფორმების გატარებას დაჰპირდნენ.

"ჩვენ ვაღიარებთ, რომ არჩევნები წავაგეთ და მიგვაჩნია, რომ ამ დამარცხებიდან შესაბამისი დასკვნები უნდა გავაკეთოთ", - "ირნასთან" საუბრისას აღნიშნა ალი შაქურირადმა, პრორეფორმისტული ისლამური ირანის ფრონტის მაღალი თანამდებობის პირმა.

"ამ დამარცხებამ ჩვენი გზა უფრო გაართულა", - დასძინა მან.

მიმომხილველების აზრით, არჩევნების შედეგები საზოგადოების იმედგაცრუებას ასახავს, რომლებიც რეფორმების ტემპით უკმაყოფილოები არიან, განსაკუთრებით უკმაყოფილოა ირანის აქტიური ახალგაზრდობა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 41-მილიონიან ამომრჩეველთა უმრავლესობა 30 წელზე ახალგაზრდაა.

ამასთანავე, მოსახლეობის დაბნეულობა და გაღიზიანება გამოიწვია თავად რეფორმატორთა ბანაკში არსებულმა განხეთქილებამ. შეუთანხმებლობის გამო, ადგილობრივი არჩევნების დროს რეფორმატორთა გუნდის წარმომადგენლებს სამი, ერთმანეთის კონკურენტული სია ჰქონდათ წარმოდგენილი.

ირანის ისტორიაში ეს მეორე ადგილობრივი არჩევნები იყო. პირველად ამგვარი არჩევნები 1999 წელს ჩატარდა, რაც პრეზიდენტი ხათამის სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის ნაწილი იყო.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისაგან განსხვავებით, კანდიდატებს არ აკონტროლებს რევოლუციის მცველთა საბჭო, სადაც მთლიანად კონსერვატორები არიან თავმოყრილნი. წარმოდგენილ კანდიდატურებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, სადაც წამყვან პოზიციებს სწორედ რეფორმატორები ფლობენ.

# პრეზიდენტის საჩივარს „მზაკვრული და შორს მიმავალი გეგმები" ჰქონია

*უახლოეს დღეებში, შესაძლოა, კვლავაც გაგრძელდეს სამედიცინო ობიექტების დახურვა, პრივატიზაციისა და ოპტიმიზაციის პროცესი. ამას ცოტა ხნის წინ პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ უზენაეს სასამართლოში შეტანილი სარჩელი მოითხოვს. ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ქვეყანაში მიმდინარე ოპტიმიზაციის პროცესს არსებული ფორმით ეწინააღმდეგებიან და მის დროულად შეჩერებას მოითხოვენ.*

ეთერ მამულაშვილი

ქვეყანაში სამედიცინო დაწესებულებების რესტუქტურიზაციისა და ოპტიმიზაციის პროცესი, დაახლოებით, ორი წლის წინათ, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, დაიწყო. გასული წლის მიწურულს კი "ლეიბორისტული" პარტიის წევრმა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავჯდომარემ, კახა ძაგანიამ, ბრძანებულების გაუქმების მოთხოვნით, საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. საკითხის სირთულიდან გამომდინარე, მისი შესწავლა და არსებითი განხილვა დროში გაწელილი პროცესია, ამიტომ კახა ძაგანიამ დამატებითი სასარჩელო განაცხადი შეიტანა საოლქოში და მოსამართლის საბოლოო ვერდიქტამდე პრეზიდენტის ხსენებული ბრძანებულების შეჩერება მოითხოვა. საოლქო სასამართლომ საკუთარი განჩინებით "ლეიბორისტის" ეს შუამდგომლობა უყოყმანოდ დააკმაყოფილა. ამის გამო, პრეზიდენტი შევარდნაძე აღშფოთდა და უზენაეს სასამართლოში კერძო საჩივარი შეიტანა.

პრეზიდენტის იურიდიულ დეპარტამენტში ფიქრობენ, რომ საოლქო სასამართლომ კანონი დაარღვია, როცა კახა ძაგანიას მოთხოვნა დააკმაყოფილა. დეპარტამენტის თავჯდომარემ, თამაზ ბარაბაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ნორმატიული აქტის შეჩერებას არ ითვალისწინებს, **"პრეზიდენტის ბრძანებულება კი ნორმატიულ აქტთა კატეგორიას განეკუთვნება. საოლქო სასამართლომ უკანონო განჩინება გამოიტანა, სწორედ ამიტომაც გასაჩივრდა იგი",** - აგვიხსნა თამაზ ბარაბაძემ.

სულ სხვას ამბობენ "ლეიბორისტულ" პარტიაში. პარტიის იურისტი, გიორგი გუგავა ირწმუნება, რომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერია და პრეზიდენტის კერძო საჩივარს ამ შემთხვევაში "მზაკვრული და შორს მიმავალი გეგმები" აქვს. **"შევარდნაძის ხელისუფლებას უნდა, რაც შეიძლება მალე, საპარლამენტო არჩევნებამდე მოასწროს იმ საავადმყოფოების გაყიდვა, რაც დარჩა. არჩევნების შემდეგ მისი ძალაუფლება აშკარად შესუსტდება - რომ იტყვიან, შევარდნაძე მოსწრებაზეა. ნახეთ, რა გზას დაადგა პრეზიდენტი. შევარდნაძემ სწორედ პროცესის შეჩერება გააპროტესტა. მას რომ შესაგებელი სარჩელი შემოეტანა, კიდევ გასაგები იქნებოდა. სწორედ ამიტომაც, გაგვიჩნდა სერიოზული ეჭვი, რომ პრეზიდენტს სასწრაფოდ სჭირდება ამ პროცესის გაგრძელება",** - გვითხრა გუგავამ, რომელიც დარწმუნებულია, რომ, საოლქო სასამართლოს დახმარებით, პრეზიდენტის ბრძანებულებას იოლად გააუქმებს. ამის თქმის საფუძველს "ლეიბორისტებს" საკონსტიტუციო სასამართლოში მიღწეული ტრიუმფი და გამარჯვება აძლევს.

"მშრომელებმა," შესაძლოა, საოლქო სასამართლოში მორიგი გამარჯვება მართლაც იზეიმონ, მაგრამ საოლქოს სხვა ვერდიქტიც არაა გამორიცხული - უზენაესი სასამართლო პრეზიდენტის სარჩელს დააკმაყოფილებს და საავადმყოფოების პრივატიზაციის პროცესი კვლავაც გაგრძელდება. "ლეიბორისტები" შიშობენ, რომ უზენაესი სასამართლო კანცელარიის წნეხს ვერ გაუძლებს და შევარდნაძის "უსამართლო" მოთხოვნა კვლავაც ძალაში შევა.

არადა, ახალგაზრდა იურსიტთა ასოციაციის წევრის, გიორგი ჩხეიძის ნათქვამს თუ ვენდობით, უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტის საჩივარი არ უნდა დააკმაყოფილოს. ჩხაიძის განმარტებით, დღეს მოქმედი კანონმდებლობა ნორმატიული აქტის შეჩერებას ითვალისწინებს და მოსარჩელის მხრიდან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ აქტის შეჩერებას რაიმე გამოუსწორებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. **"არ მგონია, რომ საოლქო სასამართლოს ოდესმე ისეთი ნორმატიული აქტი შეეჩერებინოს, რომელიც გამოუსწორებელ შედეგს მოგვიტანს. რამდენადაც ვიცი, პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულება საავადმყოფოების რესტუქტურიზაცია - ოპტიმიზაციას ეხება და, ვფიქრობ, ამ ბრძანებულების რამდენიმე თვით, საოლქო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე, შეჩერება სახელმწიფოსთვის ზიანის მომტანი არ უნდა იყოს",** - აღნიშნა ახალგაზრდა იურისტმა "24 საათთან" საუბრის დროს.

უზენაესი სასამართლო პრეზიდენტის სარჩელის განხილვას უახლოეს დღეებში დაიწყებს და, სავარაუდოდ, ეს პროცესი მარტის ბოლომდე გაგრძელდება.

თუკი უზენაესი, საოლქო სასამართლოს განჩინებას გააუქმებს, "ლეიბორისტები" მათთვის ტრადიციად ქცეული საპროტესტო აქციებით და ხმაურიანი პრესკონფერენციებით იმუქრებიან.

არასამთავრობო ორგანიზაციის "ექიმთა და პაციენტთა უფლებების დაცვის კავშირის" თავმჯდომარე, ვახტანგ მეგრელიძე "ლეიბორისტებს" მხარში ამოდგომას ჰპირდება. **"ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უზენაესი. არ არის გამორიცხული, ჩვენც შევიტანოთ სარჩელი სასამართლოში კონკრეტული საავადმყოფოს ან პოლიკლინიკის პრივატიზაციის შეჩერების მოთხოვნით. ზოგადად, ოპტიმიზაციის პროცესს ვემხრობით, მაგრამ არა - ამ სახით",** - ამბობს მეგრელიძე.

# გაცრუებული იმედების კვირა

მაკა ჭაიანი

*შაბათს, დილის 5 საათზე თბილისში მორიგი, სამბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა, რომელიც, თითქმის, არავის უგრძვნია. გასულ კვირას საქართველოს მთავარი თუ სხვა ქალაქების მოსახლეობა ისე აყანყალეს "პოლიტიკურ ტალღებზე", სხვაგვარი რეაქცია წარმოუდგენელიც იქნებოდა. ამ ტალღებს "ელექტროენერგიის შემცირებული ტარიფი" და "გაზრდილი მინიმალური ხელფასი" ერქვა. მათ აგორებას დიდი ძალები დასჭირდა, თუმცა ჯერჯერობით, ზღვის ავადმყოფობის მთავარი სიმპტომის გარდა, მოქალაქეებისთვის არაფერი მოუტანია.*



*ელექტროენერგიაზე ენერგიულად კამათობენ.*

ასეთ შედეგებზე პოლიტიკოსებმა თავად იზრუნეს. ლეიბორისტების, როგორც მათივე წარმომადგენლები ამბობენ, უმნიშვნელოვანესი "ენერგეტიკული მიღწევა" სხვა პარტიებმა ისე განაქიქეს, შრომის პარტიის რამდენიმეთვიანი გულზე მჯიღების კვრისა და ფრიად ამაყი გამოხედვისგან, თითქმის, არაფერი დარჩა. თბილისის საკრებულოში "აღორძინების" სიით გასული, "თბილისელი" დავით იოსელიანის განცხადებით, დღეს ლეიბორისტების ხმაურიანი სასამართლო პროცესით დედაქალაქის მცხოვრებლებმა კი არა ხელისუფლებამ იხეირა - განსხვავებას ( ძველსა და ახალ ტარიფს შორის) თბილისელებს ბიუჯეტი უნაზღაურებდა. ახლა იგი ამას აღარ გააკეთებს და ხალხი, რეალურად, მხოლოდ ორნახევარი მეათედი თეთრის შეღავათს ნახავს.

ღირდა თუ არა ამისთვის ასეთი ამბის ატეხვა, ცალკე საუბრის თემაა. შრომის პარტიის მთავარი წევრი, შალვა ნათელაშვილი კი ახლა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას უჩივის. მოტივი დაუმორჩილებლობა გახლავთ. სწორედ ასე აფასებს ბატონი შალვა სემეკის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას. მისი განცხადებით, ამ გადაწყვეტილების მიხედვით, მოქმედი ტარიფი ისე უნდა შემცირებულიყო, მოსახლეობას მისი გადახდა რომ შეძლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მსგავსი განცხადება თავიანთ უპრეცედენტო პრესკონფერენციაზე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებმაც გააკეთეს, თუმცა, მათ გადაწყვეტილებაში ასეთი რამ არ ჩანდა.

სად რა ჩანდა და როგორ, გასულ კვირას ისევე ნაკლებად აწუხებდათ თბილისელებს, როგორც ენერგეტიკული პრობლემებით დატვირთულ დანარჩენ კვირებში. მოსახლეობა აღარ იქექება წვრილმანებში, მას ეს უკვე მოწყინდა. საქართველოს მოქალაქეებს ახლა შედეგები აინტერესებთ და არა მიზეზები. ეს კიდევ ერთხელ და ნათლად გამოჩნდა საკრებულოში გამართულ შეკრებასა და წყნეთის მცხოვრებლების საპროტესტო აქციაზე. პირველს, სადაც ქართველები იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, რომ ზანგები არ არიან, "ეი-ი-ეს თელასის" მხოლოდ ერთი რაიონის წარმომადგენლები სტუმრობდნენ, მეორეს - "თელასის" გენერალური მენეჯერი და პარლამენტის ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, თუმცა შედეგით ვერც ერთი მათგანი ვერ დაიკვეხნის.

მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენა, რომელიც გასული კვირის მთავარ პოლიტიკურ მოვლენად იქცა, მინიმალური ხელფასის 20-დან 115 ლარამდე გაზრდა გახლდათ. გაერთიანებული დემოკრატებისა და აღორძინების კავშირის "თემატური სიახლოვით" შემცბარ მოსახლეობას მთავრობამ გონზე მოსვლა არ აცალა, ისე ჩაუკლა შედარებით უკეთესი მომავლის იმედი. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, მთავარი კანონმდებლების მიერ გადაწყვეტილების მიღების დღესვე განაცხადა, - საეჭვოა, ეს დადგენილება შესრულდეს, საქართველოს პარლამენტს ბევრი ხმაურიანი დადგენილება მიუღია, მაგრამ ვერ შესრულებულაო. ასე დასვეს გატეხილ ვარცლთან, ჰა და ჰა, თვალებში ნაპერწკალანთებული ქართველები.

კიდევ ერთმა, ამჯერად საპირისპირო ხასიათის ნაპერწკალმა გაიელვა თბილისელების თვალებში, პარლამენტის ვიცე-სპიკერის გაბრაზება რომ იხილა. გიგი წერეთელი იმ აღმოჩენამ გააბრაზა, მიწისძვრით დაზარალებული დედაქალაქელების მონახულებისას რომ გააკეთა. დაზარალებულებს ხელისუფლება არაფრით ეხმარება, მათთვის არანაირი პროგრამა არ მოქმედებსო, მიწისძვრის წლისთავზე დაასკვნა წერეთელმა. თვალსა და ხელს შუა ნგრევადი სახლების შემყურე სხვა ჩინოვნიკები კი უწყინარ განმარტებებს იძლევიან, თავის დროზე, ამ შენობების უსაფრთხოების თაობაზე, ნაჩქარევი დასკვნები გაკეთდაო. იმას არავინ იხსენებს, პრეზიდენტის ფონდიდან დაპირებული 1 მილიონი ლარის მიღებას დაზარალებულთა ფონდი 5 თვე რომ ელოდა.

დანგრეული თუ დასანგრევი შენობების პარალელურად, საქართველოს დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, გასული კვირის განმავლობაში, აშენებული თუ გარემონტებული მოედნებისა და კოლექტორების მონახულებასაც ახერხებდნენ. ჩვენი ქალაქის მთავრობა და პარლამენტი ერთმანეთს დაუფარავად ეჯიბრებიან. საკრებულო აშკარად ლიდერობს. მარტო ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, მისი თვალი მისწვდა: თბილისის დასუფთავების, მოწყალების მთხოვნელი ბოშებისაგან ქუჩების გაწმენდის, საკოლმეურნეო ბაზრებისა და მათი მფარველების, სანიტარიული მდგომარეობისა და სხვა იმდენად მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებსაც, საკრებულოს ხელიც თუ მისწვდა, დედაქალაქი საგრძნობლად ამოისუნთქავს.

გასული კვირის დასაწყისში მუნიციპალური სკოლების წინააღმდეგ, "აღორძინების" სახელით, გაილაშქრა თბილისის განათლების სამმართველოს ყოფილმა ხელმძღვანელმა, გია მარუაშვილმა, რომელიც თანამდებობიდან განათლების მოქმედმა მინისტრმა გაათავისუფლა. კვირის ბოლოს, იუსტიციის სამინისტრომ, თბილისის საკრებულოს ეს გადაწყვეტილება რეგისტრაციაში გაატარა. ქალაქის პარლამენტართა თქმით, უკვე დაფუძნებულ და ახალი დებულებებით შეიარაღებულ თბილისის სკოლებს ახალი ამბავი გზაში "დაეწიათ". ახლა დედაქალაქში 1 ივნისის დადგომას და სკოლებში სამეურვეო საბჭოების დასაკომპლექტებლად საჭირო ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას ელიან. აი, დირექტორების არჩევას კი, როგორც აღმოჩნდა, 2005 წლამდე დააგვიანდება.

ეს პირველი და უკანასკნელი "დამგვიანებელი" არ არის მათ შორის, რაც ჩვენთვის უკვე სისხლხორცეულადაა საჭირო, მაგრამ ჯერ ჰორიზონტზეც არა ჩანს.





*საკრებულომ, მერიამ და პარლამენტმა აშენებულ, დასანგრევ და დანგრეულ ობიექტებზე გასვლას მოუხშირა.*

# „აზოტში" ასაფეთქებელი მასალების წარმოებას დაიწყებენ

სამხედრო ექსპერტები სრულიად უსაფრთხოდ მიიჩნევენ რუსთავის ქარხანა "აზოტში" ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოების დანერგვას. ამ ასაფეთქებელ ნივთიერებებს ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილის-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობებისათვის გამოიყენებენ. სავარაუდოდ, ქარხანა წელიწადში 5 ათასი ტონა პროდუქციას გამოუშვებს, რომლის ექსპორტირებაც, საქართველოს გარდა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და ცენტრალურ აზიაში მოხდება.

თავდაცვის სამინისტროს კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უფროსს, პოლკოვნიკ გიორგი თავაძეს მიაჩნია, რომ საწარმოს ახალი პროდუქცია მეტი არაფერია, თუ არა სამრეწველო ფეთქებადი ნივთიერება და სამხედრო დანიშნულებით მისი გამოყენება შეუძლებელია. იგი არც გადაკეთებას ექვემდებარება. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** „სახალხო ფრონტის" ლიდერი, ნოდარ ნათაძე კატეგორიულად არ ეთანხმება ქართველ კომუნისტთა ნაწილის იდეას, რომელიც 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის ადგილას თბილისში სტალინის ძეგლის აღმართვას ეხება და ამ ტრაგიკული თარიღის სიმბოლოდ ერეკლე II-ის ან ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლის დადგმას მოითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, „საქართველოს ერთიანი ელექტროსისტემა", ენგურჰესი და დასავლეთის სხვა ჰესები ელექტროენერგიაზე 1 მარტიდან ტარიფის შემცირებას უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებენ. მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ სემეკის მიერ ტარიფის შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეკონომიკურ გათვლებს არ ეყრდნობოდა. **მედია-ნიუსი**

**ქუთაისი.** ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ქუთაისში მოსახლეობის გამრიცხველიანების პროცესი დაიწყო. **USAID**-ის პროგრამის ფარგლებში 1100 უახლესი მოდელის ელექტრომრიცხველი, სპეციალური კარადები, კაბელები და სამონტაჟო გამტარები ჩამოიტანეს.

სამუშაოები ჯერ მხოლოდ ერთ უბანში - გამსახურდიას და ჭავჭავაძის ქუჩებზე მდებარე მაღლივ კორპუსებში მიმდინარეობს. **ინტერ-პრესი**

**თბილისი**. "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" თბილისის მოსახლეობასთან ერთად "ეი-ი-ეს თელასის" ბიზნეს-ცენტრების პიკეტირებით იმუქრება. ლეიბორისტები "ეი-ი-ეს თელასს" საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობასა და საქართველოს კანონმდებლობის უხეშ დარღვევაში ადანაშაულებენ. **ინტერ-პრესი**

# შეღავათისთვის ცნობის ასაღებად საომარი შემართებაა საჭირო

*ელექტროენერგიაზე შეღავათების აღდგენამ, მოსახლეობის გარკვეული კატეგორია, ძალზე გაახარა. თუმცა, მოქალაქეთა ნაწილმა ამ შეღავათით სარგებლობა, შეიძლება, წლის ბოლომდეც ვერ მოახერხოს.*

ნანა ქადაგიშვილი

ახალი წლიდან ელექტროენერგიის ქვითარზე მეორე მსოფლიო ომში, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიასა და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაჭრილ-დაღუპულთა ქვრივებისა და მათი ოჯახის დანარჩენი წევრებისთვის, აღნიშნული ბრძოლების მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პენსიონერებისთვის, აგრეთვე, შეიარაღებული ძალების ვეტერანებისთვის სასიამოვნო ინფორმაცია გაჩნდა. ამიერიდან, მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ნაწილს კვლავ სახელმწიფო გადაიხდის, ხოლო გასული წლის 18 აპრილიდან დღემდე სრულად გადახდილი საფასური წინაგადახდაში ჩაეთვლებათ. სხვათა შორის, შეღავათი საკმაოდ საგრძნობია - ომის მონაწილეებისთვის ზამთარში - 125 კილოვატსაათი, ხოლო ზაფხულში - 62 კილოვატსაათი. მოქალაქეთა ხსენებულმა კატეგორიამ, ამ შეღავათით რომ ისარგებლოს, თავდაცვის სამინისტროში ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაიაროს, შემდეგ აქ მიღებული ცნობით, "ვეტერანთა საბჭოში" გადაინაცვლოს, იქიდან შესაბამისი მოწმობა აიღოს და "თელასში" მხოლოდ ამ მოწმობით შეიარაღებული წარდგეს. ამ, ერთი შეხედვით, არცთუ რთული პროცედურის გავლა მოქალაქეთა უმრავლესობას იმდენი ნერვიულობისა და შრომის ფასად უჯდება, შეღავათი კი არა, სიცოცხლე აღარ უნდათ.

სამინისტროში წელს შესული 1400-ზე მეტი განცხადებიდან მხოლოდ 300 დააკმაყოფილეს. წლევანდელის გარდა, სამინისტროში შარშანდელი განცხადებებიც ბლომად არის. ზოგიერთ მოქალაქეს, რომელმაც განცხადება გასული წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შეიტანა, ცნობა დღესაც არ მიუღია. თავდაცვის სამინისტროს კადრების განყოფილებაში მოქალაქეთა მიღება 14 საათიდან იწყება, მაგრამ ზოგი მოქალაქე რიგში დილის 9 საათიდან დგება, თუმცა, ეს საქმეს ვერ შველის. "ჩვენი ხელისუფლება დახმარების მაგიერ იმაზე ფიქრობს, რითი გაგვაწამოს. ერთი ფარატინა ქაღალდის ასაღებად სამინისტროში თვეობით დავდივართ, ზოგი რაიონიდან ჩამოდის, ყავარჯნიან და გაჭირვებულ ხალხს ყოველკვირა დაატარებენ. ცნობის მოცემას ამდენი დრო რაში სჭირდება, ვერ ვხვდებით. სპეციალურად გვაწვალებენ და იძულებულს გვხდიან, ფული გადავუხადოთ. თავდაცვის სამინისტროში თუ გველირსა ცნობის მიღება, ახლა "ვეტერანთა საბჭოში" მოწმობის აღებას დასჭირდება რამდენიმე თვე და ამასობაში ეს წელი ისე გავა, შეღავათს ვერ გამოვიყენებთ. ზოგს, საფასურის გადაუხდელობის გამო, სინათლე უკვე ჩაუჭრეს, არადა ეს ცნობები დროზე რომ აელო, შეღავათით ისარგებლებდა", - ჩივიან გაწამებული მოქალაქეები და შურით შეჰყურებენ იმ ბედნიერს, ვინც სამინისტროს შენობიდან ყვითელი ცნობის ფურცლით ხელდამშვენებული გადის.

შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა ხელახალი რეგისტრაცია იმიტომ დაიწყეს, რომ წინა წლებში ბევრი ყალბი მოწმობა გაიცა. ამის გამო, წელს რეგისტრაციის პროცედურაც გაამკაცრეს. როგორც თავდაცვის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი, დიმიტრი ლეჟავა ამბობს, ადრე ომის მონაწილის დამადასტურებელი ცნობის გასაცემად სამი პიროვნების დამოწმებაც საკმარისი იყო, ახლა კი ყველაფერს თავიდან ვიკვლევთ და ცნობების გაცემაც ამიტომ ჭიანურდებაო. სხვათა შორის, ამჯერად ცნობის ფურცელი გაყალბებისგან შეძლებისდაგვარად დაცულია. ადრე ჩვეულებრივ ქაღალდზე ბეჭდავდნენ და მისი გაკეთება კომპიუტერზე იოლად შეიძლებიდა. ცნობის ახალ ფურცელს კი განსხვავებული ფერი, ბეჭედი და ნიშნები აქვს.

"სამინისტროში ყოველდღე 70-80 განცხადება შემოდის. ცნობების გაცემაზე კი კადრების განყოფილების 5 თანამშრომელი მუშაობს. მათ ყველა საჭირო საბუთი ხელახლა უნდა გადაამოწმონ. ბევრი მასალა დაკარგული და განადგურებულია. ზოგიც სამხედრო მოსამსახურეებთან, მეთაურებთან სახლში ინახება და იქიდან უნდა გამოითხოვონ. ამიტომაც ანდომებენ ცნობის გაცემას ამდენ დროს. თუმცა, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა განცხადების შემომტანს ყველა საბუთი წესრიგში აქვს და მათ გადამოწმებას დიდი დრო არ სჭირდება. თვეობით რიგში მდგომ მოქალაქეს კი ჰგონია, რომ ამ ადამიანმა ფული გადაიხადა და ამიტომ მისცეს ცნობა სწრაფად", - განმარტავს სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი და მოქალაქეთა ეჭვი რომ გაფანტოს, მომავალი კვირიდან ცნობების გაცემის საქმეს არამსათავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გადააბარებს. არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებისა და იურისტებისგან შეიქმნება 5-კაციანი განყოფილება, რომელსაც პირველ სართულზე მოათავსებენ. ასე რომ, ამიერიდან, ცნობის ასაღებად რიგში ჩამდგარ მოქალაქეებს საქმე სამოქალაქო პირებთან ექნებათ და სამხედროებს კორუფციაში ვეღარ დაადანაშაულბენ.

# „რკინის კაცი" პანკისის ხეობაზე ალაპარაკდა

პირველი გვერდიდან

განსხვავებულია ამჟამინდელ ძალოვანთა მონაცემები. მათი ინფორმაციით, კახა თარგამაძისა და ვახტანგ ქუთათელაძის მიერ დატოვებული მძიმე მემკვიდრეობა ასე გამოიყურებოდა: პანკისის ხეობაში იმყოფებოდა 7 500-მდე ქისტი, 1500 ქართველი, 200-მდე ოსი და 4 500-მდე ჩეჩენი ლტოლვილი. ამავე დროს, ხეობაში თავმოყრილი იყო 100-მდე არაბი, რამდენიმე ათეული ყაბარდოელი და ყარაჩაელი. საერთო ჯამში, ხეობაში იმყოფებოდა სხვადასხვა ეროვნების 700-მდე ბოევიკი.

2000 წლის დასაწყისისათვის პანკისის ხეობაში ბოევიკების სერიოზული კონცენტრაცია მოხდა. დაიწყო მოქმედება სხვადასხვა რადიკალურმა მუსულმანურმა ორგანიზაციებმა, მათ შორის "ახტავანმა", "არსანავეირმა" "ა სალამმა" "ჯამაათ-ისლამმა" და, აგრეთვე, მსოფლიო ისლამურმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ. ხეობაში მყოფი არაბული ეთნოსის წარმომადგენლები სწორედ ამ ორგანიზაციის ემისრები იყვნენ. ხეობაში მოქმედებდა მათ მიერ შექმნილი სამხედრო საწვრთნელი ბაზები, სადაც ბოევიკები გადიოდნენ წვრთნას.

2000-2001 წლებში, ანუ კახა თარგამაძის მინისტრობისას, პანკისის ხეობა უკონტროლო ზონა იყო, სადაც ქართველ სამართალდამცველთა იურისდიქცია არ ვრცელდებოდა და რეგიონს უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და კრიმინალური ჯგუფები ახორციელებდნენ. ხეობას აკონტროლებდნენ რამდენიმე წლის წინ შექმნილი კრიმინალური ჯგუფები, ჰამზად ხანგოშვილის, ვეფხია ჩოფანაშვილ-მარგოშვილის, შოთა ჭიჭიაშვილის დაჯგუფებები, რომელთა დაგეგმილიცაა ყველა გახმაურებული გატაცება.

უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას ინფორმაციით, პანკისში ყველაზე ხალხმრავალი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის იყო, რომელიც 200-250 კაცს აკონტროლებდა და ხეობაში, დაახლოებით, ორი წლის განმავლობაში იმყოფებოდა.

პანკისში აფარებდა თავს სხვა რამდენიმე ცნობილი საველე მეთაურიც, მათ შორის ჰასანოვი, რომელიც 130-150 კაცს აკონტროლებდა. ასევე, ძმები ახმადოვების ცნობილი დაჯგუფება, რომლებიც ადამიანის გატაცებაზე მუშაობდნენ.


კახა თარგამაძე

რაც შეეხება არაბებს, ვალერი ხაბურძანიას თქმით, ხეობაში იმყოფებოდნენ არაბული ეთნოსის ცნობილი მუსულმანი ემისრებიც, მათ შორის - ხატაბთან, "ალ-ქაიდასთან" და ბინ ლადენთან კავშირში მყოფი აბუ ხაფსი. უშიშროების მინისტრის მტკიცებით, აბუ ხაფსის გარდა, პანკისის ხეობაში ხატაბთან დაახლოებული სხვა მნიშვნელოვანი ფიგურებიც იმყოფებოდნენ, რომელთა დაფინანსება, ძირითადად, სხვადასხვა საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მეშვეობით ხდებოდა.

ძალოვან სამინისტროთა მონაცემებით, ასეთი რთული ვითარება იყო პანკისის ხეობაში 2001 წლის დეკემბრისთვის, თარგამაძისა და ქუთათელაძის გადაყენების შემდეგ. პანკისის ხეობა გასული წლის 25 აგვისტოს დაწყებული ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციების შემდეგ გასუფთავდა.

მონაცემები (გაცილებით მძაფრსიუჟეტიანიც), რომელიც ზემოთ შემოგთავაზეთ უშიშროებისა და შს მინისტრებს არაერთხელ განუცხადებიათ მთავრობის სხდომებზე თუ მასმედიისთვის მიცემულ ინტერვიუებში. პანკისის ხეობის დალაგება ნარჩემაშვილ-ხაბურძანიასთვის მათი საქმიანობის ყველაზე დიდ წარმატებად იყო მიჩნეული და ეს თემა ორივე მინისტრს თავის საქებრადაც არაერთხელ გამოუყენებიათ.

თუმცა, ახლა, როცა კახა თარგამაძე მათ "დიდ ღვაწლს" აბათილებს, ორივე მინისტრი, ნარჩემაშვილიცა და ხაბურძანიაც, რატომღაც დუმილს არჩევს. "ვალერი ხაბურძანიამ მასმედიასთან ურთიერთობა გაწყვიტა. რაც მეტს ლაპარაკობს, მით მეტად აკრიტიკებენ," – ასეთი იყო უშიშროების მინისტრის გუშინდელი რეაქცია. რაც შეეხება ჩატარებული ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის ხელმძღვანელს კობა ნარჩემაშვილს, - " როგორ გგონიათ, მინისტრი კომენტარს გააკეთებს თარგამაძის განცხადებაზე? ეს გამორიცხულია," – ასეთია მისი უწყების წარმომადგენელთა პოზიცია. ერთი სიტყვით, "რკინის კაცს" ნარჩემაშვილ-ხაბურძანია რატომღაც პასუხს ვერ აძლევენ.

# პანკისის ხეობაში მომხდარ თავდასხმაში ექვმიტანილი დააკავეს

პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციის ახალი ფაზის დაწყებისთანავე ხეობაში მომხდარი ინციდენტის მონაწილეები პოლიციას ჯერ არ დაუკავებია.

კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის, ზურაბ ტუშურის ინფორმაციით, სოფელ ჯოყოლოსა და ბირკიანის საზღვარზე მომხდარი თავდასხმის მონაწილეების თაობაზე მონაცემები ძალოვანებმა მეორე დღესვე მოიპოვეს. ხეობაში ამჟამადაც მიმდინარეობს პოლიციისა და შინაგანი ჯარების პატრულირება მძიმე ტექნიკის გამოყენებით. მოწმდება ყველა საეჭვო სახლი. ერთ-ერთი რეიდის დროს პოლიციამ ორი ჩეჩენი დააკავა, რომელთაგან ერთი - მოგვიანებით, დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. თანაც, მან კანონდამცველებს პირადობისა და ლტოლვილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები წარუდგინა. არსებული ინფორმაციით, კანონდამცველების მიერ დაკავებულმა მეორე ჩეჩენმა ხადაკაევმა პოლიციას ვინაობის დამადასტურებელი საბუთები ვერ წარუდგინა. თუმცა, უკვე დადგინდა, რომ ხადაკაევს საგუშაგოზე მომხდარ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია. პოლიცია ამჟამად ამზადებს დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომ ხადაკაევი საქართველოში რეგისტრაციის გარეშე, უკანონოდ ცხოვრობდა. კახეთის პოლიციის სამმართველო შეგროვებულ მასალებს და შუამდგომლობას ხადაკაევის საქართველოდან გაძევების მოთხოვნით, დღეს იუსტიციის სამინისტროს გამოუგზავნის. იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებამდე, დაკავებული ჩეჩენი ახმეტის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში დარჩება.

მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით კი, ახმეტის პროკურატურამ უკვე სისხლის სამართლის საქმე აღძრა - დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით.

კახეთის პოლიციის სამმართველოს უფროსის ზურაბ ტუშურის განცხადებით, ინციდენტში ექვმიტანილია სერიოზული კრიმინალური ჯგუფი, რომელთა დასაკავებლადაც ხეობაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება. "ჩვენ გვაქვს სერიოზული ინფორმაციები კონკრეტულ დამნაშავეებთან დაკავშირებით, ვმუშაობთ მათ დასაკავებლად," – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ზურაბ ტუშურმა.

პანკისის ხეობაში იმყოფება და მომხდართან დაკავშირებით ანგარიშს იბარებს ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის ხელმძღვანელი, შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი.

# ამერიკამ ბინ ლადენის მოადგილე დააპატიმრა

აშშ-ს პრეზიდენტმა სპეცსამსახურების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას ბოლო წლებში ყველაზე წარმატებული ოპერაცია უწოდა. საქმე ისაა, რომ პაკისტანში დააკავეს "ალ-ქაიდას" ერთ-ერთი ლიდერი, ბინ ლადენის მოადგილე, 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზატორი, ხალიდ შეიხ მუჰამედი. მისი სახელი აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ შედგენილ ყველაზე საშიშ დამნაშავეთა 10-კაციან შავ სიაში იყო შეყვანილი. "იგი მხოლოდ 11 სექტემბრის ტერაქტის დამგეგმავი არ ყოფილა, ხალიდ შეიხ მუჰამედი ყველა ბოლო დროს მომხდარი ტერორისტული შეტევის მთავარი გმირი იყო," – ასეთი განცხადება გააკეთეს ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს წარმომადგენლებმა.

პაკისტანის სპეცსამსახურების მონაცემებით, კუვეიტელ ხალიდ შეიხ მუჰამედს "ალ ქაიდას" დაჯგუფებაში, ბინ ლადენისა და აიმან ალ-ზავახირის შემდეგ, მესამე ადგილი ეკავა. მუჰამედმა განათლება ამერიკაში მიიღო, დაამთავრა კაროლინის სოფლისმეურნეობისა და პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. იგი არაჩვეულებრივად ფლობს რამდენიმე უცხო ენას, მათ შორის - ინგლისურსაც.

პაკისტანის ხელისუფლებამ გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, დაპატიმრებული შეიხ მუჰამედი, დაკითხვის შემდეგ, ამერიკის მართლმსაჯულებას გადაეცა. "ის უკვე აღარ იმყოფება პაკისტანში," – ჟურნალისტებს განუცხადა პაკისტანელმა სამართალდამცველმა, რომლის განცხადებითაც, "შეიხ მუჰამედის დასაკავებლად ჩატარებული ოპერაცია საიდუმლო ვითარებაში, პანიკისა და სროლის გარეშე ჩატარდა".


ხალიდ შეიხ მუჰამედი

ხალიდ შეიხ მუჰამედი და ტერორისტობაში ბრალდებული კიდევ ორი პირი შაბათს დილით, პაკისტანის ქალაქ რავალპინდაში დააპატიმრეს. ოპერაცია პაკისტანის პოლიციამ და აშშ-ს გფბ-მ ერთობლივად ჩაატარა პაკისტანის ერთ-ერთი უმსხვილესი დაჯგუფების "ჯამაათ ისლამის" წევრის სახლში.

ამერიკის სპეცსამსახურები შეიხ მუჰამედს წლების განმავლობაში ეძებდნენ. იგი დადანაშაულებულია 1995 წლიდან მომხდარი ყველა ტერორისტული აქტის ორგანიზატორობაში. პირადად მისი დაგეგმილია ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 11 სექტემბერს განხორციელებული ფართომასშტაბიანი აფეთქებები. ამერიკის ხელისუფლებას შეიხ მუჰამედი 25 მილიონ დოლარად ჰყავდა შეფასებული.

ექსპერტთა აზრით, ეს დაპატიმრება "ალ ქაიდას" ტერორისტული ქსელისთვის მიყენებული, ფაქტობრივად, გამანადგურებელი დარტყმაა.

"ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ეს დაპატიმრება თეთრ სახლში ზეიმით აღნიშნეს, სადაც პრეზიდენტმა ბუშმა გფბ-ს მიერ ჩატარებული ფანტასტიკური ოპერაციის თაობაზე სამადლობელი სიტყვები უხვად დაარიგა. თეთრი სახლის პრეს-მდივანმა არი ფლეიშერმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას ამერიკის ხელისუფლების სახელით აშშ-სა და პაკისტანის სპეცსამსახურებს კიდევ ერთხელ მიულოცა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ოპერაციის წარმატებით ჩატარება – შეიხ მუჰამედის დაპატიმრება.

ხალიდ შეიხ მუჰამედის ამერიკაში ექსტრადიციის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. საagenტო "Reuters"-ის ინფორმაციით, ამერიკის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ბინ ლადენის "მარჯვენა ხელს" შეიხ მუჰამედს გადაიყვანენ მესამე ქვეყანაში, სადაც მისი დაკითხვა მოხდება. "არ შემიძლია დაზუსტებით თქმა, მოხდება თუ არა შეიხ მუჰამედის ამერიკაში ექსტრადიცია," - განაცხადა პაკისტანის ინფორმაციის მინისტრმა შეიხ რაშიდ ახმადმა.

ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადებით, "ექსტრადიცია იურიდიული ნორმაა და ექსტრადირებულს უფლება ეძლევა გამოიყენოს ეჭვმიტანილისადმი მინიჭებული ყველა უფლება. ამერიკის ხელისუფლებამ თავისი პოზიცია ცალსახად დააფიქსირა - იგი მზადაა გამოიყენოს ყველა გზა, რათა დაპატიმრებულისგან მიიღოს დეტალური ჩვენება. მით უმეტეს, რომ შეიხ მუჰამედი უკვე განხორციელებული ტერაქტების გარდა, ამერიკის წინააღმდეგ დაგეგმილი ახალი ტერორისტული აქტების ორგანიზატორობაშიცაა ბრალდებული," - განუცხადა სააგენტო "Reuters"-ს თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

# ნაცისტთა დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ აქვს

BBC-ს ცნობით, ლატვიის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც 10 ათასი დოლარის ოდენობით ჯილდოს სთავაზობს მათ, ვინც მიაწოდებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ნაცისტური სამხედრო დამნაშავეების სასამართლოსთვის გადაცემაში დაეხმარებათ.

ეს განცხადება ნაწილია ამერიკული ორგანიზაციის Simon Wiesenthal Center-ის მიერ წამოწყებული კამპანიისა, რომელიც მიზნად ისახავს ნაცისტი დამნაშავეების გამოვლენას. 1941-44 წლებში ლატვიაში ნაცისტებმა და მათმა თანამოაზრეებმა 80 ათასი ებრაელი დახოცეს. გარდა ამისა, ათასობით ებრაელი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან სწორედ ლატვიაში გადაიყვანეს სიკვდილით დასასჯელად. მიუხედავად ამისა, ლატვიის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ანუ 1991 წლიდან, ნაცისტური დანაშაულისთვის არავის უგია პასუხი. გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას ახლავს ფოტო, რომელზეც სიკვდილით დასასჯელად გამზადებული ებრაელები არიან აღბეჭდილნი. ფოტოზე გაკეთებული წარწერა კი მოუწოდებს: "ამაზე პასუხისმგებელნი უნდა დაისაჯონ!" ამას გარდა, ტექსტს ახლავს ლატვიის გენერალური პროკურატურისა და Simon Wiesenthal Center-ის წარმომადგენლობის ტელეფონის ნომრები. ამასთან, ლატვიელი პროკურორები ამბობენ, რომ ნაცისტურ დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა უმეტესობა ცოცხალი აღარ არის. ჯერ კიდევ ჯანმრთელად მყოფთა ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვებისას კი გამოძიება დიდ სირთულეებს აწყდება.

"თუ კი ვინმე მოგვაწვდის ინფორმაციას, მზად ვართ გამოძიება ჩავატაროთ",- ამბობს ლატვიის გენპროკურატურის წარმომადგენელი ძინტრა სუბროვსკა.

2002 წლის ბოლოს მსგავსი განცხადებები უკვე გამოაქვეყნეს ლიტვურმა გაზეთებმა, ახლა უკვე იმავე აქციისთვის ესტონელები ემზადებიან.

"ბი-ბი-სი"-ს ცნობით, ომამდე ლატვიაში 95 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, ომის შემდეგ მათი რიცხვი 4 ათასამდე შემცირდა.

# რუსეთის გენერალური პროკურატურა ლისტევის საქმეს მალე გახსნილად გამოაცხადებს

რუსეთის გენერალური პროკურატურა კვლავ იმედიანადაა განწყობილი და დარწმუნებულია, რომ ბოლო ათწლეულში მომხდარი მკვლელობებიდან ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულს – ცნობილი ტელეჟურნალისტის ვლადისლავ ლისტევის მკვლელობის საქმეს, უახლოეს მომავალში გახსნის.

"ლისტევის მკვლელობის გასახსნელად ტარდება კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, იმედს არ ვკარგავთ, რომ ტელეჟურნალისტის მკვლელობის შემკვეთებსა და შემსრულებლებს მალე დავაპატიმრებთ, ამ განცხადების უფლებას გამოძიების მიერ მოპოვებული ახალი სერიოზული მასალები იძლევა," – განაცხადა რუსეთის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა ლეონიდ ტროშინმა. მისი ინფორმაციით, ლისტევის საქმის საგამოძიებო ჯგუფმა ძიების მსვლელობისას გახსნა მძიმე კატეგორიის სხვადასხვა დანაშაულებები.

"8 წლის წინ მომხდარი, ლისტევის შეკვეთილი მკვლელობის შესახებ პროკურატურისთვის უკვე ძალიან ბევრი რამაა ცნობილი, ძალიან ბევრ ბუნდოვან კითხვაზე პასუხი უკვე მოგვეპოვება. ამჟამად ჩასატარებელია ერთი სერიოზული ოპერაცია, რომლის შემდეგაც ლისტევის საქმე გახსნილად გამოცხადდება," – განაცხადა რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ვლადიმირ უსტინოვმა.

# კუ-კლუქს-კლანის წევრს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

მისისიპის სასამართლომ კუ-კლუქს-კლანის წევრი, ერნესტ ავანტსი 8 წლის წინ ჩადენილი მკვლელობისთვის გაასამართლა. იგი ბრალდებული იყო დაქირავებული შავკანიანი მუშის ბენ ჩესტერის მკვლელობაში. დაჯგუფების სხვა წევრებთან ერთად, მან მოიტაცა და დახვრიტა ჩესტერი. განსასჯელმა სასამართლოზე აღიარა მკვლელობა და საბოლოო სიტყვაში განაცხადა: "მე მძულს შავკანიანები, თუ მეღირსა ციხიდან გამოსვლა, კვლავ დავხოცავ მათ." სასამართლომ 72 წლის ერნესტ ავანტსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

# პიატიგორსკში შეიარაღებული სომხები დააკავეს

პიატიგორსკის გზაზე მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს ავტომანქანა "ნივა", რომელშიც ისხდნენ ერთი პიატიგორსკელი და სომხეთის ორი მოქალაქე. სტავროპოლის მხარის შს მთავარი სამმართველოს განცხადებით, მანქანაში აღმოჩენილია "კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატი, კარაბინი "საიგა", იარაღის ხმის ჩამხშობი მოწყობილობა და ასევე, საბრძოლო მასალები. სტავროპოლის მილიციის განცხადებით, დაკავებულები ერთ-ერთი მსხვილი კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს სასაზღვრო ძალების რეფორმირებისათვის გერმანელი ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების პაკეტს გერმანული მხარე საქართველოს მთავრობას მომავალ კვირას გადასცემს. ამ მიზნით, სამშაბათს საქართველოს ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი ოტო შილი. რეკომენდაციების პაკეტს იგი პირადად პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს წარუდგენს.

ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში ოტო შილი შეხვდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძეს და შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს.

რეფორმა, რომელიც გერმანული მოდელით ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით ჩატარდება, სასაზღვრო უწყების პოლიციურ სტრუქტურად გარდაქმნას ითვალისწინებს.

გერმანელმა ექსპერტებმა, რომლებიც თბილისში გასული წლის ივნისში 10-დღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ და საქართველოს სასაზღვრო სისტემის სპეციფიკას გაეცნენ, რეკომენდაციები უკვე შეიმუშავეს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდება ახალი დეპარტამენტი, რომელიც არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებით იქნება დაკავებული.

დეპარტამენტის ჩამოყალიბების შესახებ სათანადო კანონზე იუსტიციის სამინისტრომ მუშაობა უკვე დაიწყო. არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება, ანუ პრობაცია დღემდე იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის. იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო-ადმინისტრაციულ აღსრულებასთან ერთად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება ერთი დეპარტამენტის სფეროში არ უნდა შედიოდეს. პორობაციის დეპარტამენტს საქართველოს ყველა რეგიონში თავისი ბიურო ექნება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** წყალტუბოს რაიონულმა სასამართლომ განიხილა ფირმა "ოქროს საწმისის" დირექტორის ნანა ლომთაძის საქმე და, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის 613 ათასი ლარის დამალვის ბრალდებით, მას ორი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გარდა ამისა, ლომთაძეს ბიუჯეტის სასარგებლოდ 613 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა.

"ოქროს საწმისი" ქუთაისში 1993 წელს შეიქმნა, 1999 წელს კი გაკოტრდა. ფირმის 12 ათასი მეანაბრე დღემდე ითხოვს 16 მილიონ ლარს, რომელიც მათ "ოქროს საწმისში" სხვადასხვა დროს შეიტანეს.

მეანაბრეების სარჩელი ქუთაისის რაიონულმა სასამართლომ იმ მიზეზით არ განიხილა, რომ მოსამართლეთა უმრავლესობა "ოქროს საწმისის" მეანაბრე აღმოჩნდა. **ინტერ-პრესი.**

# აუცილებელია პროფესიული არაპარტიული საარჩევნო ადმინისტრაცია

გია ნოდია

დღეს პრაქტიკულად არ არსებობს პოლიტიკური ძალა, არსებულ საარჩევნო ადმინისტრაციას ხელი რომ არ შეახოცოს. ეს, სხვასთან ერთად, სახელისუფლებო "მოქალაქეთა კავშირსაც" გულისხმობს. სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოზე აუგის თქმა დიდი ხანია არავის უკვირს, მაგრამ შეჯიბრი რომ გამოცხადდეს, რომელია ყველაზე დისკრედიტებული, ცენტრალური საარჩევნო კომისია გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი იქნება. დამსახურებულადაც. განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო რიგი გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მიგვანიშნებს: მისი წევრები უკვე აღარც იწუხებენ თავს, რომ თავის გადაწყვეტილებებს კანონიერების და სამართლიანობის გარეგნული იერი მაინც შეუნარჩუნონ, არ ცდილობენ იმის შენიღბვას, რომ მხოლოდ პარტიული ან პირადი ინტერესი ამოძრავებთ. თუნდაც რუსთავის ბოლო დამატებითი არჩევნების გამო მათი გადაწყვეტილება რად ღირს: დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა სრულიად ნათლად დაამტკიცეს, რომ რუსთავში ამომრჩეველთა რაოდენობა აუცილებელ 30 პროცენტთან მიახლოებულიც კი არ ყოფილა, პრეტენზიების სამართლიანობა უზენაესმა სასამართლომაც ცნო, მაგრამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეს სრულიად არ აინტერესებდა: რა შუაშია კანონი, მინდა და დავამტკიცებ მოცემულ კანდიდატს.

მაგრამ, მიუხედავად თითქმის სრული თანხმობისა, რომ არსებული კომისია უვარგისია, ეს არ არის მთავარი პრობლემა. მთავარი ისაა, რომ ჩვენ არ ვიცით, როგორ უნდა შევქმნათ კარგი კომისია, რომელსაც პოლიტიკური მოთამაშეებიც და საზოგადოებაც ენდობა. თითქმის ყველა თანხმდება, თუ რა არის ცუდი, მაგრამ ძალიან ცოტა რისკავს იმის თქმას, თუ რა იქნებოდა კარგი. პოლიტიკასთან დაახლოებული ადამიანები (პოლიტიკური პარტიებიდანაც და არასამთავრობო ორგანიზაციებიდანაც) კერძო საუბრებში აღიარებენ ამ გაჭირვებას, მაგრამ საჯაროდ და მკაფიოდ თავისი აზრის გამოთქმას უმრავლესობა ერიდება. ამიტომ, ბურთი და მოედანი რჩებათ ერთმანეთთან მოვაჭრე პარტიულ ლიდერებს. სწორედ ისინი განსაზღვრავენ საზოგადოებრივ აზრს.

პარტიული ლიდერები კი მსჯელობენ კომისიების შექმნის მხოლოდ ერთ ვარიანტზე: ესაა პარტიული წარმომადგენლობა წინასწარ დადგენილი კვოტების მიხედვით. ხანდახან ეს პრინციპი ღიადაა წარმოდგენილი (მაგალითად, კომისიებში შევიდნენ იმ პარტიათა წარმომადგენლები, ვინც ბოლო საპარლამენტო (ადგილობრივ) არჩევნებზე 7 ან 4 პროცენტი დააგროვა. ხანდახან, იგივე პრინციპი ინიღბება ხელისუფლების შტოთა ბალანსის მოსაზრებით: ამდენი ადგილი პრეზიდენტს, ამდენი – პარლამენტს, ამდენი – ავტონომიებს, და ა. შ. მაგრამ რაკი ამ სახელისუფლებო ორგანოებს კონკრეტული პარტიების წარმომადგენლები აკონტროლებენ, ყოველგვარ სქემებს ისევ პარტიული გაანგარიშებები უდევს საფუძვლად. შესაბამისად, ამა თუ იმ ვარიანტის მხარდაჭერა ხდება ერთადერთი მოტივით: ვის წარმომადგენლებს ექნებათ უმრავლესობა საარჩევნო კომისიებში. ოპოზიციას მოსწონს ოთხპროცენტიანი ვარიანტი, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება, მას უმრავლესობა ჰქონდეს; ხელისუფლებას მოსწონს შვიდპროცენტიანი, ან სხვადასხვა შტოთა ბალანსის ვარიანტი, რადგან ამ შემთხვევაში ის აღმოჩნდება უმრავლესობაში.

საბოლოო შედეგი ასეთია: ყველა ტალახს ესვრის არსებულ საარჩევნო კომისიას, მაგრამ, ამავე დროს, ყველა მოითხოვს, რომ შეიქმნას ზუსტად ასეთივე კომისია, რომელიც არაფრით უკეთესი არ იქნება თავის წინამორბედზე. პარტიული წარმომადგენლობის პრინციპით შექმნილი კომისია ჩვენ უკვე გვაქვს და სწორედ ეს პრინციპია იმის ერთ-ერთი უმთავრესი, თუ არა უმთავრესი, მიზეზი, რის გამოც საქართველოში არჩევნები სულ უფრო და უფრო ცუდად ტარდება.

## რატომ არ შეიძლება პარტიული პრინციპით შექმნილი კომისია კარგი იყოს

მთავარი და მარტივი მიზეზი, რის გამოც პარტიული პრინციპით შექმნილი საარჩევნო კომისია არ ივარგებს, არის ის, რომ მის წევრებს არც კი ევალებათ, მიუკერძოებელნი იყვნენ. მათ, განსაზღვრების თანახმად, საკუთარი პარტიის ინტერესები უნდა დაიცვან. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ თუ საარჩევნო კომისიის წევრს ფორმალურად ევალება, მიუკერძოებელი იყოს, ის ნამდვილად ასე მოიქცევა. ის შეიძლება, მოიქცეს სამართლიანად, ან შეიძლება, არც მოიქცეს. მაგრამ თუ მას ეს არც კი ევალება, ძნელი წარმოსადგენია, რომ კომისიის წევრმა მიუკერძოებლობა დაიცვას.

ეს ნიშნავს, რომ პარტიული ნიშნით მივლინებულ კომისიის წევრს *ვერც კი მოსთხოვ* ობიექტურობას. "პარტიულობა" და "ობიექტურობა" ურთიერთგამომრიცხველი ცნებებია. ინგლისურ ენაში, მაგალითად, სიტყვა პარტიული, partisan, "მიუკერძოებელის" ერთ-ერთ სინონიმად გამოიყენება (ცნობისათვის, "პარტიზანთან" მას საერთო არაფერი აქვს). კომისიის პარტიული წევრი ანგარიშვალდებულია თავისი პარტიის, და მხოლოდ მის წინაშე, რადგან ის კომისიაში პარტიამ მიავლინა. თუ მან გადაწყვეტილება მიიღო კანონის სასარგებლოდ, მაგრამ თავისი პარტიის საზიანოდ, ეს ნიშნავს, რომ ის თავის მოვალეობას წესიერად ვერ ასრულებს.

ფეხბურთის მსაჯები ხანდახან არაობიექტურები არიან. მაგრამ განა უკეთესი იქნება, მსაჯების ბრიგადა მოთამაშე გუნდების წარმომადგენლებისაგან შევქმნათ (ვთქვათ, მთავარი მსაჯი და ერთ-ერთი გვერდითი ერთ-ერთმა გუნდმა დაასახელოს, მეორე გვერდითი მსაჯი კი – მეორე გუნდმა)? აბა, თუ მიხვდებით, ვის სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას მთავარი მსაჯი, როდესაც ბოლო წუთზე მისი გუნდის კარში გადამწყვეტი პენალტი იქნება დასანიშნი?

ოპოზიციური პარტიების მოთხოვნა, რომ საარჩევნო კომისიებში პარტიული წარმომდგენლობის ბალანსი "სამართლიანი" იყოს, არადამაჯერებელია. რომელიმე მხარე ყოველთვის დარჩება უმრავლესობაში – და ყოველთვის იქნება იმის შანსი, რომ გადამწყვეტ მომენტში ვილაცას არასწორ პენალტს დაუნიშნავს. ჩემთვის, როგორც ამომრჩევლისთვის, რა მნიშვნელობა აქვს, ვის სასარგებლოდ იქნება დაშვებული უსამართლობა?

არც იმის უთქმელობა იქნება, რომ პარტიული პრინციპით შექმნილ კომისიებშიც არის ცუდი და ძალიან ცუდი ვარიანტი. ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ვარიანტი, რომელსაც მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტგადალახული პარტიები შეჰყავს კომისიაში, ყველაზე უარესია ცუდ ვარიანტებს შორის – იმ უბრალო მიზეზით, რომ დღევანდელ ვითარებას არ ასახავს. თუ პარტიულ პრინციპს აქვს რაიმე გამართლება, მხოლოდ ის, რომ ისინი არიან წარმოდგენილნი კომისიაში, ვინც დღეს წარმოადგენს წამყვან ძალას პოლიტიკაში. არც "მოქალაქეთა კავშირი" და არც ბათუმური ალიანსი იმ ფორმით, რითაც ისინი ხალხმა არიჩია, დღეს აღარ არსებობს. ამიტომ მათი "წარმომადგენლობა" ძალადობაა ამომრჩევლის ინტერესებზე. ამ აზრით, პარლამენტის მიერ პირველი წაკითხვით მიღებული ოთხპროცენტიანი ვარიანტი "ნაკლებად ცუდია".

მაგრამ ეს "ნაკლებად ცუდი" ვარიანტიც საქართველოს დემოკრატიის მიმართ უკიდურესად პესიმისტურ დამოკიდებულებას ემყარება. ვინც მოითხოვს, რომ საარჩევნო კომისიები პარტიული პრინციპით დაკომპლექტდეს, ამბობს: სამართლიანი არჩევნების ჩატარება ამ ქვეყანაში პრინციპულად შეუძლებელია. არჩევნები აუცილებლად გაყალბდება - მაგრამ მე არ მინდა, რომ ისინი უჩემოდ გააყალბონ. პარტიული პრინციპით შექმნილი საარჩევნო კომისიები აუცილებლად იქცევა ვაჭრობის ასპარეზად – მაგრამ მე არ მინდა, ამ ვაჭრობის გარეთ დავრჩე.

## პარტიული კომისიები უპასუხისმგებლობის ფორმულა

მეორე მიზეზი, რის გამოც პარტიული ბალანსის პრინციპით შერჩეული კომისია უვარგისია, არის ის, რომ ამ შემთხვევაში არავინ აგებს პასუხს არჩევნების ორგანიზებულად და კანონიერების ფარგლებში ჩატარებაზე. ვისი ბრალია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცუდი მუშაობა? ხელისუფლების? ნურას უკაცრავად – კომისიაში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები შედიან, რატომ უნდა მიეწეროს ყველა ცოდვა მაინცდამაინც ხელისუფლებას?

ტოტალური საარჩევნო უპასუხისმგებლობის თვალსაჩინო ნიმუში იყო უკანასკნელი ადგილობრივი არჩევნები. ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ხელი აიღო მათ ჩატარებაზე; ამიტომ მივიღეთ ყველაზე ქაოტური არჩევნები საქართველოს ისტორიაში. ხელისუფლებას ჰქონდა აშკარა პოლიტიკური მოტივი, რომ სწორედ ასე მოქცეულიყო: მისი საერთო არაპოპულარობის და "მოქალაქეთა კავშირში" არეულობის ფონზე მას წარმატების არავითარი შანსი არ ჰქონდა. თუ მაინც ოპოზიციამ უნდა მოიგოს, სჯობია, არჩევნები რაც შეიძლება ცუდად ჩატარდეს, და ამით ოპოზიციის გამარჯვების ნაწილობრივი დისკრედიტაცია მაინც მოხდეს. მაგრამ ფორმალურად, ხელისუფლებას უფლება ჰქონდა, სიამაყით განეცხადებინა: რა გინდათ, ჩვენ არჩევნებში არ ჩავრეულვართ. ხომ ხედავთ, ოპოზიციამ გაიმარჯვა, მეტი რა გინდათ? ამის შემდეგ, დასდონ ბრალი ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთს ხელისუფლებასთან "ფარულ ალიანსში". ეს ბრალდებები უსაბუთო დარჩება და, საბოლოო ჯამში, ისევ მოქმედი ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს.

რეალურად ხელისუფლებას ყოველთვის ექნება ბერკეტები არჩევნებზე გავლენის მოსახდენად. მაგრამ თუ საარჩევნო კომისიები ურთიერთდაპირისპირებული პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგება, პასუხს მას ამისთვის ვერ მოსთხოვ. თუ ხელისუფლების ინტერესებში იქნება არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება, მაშინ ის შეეცდება, რომ ეს მართლაც ასე მოხდეს. მაგრამ თუ ის დაინახავს, რომ აგებს და საჭადრაკო დაფის ამოტრიალებას მოინდომებს, მას რაიმე ფორმალური უკანონობის ჩადენა არ დასჭირდება - უბრალოდ, მოვლენებს თვითდინებაზე მიუშვებს, ქაოსი და არეულობა კი თავისით დაისადგურებს. მერე იტყვის – რა ვქნათ, ასეთი უმწიფარი პარტიები გვყავსო, ამათ ხელში აბა რა იქნებოდაო – და, დიდი შანსია, რომ ხალხმაც დაუჯეროს.


გია ნოდია სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## შესაძლებელია კი საქართველოში დემოკრატია? უნდა ვეცადოთ კი, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნას?

## ერთადერთი მისაღები ვარიანტი პროფესიული კომისიები

სადაც კი არსებობს მყარი დემოკრატია, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას პროფესიონალი და მიუკერძოებელი სახელმწიფო მოხელეები წარმართავენ, ხოლო გარკვეულ ფუნქციებს რიგითი მოქალაქეებიც ასრულებენ (ოღონდ არა პარტიული პრინციპით).

ამაზე ოპოზიციურ პარტიებს მზა პასუხი აქვთ: აბა, სადა გვყავს ეს პროფესიული მოხელეები? აბა, როგორ გავზომოთ მათი მიუკერძოებლობა? ჯერ დავაზუსტებ, რას ვგულისხმობ. პროფესიონალი საარჩევნო მოხელე არ ნიშნავს ადამიანს, ვისაც საარჩევნო მეცნიერებათა მაგისტრის დიპლომი უდევს ჯიბეში. უბრალოდ, მის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენს არჩევნების ჩატარება. ბუნებრივია, როგორც ყველა მოხელეს, მასაც ევალება, ერკვეოდეს საკუთარ ფუნქციებში. არჩევნების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული დეტალები არ არის იმ რანგის, რომ მათ დაუფლებას მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების ცოდნა სჭირდებოდეს. ამას ნებისმიერი საშუალო ინტელექტის მქონე ადამიანი დროის არც ისე ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში შეძლებს. სხვა თუ არაფერი, არსებობს ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მთელი არმია, რომელთაც, თუ მიუშვებ, თუნდაც გამოუცდელ მოხელეებს რამდენიმე თვეში გადაატრენინგებენ (ბოდიში, ქართულად ვიტყვი: გაწვრთნიან).

რაც შეეხება ყველაზე საკამათო ნიშანს – მიუკერძოებლობას, ის არ გულისხმობს იმას, რომ საარჩევნო მოხელეს აკრძალული აქვს პოლიტიკური სიმპათიების ქონა. მას აკრძალული აქვს ამ სიმპათიების საჯაროდ გამოხატვა, ანუ ამა თუ იმ პოლიტიკური მოთამაშის აშკარა მხარდაჭერა. ეს მისი პროფესიონალიზმის ნაწილია. გულის სიღრმეში მას უფლება აქვს, ერთი პარტია ან კანდიდატი მოსწონდეს, მეორე კი ეჯავრებოდეს – მაგრამ მხოლოდ გულის სიღრმეში. მიუკერძოებლობა მოვალეობაა და არა სულის მდგომარეობა.

გვყავს თუ არა დღეს საქართველოში მიუკერძოებელ, არაპარტიულ სახელმწიფო მოხელეთა ფენა, რომლის მიმართ გვექნება მყარი რწმენა: თუ მათ ფორმალურად მოეთხოვებათ, მიუკერძოებელნი იყვნენ თავიანთ მოქმედებაში, ისინი მართლაც ასეთები იქნებიან და არანაირ უპირატესობას არ მიანიჭებენ სახელისუფლებო პარტიებს თუ კანდიდატებს? - რა თქმა უნდა, არა. ოპოზიციის სკეპტიციზმს ამ საკითხში სრული საფუძველი აქვს. იმის გაგება, რომ სახელმწიფო ინტერესი და სახელისუფლებო პარტიის ინტერესი – ეს ორი პრინციპულად განსხვავებული რამაა, არც ისე იოლად იკვლევს გზას ბევრი სახელმწიფო მოხელის ცნობიერებაში.

მაგრამ, ჩვენი მიზანია არა გავაკეთოთ არჩევანი კარგსა და საუკეთესოს შორის, არამედ ვიპოვოთ შედარებით უკეთესი, ან, რაც იგივეა, არსებული შესაძლებლობებიდან ნაკლებ ცუდი გამოსავალი. არსებობს საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების მხოლოდ ორი წესი: პარტიული ინტერესების ბალანსი და პროფესიული საარჩევნო ადმინისტრაცია (ამ ორ წესს შორის ყოველგვარი კომპრომისი თავის მოტყუებაა). პირველი წესით შექმნილი საარჩევნო ადმინისტრაცია – ეს არის გარანტია იმისა, რომ საარჩევნო კომისიები საეჭვო გარიგებების ასპარეზი იქნება, რომ არჩევნების სამართლიან და ორგანიზებულ ჩატარებაზე პასუხს ვერავის მოსთხოვ, ხოლო ამომრჩეველს არასოდეს ექნება ნდობა არჩევნების შედეგების მიმართ. სანდო საარჩევნო ადმინისტრაცია პრინციპულად შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მეორე წესით. ეს ჩვენს პირობებში ძნელია,– მაგრამ არა შეუძლებელი. თუ ამ გზით ახლა არ დავიწყეთ სიარული, ვერც ვერასოდეს მივაღწევთ მიზანს.

## კონკრეტულად როგორ?

კონკრეტული მექანიზმები ამგვარი ადმინისტრაციის შესაქმნელად მრავალი შეიძლება იყოს, და აქ ამის დეტალებზე არ ვისაუბრებ. გამოვთქვამ მხოლოდ რამდენიმე მოსაზრებას.

პირველ რიგში ვახსენებ გზას, რაც დღეს მოქმედ საარჩევნო კოდექსშია ჩადებული: გარკვეული კვალიფიკაციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები ასახელებენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის კანდიდატებს, ხოლო პარლამენტი, ხმების ორი მესამედით, საბოლოო არჩევანს აკეთებს. დღეს პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური ძალა თანხმდება, რომ ამ მექანიზმის განხორციელება უიმედოა და მე არ ვაპირებ მის დაცვას, მაგრამ მისი შეფასება მაინც საჭიროდ მიმაჩნია. ამ კანონის ძირითად ნაკლად მიმაჩნია ის, რომ კომისიის წევრების დასახელების უფლება ექსკლუზიურად ეძლევა არასამთავრობო ორგანიზაციათა ვიწრო წრეს (ამ ვიწრო წრეში შედის ის ორგანიზაციაც, რომლის ხელმძღვანელი მეც გახლავართ). აქ რამდენიმე პრობლემაა. უპირველეს ყოვლისა, არჩევნების ჩატარება სახელისუფლებო ფუნქციაა – არასამთავრობოების საქმე ეს არ არის. დღეს საქართველოს "მესამე სექტორი" შედარებით განვითარდა, მაგრამ მისი ორგანიზაციული და ადამიანური რესურსები მეტისმეტად შეზღუდულია ასეთი პასუხისმგებლობის თავის თავზე ასაღებად. კანონში ჩადებული მექანიზმის ამოქმედება გამოიწვევდა ინტერესთა კონფლიქტსაც: არასამთავრობოთა მოვალეობა უპირველეს ყოვლისა არჩევნების მონიტორინგია, დარღვევების გამო განგაშის ატეხვა, რაც ფსიქოლოგიურად გაძნელდებოდა იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებს "ჩვენი ხალხი" ჩაატარებდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, არასამთავრობოების მიერ ჩატარებულ მონიტორინგს ამის შემდეგ ნაკლები ნდობა ექნებოდა საზოგადოებისაგან.

მაგრამ კანონში (არასამთავრობოების დაჟინებული მოთხოვნით) ჩადებული იყო მექანიზმი, რომელიც შემდგომ გააკრიტიკეს მისი არაპრაქტიკულობისთვის. ეს გახლავთ ორი მესამედის პრინციპი. მისი გამართლება შემდეგია: უბრალო უმრავლესობით კომისიის შექმნის შემთხვევაში ეს იქნებოდა მხოლოდ უმრავლესობისთვის მისაღები კომისია. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ იმ დროს საპარლამენტო უმრავლესობას ზურაბ ჟვანიას "გუნდი" აკონტროლებდა, ხოლო არასამთავრობოები, ბევრის აზრით, "ჟვანიას ხალხი" იყო. ჩვენ – არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს – კი გვჯეროდა, რომ ეს ბრალდება უსამართლოა და სინამდვილეში ჩვენ ობიექტურები ვიქნებოდით, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საარჩევნო კომისიის ობიექტურობას მაშინ აქვს აზრი, თუ ძირითად პოლიტიკურ მეტოქეებს სჯერათ მისი. ორი მესამედის პრინციპი სწორედ საამისოდ იყო მოწოდებული: ვერავინ შევიდოდა კომისიაში, თუ ის მიუღებელი იქნებოდა ან (იმდროინდელი) უმრავლესობისთვის, ან (იმდროინდელი) ოპოზიციისთვის.

ამოსავალი პრინციპი, ჩემი აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს. არ შეიძლება საარჩევნო კომისიები წარმოადგენდეს ნარევს ადამიანებისას, რომელთაგან ზოგიერთს მხოლოდ ერთი მხარე ენდობა, სხვას კი – მეორე თუ მესამე. კომისიების წევრთა პატიოსნებას, პროფესიონალიზმს და მიუკერძოებლობას ყველა მხარე უნდა ენდობოდეს. ასეთი ადამიანების შერჩევის ნიმუშია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი: სასამართლო პროცესში ნაფიც მსაჯულთა აცილების უფლება აქვს ორივე მოპაექრეს. ამიტომ ნაფიც მსაჯულებად რჩებიან ადამიანები, რომელთაც ორივე მხარე ენდობა.

ამდენად, ეს პრინციპი – როგორი ტექნიკური პროცედურაც უნდა შეირჩეს მის განსახორციელებლად – შეიძლება საუკეთესო იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირებისთვის, ცენტრში თუ ადგილებზე. ამგვარი პრინციპით შექმნილმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ან უფრო დაბალი რანგის კომისიებმა) უნდა განახორციელონ საერთო ზედამხედველობა საარჩევნო პროცესზე. მეორეს მხრივ, არჩევნების ჩატარების ტექნიკური პროცესების და პროცედურების უზრუნველყოფა აღმასრულებელ ხელისუფლებას, საბოლოოდ კი – ქვეყნის პრეზიდენტს უნდა დაეკისროს. თუ კონკრეტულად რომელი ორგანო განახორციელებს ამ ფუნქციას ეს კერძო საკითხია. მთავარი აქ ისაა, რომ ვიღაცას აქვს *პასუხისმგებლობა* არჩევნების კანონიერად და ორგანიზებულად ჩატარებაზე – ხოლო ამის სხვა კანდიდატი, გარდა აღმასრულებელი ხელისუფლებისა, არ არსებობს. პარლამენტი პარტიული ძალების ბრძოლის ასპარეზია, ამიტომ საარჩევნო კომისიის პარლამენტის მიერ შექმნა ბუნებრივად გვაბრუნებს პარტიული რეპრეზენტაციის პრინციპთან. რაც შეეხება სასამართლოს, ის საბოლოო ინსტანციაა, რომელსაც მხარეებმა დავის შემთხვევაში უნდა მიმართონ, ამიტომ ის დისტანცირებული უნდა იყოს არჩევნების პროცესისაგან.

## უნდობლობის სინდრომი

დღეს საარჩევნო ადმინისტრაციის რამდენიმე პროექტი განიხილება, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეესაბამება მიღებულ დემოკრატიულ პრაქტიკას. ხელისუფლების მომხრე ძალები არ აყენებენ პროექტს, რომელიც არჩევნების ჩატარებას აღმასრულებელ ხელისუფლებას დააკისრებდა – ან იმიტომ, რომ პასუხისმგებლობისა ეშინიათ, ან იმიტომ, რომ ოპოზიციის ზედმეტ გაღიზიანებას ერიდებიან. ოპოზიციამ შეიძლება ეს სტატიაც ხელისუფლების ფარულ თუ აშკარა მხარდაჭერად ჩათვალოს. ეს შეცდომაა, ისევ ოპოზიციის ინტერესებიდან გამომდინარე. საარჩევნო კომისია თუ წარმომადგენლობითი ბალანსის პრინციპზე შეიქმნა, ხელისუფლებას მაინც ვერ აჯობებ – ის მაინც გაიტანს ისეთ პრინციპს, სადაც მისთვის მისაღები პიროვნებები იქნებიან დომინირებული საარჩევნო კომისიაში. თუ ის უკანონო მეთოდების გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული, ამას მაინც მოახერხებს. მაგრამ ამ შემთხვევაში, ფორმალური პასუხისმგებლობის დაკისრება ხელისუფლებისათვის არჩევნების არაწესიერად ჩატარებაზე უფრო გაჭირდება, პასუხისმგებლობას ოპოზიციაც გაინაწილებს. რა თქმა უნდა, პროფესიული კომისიებიც არ იძლევიან სრულყოფილ მიუკერძოებლობის გარანტიას, მაგრამ პასუხისმგებლობის საკითხი მაინც იქნება გარკვეული. ოპოზიციას არჩევნებზე პარტიული თუ საზოგადოებრივი ზედამხედველობის (მონიტორინგის) იმედი უფრო უნდა ჰქონდეს.

მთავარი პრობლემა, რომელიც ამ პრობლემას ართულებს – და რომელიც საზოგადოდ ჩვენი საზოგადოების უმძიმესი და ულრმესი პრობლემაა, ესაა ავადმყოფობად ქცეული უნდობლობის სინდრომი. საბოლოო ჯამში, პროფესიული საარჩევნო კომისიების წინააღმდეგ არგუმენტები ამაზე დაიყვანება: როგორ შეიძლება ვენდო ადამიანს, ვისაც მე არ ვაკონტროლებ? როგორ შეიძლება დავიჯერო, რომ არსებობს ხალხი, რომლის ინტერესი კანონის და პროცედურის დაცვა იქნება? თუ ეს უნდობლობა პრინციპში დაიძლევა, თუ პრინციპში შევთანხმდებით, რომ პროფესიული საარჩევნო ადმინისტრაცია ჯობია პარტიულს, მერე ყოველთვის შეიძლება მოფიქრება კონკრეტული წესებისა, რითაც ასეთი ადმინისტრაცია შეიქმნება.

ხოლო თუ ამაზე შეთანხმება არ მოხერხდა, მაგალითად, თუ პოლიტიკურმა მოთამაშეებმა ვერ დაიჯერეს, რომ საქართველოში მოიძებნება შვიდი ან ცხრა ადამიანი, რომელსაც ეყოფა კომპეტენცია და პატიოსნება საიმისოდ, რომ მიუკერძოებელი ცენტრალური საარჩევნო კომისია შექმნას, რომ თითოეულ რეგიონში არ მოინახება მცირე რაოდენობა ადამიანებისა, რომელთაც მოპაექრე პარტიები შეიძლება ენდონ, მაშინ ლოგიკური ხდება, საკითხი ზოგადადაც დავსვათ: შესაძლებელია კი საქართველოში დემოკრატია? უნდა ვეცადოთ კი, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნას? იქნებ რაიმე სახის ავტოკრატია თუ დიქტატურა ჯობია, სადაც საარჩევნო დაპირისპირებებს და ძალადობას მაინც გადავრჩებით? დემოკრატია შეუძლებელია ნდობის მინიმალური კომპონენტის გარეშე. თუ ის არ არსებობს, თვით დემოკრატიის შესაძლებლობა დგება კითხვის ქვეშ.

www.24hours.ge
24
B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge






ნოდარ ლადარია

შაბათს, 22 თებერვალს გამოსული ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე დიდი ასოებით ეწერა: "პანკისი იკეტება".

— რაო, მაღაზიაა? — იხუმრა მალხაზ ხარბედიამ.

— ჰო, აღწერაზე დაიკეტა, — კვერი დავუკარი მალხაზს. მომავალი კვირის პარასკევს, 28 თებერვალს კი "აღწერის" შედეგები გამოქვეყნდა: ზაზა წულაძის მიერ მომზადებული მასალა იაპონელი ჟურნალისტის **კოსუკე ცუნეოკას** ფოტოებსა და მოგონებებზე იყო დამყარებული და 2001 წელს ჩეჩნური შეიარაღებული რაზმების პანკისიდან კოდორის ხეობაში გადასვლას ეძღვნებოდა. გამოქვეყნებული ფოტოდოკუმენტები თვითონ მეტყველებს საკუთარ თავზე. ალბათ, რომელიმე სხვა ქვეყანაში (ხალხი რომ "წესიერს" უწოდებს) ამგვარი მასალების გამოქვეყნებას მნიშვნელოვანი ხმაური და თანამდებობრივი სკამების შიშნარევი ჭრიალი და იქნებ რახა-რუხიც კი მოჰყვებოდა, მაგრამ შიგან ჩვენსა საბრძანისსა თხა და მგელი ოდითგანვე ერთად ძოვდა, ასე რომ ყველას შეუძლია მშვიდად იყოს.

ზაზა წულაძის მასალას თან ახლავს ნაცრისფერ ფონზე დაბეჭდილი რამდენიმე გამონათქვამი, რომლებიც ასეა დასათაურებული: "კომენტარი". ირონიად წოდებულ ლიტერატურულ ხერხზე უკვე გვქონდა საუბარი წინა პუბლიკაციაში. როგორც ეტყობა, მომავალშიც გვექნება, რადგანაც სულ უფრო ხშირად გვხვდება ეს ხერხი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ალბათ, უნებლიე ირონიას გადავეყარეთ, რადგან 28 თებერვალს გამოქვეყნებული ამ გამოთქმებიდან მხოლოდ ერთს შეიძლება ვუწოდოთ "კომენტარი" და ისიც აფხაზ სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრს, **რაულ ხაჯიმბას** ეკუთვნის. მაგრამ თანმიმდევრობით მივყვეთ:

**ზურაბ ჟვანია** (2001 წელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო): "კოდორის ხეობაში გელაევის რაზმის გამოჩენის შესახებ შევიტყვე რუსეთის საინფორმაციო საშუალებებიდან. არაფერი ვიცოდი".

**ვალერი ჩხეიძე**: "მე ამ ოპერაციასთან არავითარი კავშირი არ მქონია".

**თამაზ ნადარეიშვილი**: "მე საქმის კურსში არ ვიყავი. თუ ეს გადაწყდა უფრო მაღლა, არ ვიცი".

ესეც ასე. ამგვარ განცხადებებს კომენტარს ვერანაირად ვუწოდებთ. უფრო ზუსტად, ეს მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობის უარყოფაა, ხანაც ამ პასუხისმგებლობის მაღლა "აგდება". ქვეყანაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, არავინ არაფერი იცის. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ცოდნაც კი არ უნდა.

სეპარატისტთა მინისტრი კი რას ამბობს? ჩვეულებრივი მითოლოგიის შემდეგ (თბილისის განკარგულებაში მყოფი ყველა სამხედრო ფორმირებით აფხაზეთში შეჭრა) იგი ერთ საგულისხმო რამეს გვამცნობს: "ჩვენი მონაცემებით, ამ ოპერაციას, უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივანი, **ნუგზარ საჯაია** კურირებდა". მკითხველს, ალბათ, გაახსენდება ერთი ეპიზოდი სტივენ სპილბერგის ფილმიდან "შინდლერის სია": ვინ მოიპარა ქათამი? — აი, ამან, თქვენ რომ ახლახან დახვრიტეთ. რუსულ ქრონიკაში, "ჟამთა და წელთა მატიანე" წერია, რომ მკვდრებს არ რცხვენიათ. ინსტინქტურად ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მხოლოდ მაშინ ვიყენებთ ხოლმე, როცა ცოცხლებს გვინდა ავარიდოთ სირცხვილი ან საფრთხე. სეპარატისტთა მინისტრი ვისზე დარდობს ნეტავი? — ბევრი რამაა, ჩემო მკითხველო, ცის ქვეშ, რაც ჩვენს ინტელიგენტურ ფილოსოფიას არც დასიზმრებია...

მაგრამ ჩვენ უფრო ის გვაინტერესებს, რასაც "თბილისის განკარგულებაში მყოფი ყველა სამხედრო ფორმირება" უწოდეს. ნეტა რა შეიძლება ვიგულისხმოთ ამ სიტყვებს უკან? პასუხი ძნელია, რადგან ზაზა წულაძე თავისი პუბლიკაციის ბოლოს სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ **"საზოგადოებრივი კონტროლი ძალოვან უწყებებზე ნულის ტოლია"**. ამ ქვეყანაში არა მარტო არავინ არაფერი იცის, არამედ არც უნდა, რამე იცოდეს.

საერთოდ, ცოდნა ჩვენს საზოგადოებაში ერთობ ორაზროვანი კატეგორიაა. არავითარი განსხვავება არ არსებობს ორ მდგომარეობას შორის: 1) არავინ არაფერი იცის და 2) ყველამ ყველაფერი იცის. შედეგი ერთნაირია. ზაზა წულაძის პუბლიკაციიდან მეორე დღეს, 1 მარტს, ეს დამტკიცდა. მოვლენას მხოლოდ ისინი გამოეხმაურნენ, ვისაც პირადად შეეხო. მათი რეაქციაც წინასწარ ცნობილი და ზემოხსენებული "კომენტარების" მსგავსი იყო. აი, მაგალითად, ავთო იოსელიანის დისკურსი: **"მე არ ვიცი, გელაევთან იყო იგი** (იაპონელი ჟურნალისტი — *ნ. ლ.*) **თუ არა. მე, საერთოდ, არასდროს მითქვამს, იყო თუ არა იქ გელაევი, მე არ მქონია მასთან კავშირი, არ მინახავს და არ ვიცი"**. ნეტა რა იცის დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა? როგორც ვხედავთ, 1 მარტს გამოქვეყნებული თამარ ხორბალაძის სტატიის დასაწყისი შეიძლება გამოვიყენოთ მთელი ჩვენი პოლიტიკური სიტუაციის განაჩენად: **"ჯერ თავად თქვენი მთავრობა უნდა გაერკვეს, რა უნდა..."** — ასეთი დასკვნით გამოვიდა გუშინ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრიდან ევროკავშირის დელეგაცია". სტატიის სათაურიც შესაბამისია: *საქართველოს ხელისუფლებამ არ იცის, რა უნდა.*

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა დავუბრუნდეთ აფხაზ სეპარატისტთა მინისტრის შიშებს, რომ 2001 წელს მთელი ქართული მხედრობა ემზადებოდა სოხუმში შესაჭრელად. ნეტა რისი იმედით?

"თბილისის განკარგულებაში მყოფი სამხედრო ფორმირებების" მდგომარეობა გასული კვირის განმავლობაში ჩვენმა გაზეთმა ორ პუბლიკაციაში აღწერა: *ქართული ჯარი საბჭოური "დისბატის" მახინჯი ტრადიციებით* (ინგა ალავიძე, 24 თებერვალი) და *უმაღლესი ხელმძღვანელობა ოფიცრების თვითნებობას ხელს უწყობს* (თამარ კაციტაძე, 27 თებერვალი). ვნახოთ პირველ მათგანში მოყვანილი სამხედრო პროკურორის, **გია ჯიქიას** სიტყვები: "გასულ წელს შეიარაღებულ ნაწილებში 3 თვითმკვლელობისა და 1 მკვლელობის ფაქტი მოხდა. დანარჩენი 18 შემთხვევისას სიკვდილი გამოიწვია ჯანმრთელობის მდგომარეობამ, ტრაგიკულმა და უბედურმა შემთხვევამ. ეს მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ ჯარში დანაშაულის მნიშვნელოვანი კლებაა". გადაიკითხეთ ეს სიტყვები კიდევ ერთხელ: ატყობთ მათ მოზეიმე ტონს? დიახ, 21 ოჯახი გაუბედურდა, ჩვენ კი ამას ისე გვაწოდებენ, როგორც ოდესღაც ჩაის სარეკორდო მოსავლის მაუწყებელ ციფრებს. სამხედრო პროკურორი იმდენად გამჭრიახი გონებისა და ფაქიზი გემოვნებისაა, რომ ერთმანეთისგან ასხვავებს ტრაგიკულსა და უბედურ შემთხვევებს. საოცარია, როცა ოდნავ ქვემოთ ამტკიცებს, რომ "ქართული ჯარი შენდება", რატომ არ ფიქრობს იმაზე, რომ ნორმალურ, აშენებულ ჯარში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სიკვდილი მკვლელობაზე არანაკლები "ჩე-პეა". უბრალოდ, ეს მის კომპეტენციაში არ შედის, იგი ამაზე პასუხს არ აგებს. შეუძლია მშვიდად იყოს — ჯარი შენდება! ჩვენ კი რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? — ის, რომ საზოგადოების მიერ რაიმეს ცოდნას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს: განა მანამდე კი არ ვიცოდით, სანამ გაზეთში გამოქვეყნდებოდა?

თამარ კაციტაძის ნახსენებ პუბლიკაციაში მოყვანილია სახალხო დამცველის ორი წლის წინანდელი სიტყვები: **"სამხედრო სამსახურის თვითნებურად დატოვებისა და დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს სამხედრო ნაწილებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე და მოკვლევის სამსახურში მომუშავე პირების განათლებისა და დისციპლინის დაბალი დონე. ხშირად სამხედრო ნაწილის მეთაურად ჯარში შემთხვევით მოხვედრილი პირები მუშაობენ, რომლებსაც სათანადო განათლება არ გააჩნიათ; ამასთან, სარგებლობენ საეჭვო რეპუტაციით და არც მორალური თვისებებით გამოირჩევიან"**. ამის შემდეგ დასაბუთებულია, რომ ორი წლის განმავლობაში მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა...

ახალი არაფერი უთქვამს სახალხო დამცველს, არც "24 საათს" დაუბეჭდავს რაღაც საოცარი სენსაცია. ეს ამბავი ისედაც ყველამ ვიცით: ჯარისკაცებმაც, ჯარისკაცების მშობლებმაც და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმაც, რომლებსაც კვირაში ერთი დღე "სამხედროზე" ეკარგებათ, რათა მერე, გამოცდაზე, ლუდითა და მისაყოლებლით გამოცხადდნენ. ვიცით, მაგრამ ამ ცოდნით არაფერი შეიცვლება. ჩვენი საზოგადოება მკვდარია და მკვდრის მსგავსად, არც მას რცხვენია რამის.

ასე და ამგვარად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ "თბილისის განკარგულებაში მყოფი სამხედრო ფორმირებების" მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არაა. იქნებ ამიტომაა, რომ ჩვენს გაზეთში მომუშავე ავტორების მიერაც პანკისში ჩეჩნების შესაძლო გამოჩენა აღიქმება სეზონურ მოვლენად, რომელიც თოვლის დნობასთანაა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია ქართულ ჯარს ერთი სამწყობრო სიმღერაც შევთავაზოთ: "დღეს ჩეჩენი შემოფრინდა, ჭყივილითა შემომძახა: ჰაზავათი, ჰაზავათი!.." ეჰ, სულ ტყუილად ეშინია სოხუმელ მინისტრს: როგორც ჩანს, ისიც კაი ბედოვლათი ყოფილა.

მაგრამ ისევ ჩვენს ოფიცრობას დავუბრუნდეთ, უფრო სწორად კი "შემთხვევით მოხვედრილ პირებს", რომლებზედაც სახალხო დამცველმა ორი წლის წინ მოგვითხრო და რომლებიც დღესაც თავიანთ ადგილებზე სხედან. სულ მალე მათ ახალი მოკავშირეები გაუჩნდებათ.

საქმე ისაა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილია კომისია კაპელანების, ანუ საჯარისო დანაყოფებში მოქმედი მღვდლების სახელმწიფო სამსახურის შექმნასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. კომისიის შემადგენლობაში შედიან ძალოვანი მინისტრები და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები. მათ შორის არის საპატრიარქოს ძალოვან სამინისტროებთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე, ერთ-ერთი დიდი ქალაქის, ფოთის ეპისკოპოსი **გრიგოლი** (ერისკაცობაში **გურამ ბერბიჭაშვილი**).

აქ კი ბევრი რამაა, რაც სახალხო დამცველის ზემოთ მოყვანილ სიტყვებს ეხმიანება. მაგრამ ნუ ავჩქარდებით.

27 თებერვალს "24 საათში" გამოქვეყნდა თამარ ხორბალაძის სტატია, *საკადრო რჩევები საპატრიარქოს*. სტატია გვამცნობს, რომ 26 თებერვალს მთავრობის სხდომაზე ედუარდ-გიორგი შევარდნაძემ რჩევა მისცა "თავის **კოლეგებს** მართლმადიდებლური ეკლესიიდან". მომხიბლავია პრეზიდენტის სტილი, მომხიბლავია თავისი ალალი გულუბრყვილობით: ამ სიტყვით — "კოლეგები" — მან უნებლიეთ გამოააშკარავა ის, რაზედაც მრავალი იერარქი ალბათ დაფარულად ოცნებობს — გახდეს მთავრობის წევრთან გათანაბრებული პირი. აქვე პრეზიდენტმა მოიხსენია "ერთ-ერთი დიდი ქალაქის მართლმადიდებელი რელიგიური ლიდერი, რომელიც ოთხჯერ არის ნასამართლევი, მათ შორის ქურდობისა და გაუპატიურებისათვის".

აქ კი ოდნავ შევისვენოთ და ერთი რიტორიკული კითხვა დავსვათ: რატომ უნდა ასწრებდეს ქვეყნის პრეზიდენტი ჟურნალისტებს ასეთი განცხადებების გაკეთებას? მე, გაზეთ "24 საათის" პრეს-ომბუდსმენი, ვეკითხები ჩემს კოლეგებს ქართული მედიიდან: **შეგიძლიათ თუ არა წარმოიდგინოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ჟურნალისტური გამოძიების ობიექტად?** შეკითხვა არაა რიტორიკული. მე არ ვიცი, რა პასუხს გამცემენ ჩემი კოლეგები და წინასწარ არაფერს ვგულისხმობ. უბრალოდ, მართლა მაინტერესებს, რატომ უნდა დაგვასწროს ქვეყნის პრეზიდენტმა? გასულ პარასკევს გაზეთ "რეზონანსის" რედაქტორთან, **ლაშა ტუღუშთან** მქონდა საუბარი ამ თემაზე. თურმე რაღაც-რაღაცეები დაიწერა ეკლესიასთან დაკავშირებულ რაღაც ფინანსური მაქინაციების შესახებ, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

— რას იზამ, ფაქიზი თემაა, — გავაქნიეთ თავები მე და ლაშა ტუღუშმა და ამოვიოხრეთ. ასე მივდიოდით ქუჩაში ორნი: ოდესღაც თბილისის სასულიერო ეკლესიიდან გარიცხული თეოლოგიის დოქტორი და ოდესღაც მკალავიშვილის მრევლის მიერ კარებაჭედილი პოპულარული გაზეთის რედაქტორი. სხვა რა უნდა გვეთქვა ზამთრის უკანასკნელ საღამოს, ჩეჩნური გაზაფხულის მოლოდინში?

მაგრამ სიფაქიზის გარდა კიდევ რაღაც მოქმედებს. რატომღაც შავი შესამოსლის დანახვაზე გარინდება და მისტიური შიში ერევათ ჩვენს ჟურნალისტებს. ნორმალურად ვერ ელაპარაკებიან სამღვდელო პირებს, შეკითხვის დასმას ერიდებიან. ჰოდა, გამოდის ტელევიზიით ახალგაზრდა არქიმანდრიტი, სიტყვები ერევა, დასრულებულ აზრს ვერ გამოთქვამს, ხან რომელიღაც აბსტრაქტულ ფანატიზმს ემიჯნება, ხან ჩვენში გაუგონარ ლიბერალიზმს გმობს, ხანაც იმას ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტება ერთია. აშკარად დაბნეულია, აშკარად იგრძნობა, რომ ეს "ფანატიზმიც" და "ლიბერალიზმიც" ყურებით მოათრია, რომ სულ სხვა რამ ეთქვა: არავითარი "ერთ-ერთი დიდი ქალაქის" ოთხგზის ნასამართლევი მართლმადიდებელი ლიდერი არ არსებობს. პრეზიდენტი მოატყუეს! შეცდომაში შეიყვანეს! ეს მოუხელთებელი ნასამართლევი მართლმადიდებელი ლიდერი კი ხან არ არსებობს და ხანაც მონანულად მოიხსენიება. თუ არ არსებობს, რას ინანიებს, ნეტავი?

ნუთუ ძნელი იყო, მაგალითად, ასეთი კითხვის დასმა: მამაო, მართალია, ეკლესია უშვებს თავის წიაღში ადამიანებს, რომლებიც ინანიებენ (თუმც კი რეალურად არ არსებობენ) წარსულის ცოდვებს, მაგრამ განა მხოლოდ ამით შემოიფარგლება ჩვენი ეკლესიის სოციალური პოზიცია? რატომ არც ერთი მღვდელი არ იმაღლებს ხმას ჩვენში გამეფებული სოციალური უსამართლობისა და საზოგადოებრივი გულგრილობის წინააღმდეგ?

ბოლოს და ბოლოს, არ უნდა გავიგოთ, რომელი დიდი ქალაქის მართლმადიდებელ ლიდერზეა საუბარი? **იქნებ ვინმე ჟურნალისტი გაისარჯოს ამ მოუხელთებელი ეპისკოპოსის პიროვნების დასადგენად, თუ ისევ ედუარდ-გიორგი შევარდნაძის წყალობას უნდა ველოდოთ?**

შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენება, რომ მე დაუკრეფავში გადავედი. არა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენში ტაბუდადებულ თემას, ეკლესიას "შევეხე", არამედ იმიტომ, რომ "24 საათის" ფარგლებიდან გამოვედი და მთელს მედიას გადავწვდი. უნდა მოგახსენოთ, რომ თანდათანობით ამას ჩემგან თვით საზოგადოება ითხოვს, ყოველ შემთხვევაში, ის ნაწილი, რომელიც თავის თავს სამოქალაქო საზოგადოებას უწოდებს.

28 თებერვალს ერთ შეკრებაზე ვიყავი მიწვეული როგორც მედიის წარმომადგენელი. სასტუმრო "თორში" მოწყობილი შეკრების ორგანიზატორი იყო ახლად დაფუძნებული მოძრაობა რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ. ამ მოძრაობის 60 დამფუძნებელთა შორის ჩემი ხელმოწერაც არის. მოძრაობის წევრები ქართულ მედიას იმას უკიჟინებდნენ, რომ ბასილი მკალავიშვილი გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო საშუალებების მხრიდან, ვიდრე რელიგიური ტერორიზმის წინააღმდეგ დარაზმული ჯანსაღი ინტელექტუალები.

საკითხი არაა მარტივი. თვით რელიგიური სიტუაციის გაჯანსაღებისათვის მებრძოლი, ადრე რადიო "თავისუფლების", ახლა კი თავისუფლების ინსტიტუტის თანამშრომელი **სოზარ სუბელიანიც** კი ამბობდა, რომ მედიას ვერ გაამტყუნებ: მსგავსი შეკრებიდან "ნიუსის" გაკეთება ძნელია. მწერალი **ნაირა გელაშვილი** არცთუ უსამართლოდ ამტკიცებდა, რომ თუ "ნიუსს" ვერ აკეთებ ეს სინამდვილის ბრალი სულაც არაა: უბრალოდ, ცხელი თემატიკის დანახვაში ხან სიზარმაცე უშლის ხელს ჟურნალისტებს და ხანაც — მოუმზადებლობა.

რელიგიურ საკითხებთან მიმართებაში ჟურნალისტების მოუმზადებლობა მართლაც თვალშისაცემია. მაგრამ მომზადებით ხომ ვერც სამღვდელოება დაიტრაბახებს საქართველოში. სულ ცოტა რამაა საჭირო, რომ ვერ შეგაშინოს ფარშევანგივით აფოფრილმა არქიმანდრიტმა, რომელიც ორ სიტყვას ვერ აბამს, ხოლო განათლების მისაღებად იტალიაში წარგზავნილს, იმისთვისაც არ შეუწუხებია თავი, ენა რომ ესწავლა. თავის დროზე, მოსკოვის სასულიერო აკადემიის მასწავლებლებმა დამათვალიერებინეს წერითი ნაშრომები, რომლებსაც იქ დაუსწრებლად მოსწავლე ქართველი სამღვდელოება აგზავნიდა. უნდა გითხრათ, მეტად თავშესაქცევი სანახაობა იყო. აქ საბაბი გვეძლევა ერთი ვერბალური ექსპერიმენტის ჩასატარებლად: ავიღოთ სახალხო დამცველის ზემოთ მოყვანილი სიტყვები და რამდენიმე ჩანაცვლება გავაკეთოთ ტექსტში: **"რელიგიური ექსტრემიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს ეკლესიის მღვდელმთავართა და სასულიერო განათლების დარგში მომუშავე პირების განათლებისა და დისციპლინის დაბალი დონე. ხშირად ამ ადგილებზე შემთხვევით მოხვედრილი პირები მუშაობენ, რომლებსაც სათანადო განათლება არ გააჩნიათ; ამასთან, სარგებლობენ საეჭვო რეპუტაციით და არც მორალური თვისებებით გამოირჩევიან"**. როგორც ვხედავთ, სინამდვილის სრულიად ადეკვატური სურათი მივიღეთ. საერთოდ, მომავლისთვისაც უნდა ვურჩიოთ სახალხო დამცველს, რომ თავის ანგარიშებში გამოიყენოს შემდეგი მოდული: **"... წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს ... ხელმძღვანელ თანამდებობაზე და ... პირების განათლებისა და დისციპლინის დაბალი დონე. ხშირად ... შემთხვევით მოხვედრილი პირები მუშაობენ, რომლებსაც სათანადო განათლება არ გააჩნიათ; ამასთან, სარგებლობენ საეჭვო რეპუტაციით და არც მორალური თვისებებით გამოირჩევიან"**. წერტილები შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი სისტემის კონკრეტული ნიშნებით: ჩვენი ეროვნული სინამდვილის სპეციფიკა ისეთია, რომ შეცდომა გამორიცხული იქნება.

დარწმუნებული ვარ, ამ მოდულის ეკლესიის მიმართ გამოყენება ბევრ პატიოსან ადამიანს დააბრკოლებს. ნუ გეშინიათ: მთავარია, ჩვენი რისხვა ჭეშმარიტი და გულწრფელი იყოს. გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნება, როცა ამგვარად მონანიე თუ ამგვარად არარსებული ადამიანები, რომელთა სახელს არ გვეუბნებიან, მაგალითად, კაპელანთა ინსტიტუტს ჩაუდგებიან სათავეში და ჩვენი შეიარაღებული შვილებისა და ძმების გონებასა და სინდისს დაეპატრონებიან.

ჯერჯერობით კი ჩვენი საყოველთაო არცოდნისა თუ საყოველთაო ცოდნის საზოგადოებას წინ დიდი გზა უძევს. ხომ ხედავთ, რომ ქართული მოწინავე მედიის მესვეურები, რომლებიც ყოველდღე უშვებენ ეთერში ინფორმაციის საჯაროობის სარეკლამო თუ საგანმანათლებლო კლიპებს, იმის მაგიერ, რომ რამდენიმე საათში დაადგინონ, არსებობს თუ არა საქართველოს ეკლესიაში რამდენჯერმე ნასამართლევი ეპისკოპოსი, რაღაც უაზრო იწილო-ბიწილოზე კარგავენ დროს.



# კინოსეანსი - 2002

არჩილ მელიქიშვილი

როგორც ცნობილია, საქართველოში რომელიმე კინოფილმის ნახვის პრობლემა საერთოდ არ დგას. საკმარისია ადამიანმა ტელევიზორი ჩართოს, რომ სხვადასხვა სამაუწყებლო კომპანიების დახმარებით საშუალება ეძლევა უამრავ ფილმს უყუროს. ამ თვალსაზრისით ჩვენი მაყურებელი ნამდვილად ბედნიერია. არა მგონია, სხვა რომელიმე ქვეყანაში ტელევიზია კინოპროდუქციის ასეთ ფართო ასორტიმენტს სთავაზობდეს საზოგადოებას. თუმცა, ნელ-ნელა ჩვენშიც შემოდის ცივილიზაციის სიკეთეები. ქართული ტელე-კომპანიები ამ ბოლო პერიოდში (განსაკუთრებით 2002 წლიდან) ეთერში აღარ უშვებენ ისეთ უახლეს კინოსურათებს, რომლებიც პარალელურად თბილისის კინოთეატრებში გადის და როდესაც ესა თუ ის ფილმი კინოგაქირავებიდან მოიხსნება, მხოლოდ მაშინ გადაინაცვლებს იგი ტელეეკრანებზე, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია.

რა შეიძლება ითქვას ქართული კინოთეატრების მიერ 2002 წელს მოწოდებულ პროდუქციაზე? პირველ რიგში ის, რომ ეკრანზე გამოსული სურათების უმრავლესობა ჰოლივუდშია დამზადებული. შარშან, ერთადერთი არაამერიკული ფილმი, რომლის გაშვებაც კინოთეატრ "რუსთაველმა" გარისკა, იყო საკმაოდ გახმაურებული ფრანგული სურათი "ამელი" და რასაკვირველია, იგი ფინანსურად მეტისმეტად ზარალიანი აღმოჩნდა. მსგავსი ისტორია განმეორდა სხვადასხვა ევროპულ ფილმებზე კინოთეატრ "ამირანსა" და "ელისოში" ("პიანისტი ქალი" და Nova-ც ძალიან სწრაფად მოიხსნა გაქირავებიდან). როგორც ჩანს, ქართველი მაყურებლის დიდი ნაწილი არ არის მზად არაამერიკულ კინოსაც გაუსინჯოს გემო. თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვენ კინომოყვარულებს დაბალი ინტელექტის ან უცოდინარობის გამო მოსდით. უბრალოდ, ნიშანი - "დამზადებულია ჰოლივუდში" ხარისხის გარანტიას მაინც



"დიდი კუში"

იძლევა (თუნდაც სპეცეფექტების თვალსაზრისით), რასაც ევროპულ ფილმებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. გარდა ამისა, ძველი კონტინენტის ფილმები უფრო დამაფიქრებელია, ვიდრე გასართობი. ქართველი მაყურებელი კი, რომელიც ბილეთში შვიდრვა და ზოგჯერ ათ ლარსაც იხდის, კინოსგან, უპირველეს ყოვლისა, სიამოვნების მიღებას ელოდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ თითქმის ყველა ამერიკული მაღალბიუჯეტიანი და სპეცეფექტებით დატვირთული ფილმი, კომერციულად მომგებიანი აღმოჩნდა. ქართული კინოთეატრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მოახერხეს ჰოლივუდის 2002 წლის ყველა გახმაურებული ფილმის ჩამოტანა და ჩვენება. მაგალითად, იგივე "ვანილის ცა" - ტომ კრუზის მონაწილეობით, "ბეჭდების მრძანებელი 1", "ჰარი პოტერი 1", "ოუშენის 11 მეგობარი", სადაც ლამის ჰოლივუდის ყველა ვარსკვლავი თამაშობდა. ამ ფილმების ჩვენება სრული ანშლაგით მიდიოდა. ასევე, საკმაოდ დიდი წარმატებით სარგებლობდა სხვადასხვა მულტიპლიკაციური ფილმები - "შრეკიდან" დაწყებული, "სპირიტით" დამთავრებული.


ჯორჯ კლუნი და ბრედ პიტი "ოუშენის 11 მეგობარში"


"ვანილის ცა"

თუმცა, იყო მოულოდნელი ჩავარდნებიც. "ვარსკვლავეთის ომების" რიგით მეხუთე ფილმმა, ყველასათვის მოულოდნელად, ქართულ ბაზარზე სრული ფიასკო განიცადა. ასევე წარუმატებელი გამოდგა სტივენ სპილბერგის მორიგი ფილმი "ხელოვნური ინტელექტი", რომლის მხატვრულ ღირებულებაზე, კრიტიკოსები დღემდე ვერ შეთანხმდნენ.

აღსანიშნავია, რომ კინოთეატრ "რუსთაველის" მენეჯერებმა თავისებურ "ოქროს საბადოს" მიაგნეს და ეს არის - ზვიო. საკმარისია რომელიმე ფილმი მის მიერ იყოს გახმოვანებული, რომ კომერციული წარმატება გარანტირებულია. მარტო "ფორმულა 51"-ის გახსენება რად ღირს. ეს არაფრით გამორჩეული ფილმი, ზვიოს წყალობით, საქართველოში ლამის ნომერ პირველ ჰიტად იქცა. იგივე შეიძლება ითქვას სურათზე "დიდი კუში" და "ზვიოს ნიღაბზე" - რომელის "ზოროს ნიღაბის" პაროდირებული ვერსიაა.

კიდევ ერთი მომენტია საყურადღებო. ჰოლივუდში წელიწადში ოთხასამდე ფილმს უშვებენ (სხვა ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ). ქართულ კინოთეატრებში კი 2002 წელს მხოლოდ 70 მათგანი აჩვენეს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ქვეყანაში კინოთეატრების სიმცირითაა გამოწვეული და მაყურებელს დღესდღეობით ნამდვილად არ აქვს ფართო არჩევანის საშუალება.

დასასრულს გთავაზობთ ქართულ კინობაზარზე 2002 წლის ყველაზე შემოსავლიანი ფიმების სიას:

1. "ბეჭდების მბრძანებელი",
2. "ჰარი პოტერი",
3. "ადამიანი ობობა",
4. "ოუშენის 11 მეგობარი"
5. "პატარა სტიუარტი".

როგორც ვხედავთ, ამ ხუთი ფილმიდან სამი ფანტასტიკურ ჟანრს მიეკუთვნება. "ოუშენის 11 მეგობარი" კი თავისი სტილისტიკით, ძალიან ახლოა ფანტასტიკასთან. ანიმაციურ ფილმ "პატარა სტიუარტის" წარმატებაც კანონზომიერია. ყველაზე მეტად კინოში წასვლა ხომ ბავშვებს უხარიათ!

## ცხინვალის რეგიონში ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმისა და კულტურის ძეგლების აღდგენა დაიწყება

საქართველოს კულტურის სამინისტრო უახლოეს მომავალში დაიწყებს ცხინვალის რეგიონის სოფელ თამარაშენში რამდენიმე წლის წინ აფეთქებული ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის სახლმუზეუმის აღდგენით სამუშაოებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ აცნობა, რესტავრაცია ჩაუტარდებათ ასევე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარე სხვა კულტურულ ძეგლებსაც, მათ შორის ეკლესიებს, რომლებიც გადაუდებელ რემონტს საჭიროებენ.

ამ მიზნით, მინისტრის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან 150 ათასი ლარია გამოყოფილი.

სესილი გოგიბერიძემ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ცხინვალის ხელისუფლება მიესალმა ამ წამოწყებას, მაშინ, როცა აფხაზურმა მხარემ საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებს აფხაზეთის ტერიტორიაზე შეშვებაზეც კი უარი უთხრა.

*პრაიმ-ნიუსი*

## კალენდარი

### 3 მარტი



"მე ვგრძნობ, რომ ჩემი საქმე ხალხის გულებში წვდომაა. მე არ უნდა გადავუხვიო ამ გზას, უნდა შევიჭრა ცხოვრების სიღრმეში და, უსასრულო სიძნელეთა მიუხედავად, წინ წავიდე, სხვა გზით სიარული ვერც კი წარმომიდგენია," - წერდა 1882 წელს ვინსენტ ვან გოგი თავის ძმას თეოდორს, ერთადერთ ერთგულ ადამიანს, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ზრუნავდა მხატვარზე. ამავე წერილში ვან გოგი თავის ძმას იმასაც უამბობდა, თუ რა უცნაურად იბადებოდნენ მისი გენიალური ფერწერული ტილოები: "მერყეობისა და ეჭვების დრო აღარაა, ხელი არ უნდა გიკანკალებდეს, მზერა აქეთიქით არ უნდა გაგირბოდეს, და შენს წინ წარმოდგენილმა ხატებამ მთლიანად უნდა შთანთქას შენი არსება... მცირე ხნის შემდეგ ქაღალდზე ჩნდება რაღაც ისეთი, რაც მანამდე არ იყო; ყველაფერი ეს იბადება ისე, რომ შენ თვითონაც ვერ ხვდები, როგორ ჩნდებიან ფიგურები ამ ტილოზე."

ჰოლანდიელი მხატვარი ვინსენტ ვან გოგი მღვდლის ოჯახში დაიბადა გროტ-ზიუნდერტში, ჰოლანდიაში. 16 წლისამ სამხატვრო-სავაჭრო ფირმის კომისიონერად დაიწყო მუშაობა. კარგა ხანს იყო ამ საქმით დაკავებული, მერე ცოტა ხანს ინგლისში მასწავლებლობდა. 23 წლის რომ გახდა, ღვთის მსახურებისკენ გაუწია გულმა, გაჭირვებულთა დახმარების სურვილმა შეიპყრო და, თავისი მამის მსგავსად, ეკლესიას მიაშურა. ვან გოგმა ბელგიის სამხრეთით, ბორინაჟის დასახლებაში, დაიდო ბინა და ბორინაჟის მოძღვარი გახდა (შემდგომში მაღაროელთა ცხოვრება მის შემოქმედებაშიც აისახა), მაგრამ იქ გამეფებულმა სიბნელემ და რელიგიის მსახურთა განუკითხაობამ კეთილშობილურ განზრახვაზე ხელი საბოლოოდ ააღებინა. მოძღვარს, რომელიც უპოვართა უფლებებს იცავდა, სამღვდელოებასთან კონფლიქტი მოუვიდა და საბოლოოდ ჩამოშორდა ეკლესიას... სწორედ ბორინაჟში მიხვდა ვან გოგი, რომ მას ახალი მისია უნდა ეკისრა – საზოგადოებისთვის დახმარების გაწევა მას მხოლოდ თავისი ხელოვნების საშუალებით შეეძლო. და ვან გოგმა ფუნჯი აიღო ხელში.

ესწრებოდა ლექციებს ანტვერპენისა და ბრიუსელის სამხატვრო აკადემიებში. შემდგომ კი დამოუკიდებლად განაგრძო მუშაობა. მისივე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, "ნატურის მუდმივი შესწავლისა და მასთან ბრძოლის შედეგად" მისი შემოქმედება თანდათანობით სრულყოფილი ხდებოდა. მუდმივმა ძიებამ ვან გოგი პარიზში ჩაიყვანა. იქ ის იმპრესიონისტებს გაეცნო, შეისწავლა დელაკრუას ფერის თეორია, სწორედ პარიზში გაიტაცა იაპონურმა გრავიურამ. საფრანგეთის დედაქალაქში შეიქმნა ვან გოგის იმპრესიონისტული თაიგულები, მონმარტრის ხედები და პარიზის შემოგარენის პეიზაჟები.

დიდი ქალაქის ცხოვრებამ მოღალა ვან გოგი. 1888 წელს ის არლში გაემგზავრა, სამხრეთულ ქალაქში უფრო მშვიდად გრძნობდა თავს, თითქოს დაკარგული ენერგიაც აღუდგა. ნაყოფიერად მუშაობდა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ვან გოგის მკვეთრად ინდივიდუალური სტილი, ამ პერიოდში შეიქმნა არლის მზიანი პეიზაჟები, რომელთა ძირითადი ფერი ყვითელია - მზის, თავთავისა და მზესუმზირის ფერი: "მეთევზეთა ნავები სენტ-მარიში", "ნუშის ტოტი" და სხვა. ამ დროს დახატა ვან გოგმა ცნობილი "მზესუმზირები".

დაძაბულმა ცხოვრებამ, გადაღლილობამ მაინც თავისი ქნა. ვან გოგი საავადმყოფოში მოათავსეს. მაგრამ მუშაობა აქაც არ შეუწყვეტია, სწორედ ავადმყოფობის პერიოდში შექმნა 1889 წელს "ვარსკვლავეთის ღამეები".

სიცოცხლის ბოლო ორი თვე მხატვარმა პატარა სოფელში გაატარა, პარიზის მახლობლად. ტილოები, რომლებზეც ის მუშაობდა, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ემოციური განწყობით გამოირჩევა. 1890 წელს მან დახატა "ჭილყვავების გუნდი პურის ყანაში", ეს ფერწერული ტილო მოახლოებული სიკვდილის განწყობით არის გაჯერებული. ვან გოგმა მასზე მუშაობა დაასრულა და დეპრესიის მორიგი შეტევაც დაეწყო. ამ შეტევას მხატვარმა უკვე ველარ გაუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

დიდ ჰოლანდიელ მხატვარს დღეს 150 წელი შეუსრულდა. **ვინსენტ ვან გოგი** 1853 წლის 3 მარტს დაიბადა.

## შვეიცარული ციფრული წვნიანი

### ინფორმაციის და პროდუქტების გაცვლა

ანა კორძაია-სამადაშვილი

გუშინ, ქარვასლაში ჩატარებული პერფორმანსით გაიხსნა სამუშაო კვირა, რომლის განმავლობაშიც შვეიცარელი ხელოვანები თბილისელ სტუდენტებს და თანამედროვე ხელოვნების მოყვარულებს თავიანთ ცოდნას გაუზიარებენ და, როგორც ჩანს, შვეიცარული სამზარეულოს საიდუმლოებებსაც გაანდობენ.

შვეიცარიიდან ორი ხელოვანი გვეწვია: რომან ბლაიხენბახერი, რომელიც ინტერაქტიურ დიზაინს ბაზელში სწავლობდა, და ბრუნო შტაინერი, ბაზელის ხელოვნების აკადემიის კურსდამთავრებული. გუშინ მათ ქარვასლაში შეკრებილ საზოგადოებას ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორის, ვატო წერეთლის დახმარებით, თავიანთი ციფრული და ანალიტიკური ნამუშევარი, "ციფრული სუპი" წარმოუდგინეს.

დარბაზში თბილისელთათვის ერთობ "მშობლიური" ვითარება სუფევდა: ციოდა, დენი არ იყო – მეზობელი დარბაზიდან ჰქონდათ გადმოყვანილი და "ტყუილი სუპის" საკმაოდ მადისაღმძვრელი სურნელი ტრიალებდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხელოვანები – ქართველებიც და უცხოელებიც – სუპებს, რაც მე მახსოვს, 1993 წლიდან მოყოლებული საჯაროდ ხარშავენ, შეკრებილნი მაინც დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს იმას, რაც "ციფრულ სამზარეულოში" ვითარდებოდა: ერთ მხარეს ბრუნო ამზადებდა სრულიად რეალურ წვნიანს – ის, რაც ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში ხდებოდა, მონიტორზეც ჩანდა; მეორე მხარეს კი, ქურაზე დაყენებულ კომპიუტერებს რომანი და ვატო წერეთელი დასტრიალებდნენ თავს და ინტერაქტიულ ამბავს მოგვითხრობდნენ.


ბრუნო შტაინერი ქარვასლაში

ბრუნოს მთავარი ხელსაწყო დანა იყო, რომანისა კი – კომპიუტერი. თავად ხელოვანების თქმით, ისინი მატერიალურს ვირტუალურ-ციფრულად აქცევდნენ.

მართალია, პირველი ამბავი, რომელსაც, როგორც ჩანს, შეკრებილთათვის შვეიცარული სამზარეულოს საუკეთესო მხარე უნდა წარმოეჩინა, ერთობ ბრუტალურად მეჩვენა: მზარეული მაგიდაზე მდგომ დიდთვალება, მწვანე კუს ჯერ დანას უღერებდა, მერე მისთვის თავის მოჭრას ლამობდა, ის კი ბაკანში იმალებოდა. ბოლოს კი კუ მზარეულს თავად გაუსწორდა. საბედნიეროდ, ამ დროს რეალური ბრუნო სტაფილოს ჭრიდა და მსგავსი სისასტიკე ჩვენთვის არ უჩვენებია.

დარბაზმა ძალიან მოიწონა "ადამიც", რომლის ჩვენების შემდეგ რომანმა ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, ეს ჩვენი გაკეთებული არ არისო. საბრალო ადამი, რომელსაც შემოქმედი საშინელ ყოფაში აგდებს და ბოლოს, გაპრანჭულს და ყვავილებით ხელდამშვენებულს, ევას ნაცვლად რაღაც პინგვინის მსგავს უცხო ფრინველს მიუსკუპებს გვერდში...

მომავალ კვირას, კვლავ ქარვასლაში და კვლავ ორ საათზე, რომან ბლაიხენბახერი და ბრუნო შტაინერი მორიგ პერფორმანსს გამართავენ, რომელზეც სამუშაო კვირის შედეგებიც იქნება წარმოდგენილი.

## ლისისტრატეს ახალი პროტესტი ერაყის ომის წინააღმდეგ

თამარ მურვანიძე

დღეს, 3 მარტს, მთელი მსოფლიოს თეატრის მოღვაწეები გრანდიოზული და უპრეცედენტო აქციისთვის ემზადებიან. ეს იქნება მასობრივი პროტესტი ერაყის ომის წინააღმდეგ - ანტიკური საბერძნეთის პაციფისტური განწყობით: 57 ქვეყანაში 919 ადგილას კომედიის მამის – არისტოფანეს ცნობილ "ლისისტრატეს" წაიკითხავენ, კომედიას, რომელიც გვიამბობს, თუ როგორ გამოუცხადეს პროტესტი ქალებმა სახლიდან გაქცევით თავიანთ ქმრებს და თან ულტიმატუმიც წაუყენეს: სანამ ომს არ შეწყვეტთ, შინ არ დავბრუნდებითო... ამ დღისთვის თეატრის მსახიობები მთელ მსოფლიოში დიდი ხანია ემზადებიან. 3 მარტის პროექტის იდეა ჯერ კიდევ იანვარში დაიბადა – ნიუ იორკელი მსახიობი კეტრინ ბლუმი, რომელიც "ლისისტრატეს" თანამედროვე კინოსცენარის ვერსიაზე მუშაობდა, ისევე როგორც ხელოვნების სხვა მოღვაწეები, შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ძალიან ჩააფიქრა, უნდოდა როგორმე გამოეხატა პროტესტი აგრესიის მიმართ, მაგრამ არ იცოდა – რა ფორმით. და აი, ერთხელაც მან გაიგო, რომ არსებობს ჯგუფი, სახელად – "თეატრები ომის წინააღმდეგ", რომელიც მოუწოდებს სხვადასხვა ქვეყნების თეატრების დასებსა თუ შემოქმედებით ორგანიზაციებს, მონაწილეობა მიიღონ ომის წინააღმდეგ კამპანიაში, სცენიდან დაუპირისპირდნენ აგრესიას. ასე გადაწყვიტა ბლუმმა სცენაზე ასულიყო და წაეკითხა ყველაზე პაციფისტური განწყობის კომედია "ლისისტრატე". ამ ფიქრებში გართული ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა; გაირკვა, რომ მისი კოლეგა, მსახიობი შერონ ბაუერიც იმავე აზრით იყო შეპყრობილი. "ეს მოხდა იანვრის დასაწყისში. უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის ეს იყო ჯადოსნური წამი პოლიტიკისა და თეატრის ისტორიაში, - შემდგომში საკუთარი ჩანაფიქრით აღფრთოვანებას ვერ მალავდა კეტრინ ბლუმი, - ასე დაიბადა ჩვენი პროექტი, ასე გადაიზარდა ერთი პატარა ჩანაფიქრი გრანდიოზულ ღონისძიებაში."

ბლუმმა და ბაუერმა ინტერნეტში თავიანთი "ვებ-საიტი" შექმნეს, და სულ მალე უამრავი წერილი მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. გამოხმაურებები დღითი დღე მატულობდა. "თქვენმა იდეამ შემძრა, - წერდნენ ხელოვანები, - ჩვენც გვინდოდა ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ კეთილშობილურ საქმეში და იმედი გვაქვს, რომ ერთად რაღაცას მოვახერხებთ, ყველას დავანახებთ, რომ სცენის მსახურები გმობენ ომს."

ნიუ იორკში სამშვიდობო შოუს ბაუერი და ბლუმი ჩაუდგებიან სათავეში. ბრუკლინის მუსიკალურ აკადემიურ თეატრში დადგმულ სპექტაკლში მთავარ როლს ცნობილი მერსედეს რუელი შეასრულებს, მასთან ერთად მაყურებელი სცენაზე იხილავს მიურეი აბრაჰამს, კევინ ბეკონს, კირა სედგვიკს, ბილ ირვინსა და კეტლინ ჩალფანტს. სცენის ვარსკვლავთა შთამბეჭდავ ანსამბლს შეხვდებიან ლოს ანჯელესის მკვიდრნიც. აქ გამოვლენ ჯული კრისტი, ალფრე ვუდარდი, კრისტინ ლატი, ერიკ შტოლცი... ზოგან ღონისძიება შედარებით შინაურულ ატმოსფეროში გაიმართება. მაგალითად, პალომა ბლანკაში, კოლორადოს სიახლოვეს, ომის წინააღმდეგ ყავის სახლში გაილაშქრებენ, აქაურ შოუს არც რეჟისორი ჰყავს და არც წინასწარ მომზადებული სცენარი არსებობს. სანახაობას უფრო სპონტანური ხასიათი ექნება: შეიკრიბება ხალხი, წაიკითხავენ, ვისაც რა მოესურვება, და, რა თქმა უნდა, პროტესტს გამოთქვამენ...



მსახიობები პროტესტს ომის წინააღმდეგ სხვადასხვანაირად გამოხატავენ

მთელი რიგი გრანდიოზული ღონისძიებებია დაგეგმილი დიდ ბრიტანეთში. ბრიტანეთის თეატრალური საზოგადოების წევრები დღეს დილის 11 საათზე პარლამენტ-სკვერზე შეიკრიბებიან და წაიკითხავენ ერთ მონაკვეთს "ლისისტრატეს" ქოროს პარტიიდან. აქციის მონაწილეებს შორის იქნებიან კეროლ ჩერჩილი, ალან რიკმენი, ჯენი დი, საქართველოს ხშირი სტუმარი ვანესა რედგრეივი და სხვები. საღამოს რვის ნახევარზე კი "პლეზენს თეატრში" მსოფლიო პრემიერაა დაგეგმილი, "ლისისტრატეს" ადაპტაცია, რომლის ავტორი ტონი ჰარისონია და რომელსაც ასეთი სახელწოდება აქვს: "საერთო ქორო" (ნაწილი I)...

წინასწარ ბევრს ვერაფერს იტყვი, მსოფლიო სამშვიდობო თეატრალური აქციის დეტალები დღეს გახდება ცნობილი. ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ "ლისისტრატეს" პროექტმა კეტრინ ბლუმსა და შერონ ბაუერს დიდი პოპულარობა მოუტანა: "მე და შერონი ნიუ იორკში იმიტომ ჩამოვედით, რომ დიდი ვარსკვლავები გავმხდარიყავით, მაგრამ თეატრის სამყაროში ეს არ გამოგვივიდა, ამ პროექტის წყალობით კი ჩვენი სახელი ბევრმა ადამიანმა გაიგო," – ამბობს ბლუმი.

დღეს ლისისტრატე მთელი მსოფლიოს გასაგონად მოგვიწოდებს: "შეწყვიტეთ ომი!" მაყურებელი კი სიცილ-სიცილით კიდევ ერთხელ დარწმუნდება ომის აბსურდულობაში.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## სათასო წილი ნაყარია

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში სფფ-ს საშეჯიბრებო კომიტეტმა მოაწყო საქართველოს თასის მერვედფინალური წყვილების გამოსავლენი წილისყრა, რომელსაც ამ ეტაპამდე მისული კლუბების წარმომადგენლები დაესწრნენ. გუნდები ასე დაწყვილდნენ:

*"დინამო" (თბილისი) – "დინამო" (ბათუმი)*
*ჭაბუკთა ნაკრები – "ტორპედო"*
*"ლოკომოტივი" – "მერანი-ოლიმპი"*
*"დინამო 2" – "სპარტაკი"*
*"ვიტ ჯორჯია" – "მერცხალი"*
*"კოლხეთი" (ფოთი) – "სიონი"*
*ქობულეთი" – "დილა"*
*"გურია" – "მილანი"*

პირველი მატჩები 5 და 6 მარტს გაიმართება და მათ პირველად დასახელებული გუნდები უმასპინძლებენ. განმეორებითი თამაშების თარიღები კი 9 და 10 მარტია.

### ბალაკის ტრიუმფი

ბუნდესლიგაში ახლა ყველა მიუნხენის "ბაიერნის" აქამდე ტიტანად მიჩნეული ოლივერ კანის ორგულობაზე ლაპარაკობს. კანმა ორსულ მეუღლეს უსინდისოდ უღალატა ვინმე ვერენა კ.-სთან და აღარ ახსოვს თვით ფეხბურთი, რომელიც გერმანიაში კვლავაც ჩვეული გზით მიემართება. სკანდალის მიუხედავად, ოლივერ კანმა შაბათს, საღამოს, მშვიდად ჩაატარა მატჩი კოტბუსის "ენერგიას" წინააღმდეგ და, იმდენი შეძლო, "ბაიერნის" კარი მშრალად შეინახა. მატჩის გმირი კი გახდა მიხაელ ბალაკი, რომელმაც კოტბუსელთა კარში ორი გოლი გაიტანა.

ბალაკისთვის ეს მატჩი ორი მიზეზის გამო იყო მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ლევერკუზენის "ბაიერის" ექს-ლიდერს 30 ნოემბრის მერე გოლი აღარ გაუტანია და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 1 მარტს, პირველად აიღო მეტოქის კარი. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ბალაკმა ბავარიელთა თავკაცს, ოტმარ ჰიტცფელდს, თავისი სიმართლე საქვეყნოდ დაუმტკიცა.

ალბათ, გახსოვთ, როგორ გაბრაზდა ჰიტცფელდი, როცა ბალაკმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, მე შემტევი ნახევარმცველი ვარ და ვერ გამიგია, რატომ მაიძულებს ჰიტცფელდი, უკანა ხაზზე ვითამაშოო. მაშინ "კატენაჩოს გენერალმა" ბალაკს ეს სიტყვები თავხედობაში ჩაუთვალა და გრძელი ენისთვის სოლიდური ფულადი ჯარიმა დააკისრა. ბალაკმა ჯარიმა გადაიხადა, მაგრამ აზრი მაინც არ შეუცვლია. კოტბუსის "ენერგიასთან" მატჩში ბალაკი ისევ აქტიურად ერთვებოდა შეტევებში და სამი ქულაც მოუტანა თავის გუნდს. საინტერესოა, ახლა რაღას იტყვის ჰერ ჰიტცფელდი?

### ხერმან ბურგოსის მძიმე დღეები

როცა არგენტინის ნაკრების თავგამოდებული გულშემატკივრები კორეა-იაპონიის სკანდალურ მუნდიალზე "გაუჩოთა" გრძელთმიანი გოლკიპერის, ხერმან ბურგოსის მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო შეცდომების გამო ღელავდნენ, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ სულ რაღაც რვა-ცხრა თვეში ეგზოტიკური გარეგნობის არგენტინელს კიბოს დიაგნოზს დაუსვამდნენ...

ახლა 33 წლის ბურგოსი მადრიდის "ატლეტიკოში" ირიცხება. ორი კვირის წინ ბურგოსს გრიპი შეეყარა და მოედანზე ველარ გადიოდა. როცა თავი გამოჯანმრთელებულად ჩათვალა და გუნდში დაბრუნებამდე სამედიცინო შემოწმება გაიარა, ექიმებიც და თანაგუნდელებიც დაზაფრული დარჩნენ: ხერმან ბურგოსს თირკმლების სიმსივნე აღმოაჩნდა. რა თქმა უნდა, არგენტინელს ფეხბურთისთვის აღარ სცხელა. ექიმები სასწრაფო ოპერციას ურჩევენ. სავარაუდოდ, ბურგოსი ქირურგებს კვირის ბოლოს მიმართავს.

### კიდევ ერთი გადადგომა

ბუნდესლიგაში მოდაში შემოვიდა: წარუმატებელ თამაშს გუნდი მთავარ მწვრთნელს გადააბრალებს და დამარცხების შემდეგ ახალ სპეციალისტს ეძებს. "კაიზერსლაუტერნიდან" ანდრეას ბრემეს, ხოლო ლევერკუზენის "ბაიერიდან" კლაუს ტოპმიოლერის წასვლის შემდეგ მიონხენგლადბახის "ბორუსიაც" უმწვრთნელოდ დარჩა.

გლადბახელები მიმდინარე სეზონში მეტისმეტად ცუდად გამოიყურებიან. გუნდი გასავარდნ ზონაშია და დიდი შანსი აქვს, ბუნდესლიგას, სულ ცოტა, ერთი წლით დაემშვიდობოს. შაბათს გამართული მატჩი გელზენკირხენის "შალკეს" წინააღმდეგ გლადბახელთა თავკაცისთვის, ჰანს მაიერისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. მაიერმა კარგად იცოდა, რომ გულშემატკივარიც და კლუბის ხელმძღვანელობაც მისგან მხოლოდ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ მასპინძლებმა "შალკე" ვერ დაძლიეს. მატჩი ფრედ დასრულდა, რაც არც ერთი გუნდისთვის არ არის სასურველი შედეგი.

მატჩის შემდეგ ჰანს მაიერი აცხადებდა, გუნდიდან წასვლას არ ვაპირებო, მაგრამ ორ საათში კლუბის პრესმდივანმა მარკუს არეტცმა ჟურნალისტებს აცნობა, მაიერის ნაცვლად, დღეიდან გუნდს ევლად ლინენი გაწვრთნისო. ვნახოთ, რამდენად დაეხმარება "მიონხენგლადბახს" ახალი მწვრთნელი პრობლემების დაძლევაში...

### ლიზარაზიუ "ბაიერნს" ვერ ელევა

ნელ-ნელა ახლოვდება დრო, როცა ევროპულმა კლუბებმა მომავალ სეზონზე უნდა იზრუნონ. უკვე იკვეთება ამა თუ იმ კლუბის სამომავლო სახე - ვინ დარჩება, ვინ წავა.

მიუნხენის "ბაიერნი" აქედანვე არკვევს, ვის გაუხანგრძლივებს კონტრაქტს. იენს იერემისის დატოვების შემდეგ ბავარიელებმა ბიქსენტ ლიზარაზიუსაც შესთავაზეს კლუბში კიდევ ერთი წლით თამაში. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ბასკური წარმოშობის ფრანგი ფეხბურთელი მიუნხენში 1997 წლიდან აგორებს ბურთს. ბავარიაში ის თავის დროზე სრულიად უტიტულოდ მივიდა ბილბაოს "ატლეტიკიდან": არც მუნდიალი ჰქონდა მოგებული, არც ევროპის ჩემიონატი და არც ჩემპიონთა ლიგა. სანაკრებო დონეზე მიღწეული დიდი წარმატებების შემდეგ ლიზარაზიუს უკანასკნელი ბრწყინვალე გამარჯვება ჩემპიონთა ლიგის თასი იყო, რომელიც "ბაიერნმა" 2001 წელს მოიპოვა. ფრანგი მცველი სამჯერ გახდა ბუნდესლიგის ჩემპიონი, ორჯერ კი გერმანიის თასის აღება იზეიმა.

წლეულს ლიზარაზიუს მოუწევს, მხოლოდ გერმანიის ჩემპიონის საპატიო წოდებით დაკმაყოფილდეს, რადგან "ბაიერნი", უკვე დიდი ხანია, ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა. მიუნხენში ფრანგი ფეხბურთელი კიდევ ერთ სეზონს დარჩება და შეეცდება, თავისი ჯილდოების კოლექცია კიდევ უფრო გაამრავალფეროვნოს.

### დი კანიო შოტლანდიაში აპირებს დაბრუნებას

ბოლო პერიოდში ინგლისის "ვესტ ჰემ იუნაიტედის" იტალიელ ლეგიონერს, პაოლო დი კანიოს ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებისთვის დიდი გარჯა სჭირდება. უფრო სწორად, ეს ფეხბურთელი პრემიერლიგის თითქმის ყველა შეხვედრაში თამაშს ძირითად შემადგენლობაში იწყებს, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისშივე მას ცვლიან. ამის გამო, დი კანიომ ლონდონის გაზეთ "SAN"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მწვავედ გააკრიტიკა თავისი გუნდის მთავარი მწვრთნელი, რომელიც გამოუცდელობაში და ბევრი შეცდომების დაშვებაში დაადანაშაულა. დი კანიოს აზრით, "ვესტ ჰემი", რომელიც პრემიერლიგიდან გავარდნის რეალური კანდიდატია, ჩემპიონატში დათმობილ პოზიციებს სწორედ გუნდის დამრიგებელს უნდა უმადლოდეს. გადამთიელი ფეხბურთელის ასეთი გამონათქვამები არ მოეწონა "ვესტ ჰემ იუნაიტედის" ხელმძღვანელობას, რომელიც, როგორც ჩანს, იტალიელ ფეხბურთელს გუნდში დიდხანს აღარ გააჩერებს. დი კანიო, რომელმაც გასულ სეზონში პრემიერლიგის "სამართლიანი თამაშის" პრიზი მოიპოვა, "ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობამ სამშობლოში, იტალიაში გაუშვა ტრავმირებული მუხლის სამკურნალოდ. ამასთან ერთად, კლუბის შეფობამ ფეხბურთელის პირად აგენტს რეკომენდაცია მისცა, რომ მან 34 წლის დი კანიოსთვის ახალი კლუბის მოძებნა დაიწყოს. აგენტიც, თავის მხრივ, იმ კლუბს დაუკავშირდა, სადაც დაიწყო კიდეც იტალიელის ბრიტანული კარიერა. საუბარია შოტლანდიის "სელტიკზე", რომელშიც დი კანიო 96-97 წლების სეზონში თამაშობდა. რაც შეეხება "ვესტ ჰემ იუნაიტედს", ამ კლუბთან აპენინელი თავდამსხმელი კონტრაქტით 2003 წლის ზაფხულამდე არის დაკავშირებული.

### პარიზელები ავტორიტეტებს ეძებენ

სეზონის ბოლოს ლუის ფერნანდესს კონტრაქტი უმთავრდება და "პარი სენ ჟერმენი" უმწვრთნელოდ რჩება. პარიზელთა პრეზიდენტმა, ლორან პერპერმა, აქედანვე დაიწყო თავისი გუნდისთვის ახალი თავკაცის ძებნა და შეარჩია კიდეც ორი ფრიად ავტორიტეტული სპეციალისტის კანდიდატურა: პრეზიდენტის სურვილით, ახალი სეზონიდან "პარი სენ ჟერმენის" ხელმძღვანელი უნდა გახდეს ჟერარ ულიე ან ჟან ტიგანა.

ჟერარ ულიე რომ შესანიშნავი სპეციალისტია, ამაში ეჭვი არავის ეპარება. "ლივერპულის" თავკაცი ძალიან კარგად იცნობს "პარი სენ ჟერმენს" - 1985-88 წლებში ის პარიზული კლუბის წინამძღოლი იყო და გუნდთან ერთად ჩემპიონატიც მოიგო. ულიეს გადაბირება პარიზელებისთვის, ალბათ, ძალიან ძნელი იქნება, რადგან ფრანგ მწვრთნელს "ლივერპულთან" 2005 წლამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული და, ნაკლებად სავარაუდოა, მერსისაიდული კლუბი ვადაზე ადრე დატოვოს.

უფრო რეალურია ჟან ტიგანა, რადგან მას არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს ლონდონის "ფულემის" ეგვიპტელ პატრონთან, მუჰამედ ალ ფაიედთან, რომელიც უკმაყოფილოა გუნდის ახლანდელი ასპარეზობით. იმის მიუხედავად, რომ არაბმა მილიონერმა ფული არ დაიშურა გუნდის გასაძლიერებლად, "ფულემი" მაინც ვერ აღწევს ისეთ წარმატებებს, როგორსაც პატივმოყვარე ეგვიპტელი ტიგანასგან მოითხოვს. ასე რომ, ტიგანას პოციზიები ლონდონში საგრძნობლად შეირყა და პარიზში გადასვლა ფრანგი მწვრთნელისთვის საერთაშორისო ავტორიტეტის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება უნდა იყოს...

## რკინიგზამ და ფეხბურთის ფედერაციამ მოილაპარაკეს

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიასა და საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, აკაკი ჩხაიძის მორიგი შეხვედრა. ჩხაიძეს და ჩოლარიას უნდა გადაეწყვიტათ, თუ მათ ორ უწყებას შორის როგორ გადანაწილდებოდა "ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოს ნაკრების მიერ გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებიდან შემოსული თანხა. ასევე, უნდა გარკვეულიყო, თუ ეს ორგანიზაციები როგორი შეფარდებით გადაინაწილებდნენ 2002 წლის 12 ოქტომბერს ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის გამო საქართველოსა და რუსეთის ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩის ჩაშლით გამოწვეულ ზარალს. ეს ზარალი იმაში გამოიხატება, რომ რუსეთის ეროვნული ნაკრების საქართველოში მეორე სტუმრობისა და განთავსების ხარჯები UEFA-მ ქართულ მხარეს დააკისრა. სფფ-ს შეფასებით, საჯარიმო თანხა 100 ათას ლარს უტოლდება. გამორიცხული არ არის, რომ ამ ხარჯის გაღებაში მონაწილეობა მიიღოს "AES თელასმაც", როგორც ელექტროენერგიის გათიშვაზე პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ.

ჩხაიძე-ჩოლარიას შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო, თუმცა, მისი დასრულების შემდეგ "24 საათთან" გაკეთებულ კომენტარში ორივე მხარემ აღნიშნა, რომ შეხვედრამ ნაყოფიერ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

**ვალერი ჩოლარია:** "ჯერ კონკრეტულ შედეგებზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა, არ დაგიმალავთ, რომ თითქმის ყველაფერზე შევთანხმდით. მხოლოდ მცირე ნიუანსები დაგვრჩა დასაზუსტებელი. იმისთვის, რომ საბოლოოდ შევაჯეროთ პოზიციები, ორი დღის განმავლობაში დამოუკიდებლად ვიმუშავებთ და ზეგ საბოლოო შეხვედრას გავმართავთ. იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ ირლანდიის, შვეიცარიისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები ნამდვილად "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება."

**აკაკი ჩხაიძე:** "პრინციპში, დღეს ყველაფერზე მოვილაპარაკეთ და შეხვედრა, რომელიც ორი დღის შემდეგ გაიმართება, უფრო ფორმალური ხასიათის იქნება. კონკრეტულად შემიძლია ვთქვა, რომ ტელეტრანსლაციის გაყიდვიდან და მასში, ასევე, სტადიონის სარეკლამო დაფებზე რეკლამის განთავსებიდან მიღებული შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დარჩება. სამაგიეროდ, "ლოკომოტივის" სტადიონი ბილეთების რეალიზაციიდან ამონაგებ თანხას მიიღებს. რაც შეეხება იმას, თუ ვინ გაიღებს რუსეთის ნაკრების მასპინძლობის ხარჯებს, აქ ზოგიერთი პუნქტია დასაზუსტებელი."

## ნისლიან ალბიონზე


REUTERS
ფერგიუსონი დაამწუხრეს


REUTERS
ულიე გაახარეს

გასული კვირა დახუნძლული იყო მოვლენებით პრემიერლიგაში. კერძოდ, ამბებით ლიგის ბობოლათა შესახებ. ეს ბუნებრივიცაა. კვირას გაიმართა ლიგის თასის ფინალი: ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ "ლივერპული" და "მანჩესტერ იუნაიტედი". "მანჩესტერის" მთავარმა მწვრთნელმა, სერ ალექს ფერგიუსონმა, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ უკვე მოძებნა მისი შემცვლელი და ინგლისის ეროვნული ნაკრების შვედ მწვრთნელთან, სვენ გორან ერიქსონთან, სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია. ფერგიუსონის ამ განცხადებას მყისვე მოჰყვა საპასუხო რეაქცია მანჩესტერული კლუბის მხრიდან.

კერძოდ, BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პეტერ კენიონმა განაცხადა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედს" სვენ გორან ერიქსონისთვის არავითარი წინადადებით არ მიუმართავს. უფრო მეტიც, შეხების წერტილიც კი არ ჰქონია. "ჩვენ მისთვის სამუშაო არ შეგვითავაზებია. სხვა კანდიდატების დასახელებისგან თავს შევიკავებ. ჩვენ გვყავს ალექს ფერგიუსონი და, იმედი მაქვს, წლევანდელ სეზონში ის კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ საუკეთესო მწვრთნელია მსოფლიოში", - განაცხადა კენიონმა.

გამოდის, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" არ უარყოფს სერ ალექს ფერგიუსონის შეცვლის შესაძლებლობას, მაგრამ ამ საქმის გახმაურებისგან თავს იკავებს, რადგან სერ ალექსი "მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად არის აღიარებული და მის წასვლას შეიძლება სუპერკლუბის დაშლაც მოჰყვეს. ამას წინათ გუნდის კაპიტანმა როი კინმა განაცხადა, რომ დიდ ფეხბურთს მაშინ დაემშვიდობება, როცა "მანჩესტერში" ალექს ფერგიუსონის კონტრაქტს ყავლი გაუვაო. ამიტომ "მანკუნიანელები" ამ დელიკატურ საკითხზე საუბრისას სიფრთხილეს იჩენენ.

არც გაემტყუნებათ. გუნდის წარმატებულ თამაშზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მანჩესტერული კლუბის აქციათა სიმტკიცე, რომელთა 10 პროცენტი ამერიკელებს ეკუთვნით. ბოლოს "მანჩესტერ იუნაიტედის" აქციათა მსხვილი პაკეტი ამერიკელმა მაგნატმა მალკოლმ გლეიზერმა შეიძინა. გლეიზერი ქვეყნის ჩემპიონის "ტამპას" მფლობელია და ევროპული და ამერიკული ფეხბურთის მჭიდროდ შეკავშირება განუზრახავს. სწორედ ამ მიზნით შეისყიდა მან 9 მილიონ გირვანქად ღირებული ინგლისური სუპერკლუბის აქციათა პაკეტი.

პაკეტი პაკეტად და, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში პრემიერლიგის მორიგი ტური გაიმართა, კვირის უმნიშვნელოვანეს მოვლენად მაინც ლიგის თასის ფინალი იქცა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა ქვეყნის ორი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი: "ლივერპული" და "მანჩესტერ იუნაიტედი". მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, რატომღაც, ხმა გავრცელდა, რომ მაიკლ ოუენი "ლივერპულს" ტოვებს. "ოქროს ბიჭუნას" კომენტარის გაკეთება მოუხდა.

"კონტრაქტი კიდევ ორი წლით მაკავშირებს კლუბთან. ასე რომ, არსად წასვლას არ ვაპირებ. იმედი მაქვს, "ლივერპული" დაიბრუნებს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის სახელს", - განაცხადა ოუენმა. წლევანდელ სეზონში "ლივერპულის" ლიდერი ძველებურად ველარ ბრწყინავს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე დგას. ლიგის თასის ფინალშიც სწორედ მან მოუღო ბოლო "მანკუნიანელებს", როცა 86-ე წუთზე ბარტეზს მეორე გოლი გაუტანა. 2:0 - "ლივერპულის" სასარგებლოდ.

არადა, მერსისაიდელთა დამრიგებელი, ჟერარ ულიე, ლივერპულური კარიერის დაწყებისას, თურმე, რიო ფერდინანდის შეძენაზე ოცნებობდა. "ის იყო პირველი ფეხბურთელი, რომელიც, მინდოდა, ჩემს გუნდში ყოფილიყო, მაგრამ "ვესტ ჰემმა" მეტისმეტად ბევრი მოითხოვა. რიოს გადასაბირებლად 500 ათასი გირვანქა დაგვაკლდა. იმ დროს ფეხბურთელთა შესაძენად მხოლოდ 12 მილიონი გირვანქა მქონდა გამოყოფილი", - განაცხადა ჟერარ ულიემ, რომლითაც, სხვათა შორის, ფრანგული "მონაკო" არის დაინტერესებული. თუმცა, ულიე ინგლისის დატოვებას არ ჩქარობს. მოგვიანებით რიო ფერდინანდი "ლიდს იუნაიტედმა" 18 მილიონ გირვანქად შეიძინა, ხოლო "მანჩესტერ იუნაიტედმა" - 30 მილიონად.

## შევჩენკოს მწარე გაკვეთილი

*ის, რომ ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს შორის მილანის "მილანი" განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს, ამაში უჩეულო არაფერია. იტალიის სერია A-ს ერთ-ერთ გრანდში მოთამაშე ქართველი ლეგიონერის, კახი კალაძის წყალობით, მილანელთა შიდა სამზარეულო ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. არც ის არის უჩვეულო, თუ კალაძის რომელიმე თანაგუნდელიც გამორჩეულად გვაინტერესებს, მით უმეტეს, რომ ეს თანაგუნდელი უკრაინელი ანდრეი შევჩენკოა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კახიმ კარიერის საუკეთესო წლები კიევის "დინამოში", სწორედ მასთან ერთად გაატარა. რაკი მათ ბევრი რამ აკავშირებთ, ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება უკრაინელი ლეგიონერის ოდნავ შემოკლებული ინტერვიუ, რომელიც უკრაინულ გაზეთ* "Команда"*-ში რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა.*

**- "მილანმა" ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის საგზური გაინაღდა. მიუხედავად ამისა, ვეჭვობთ, დარჩენილი ორი მატჩი - "რეალთან" და "ბორუსიასთან" - მხოლოდ ფორმალობად იქცეს...**

- რა თქმა უნდა. განა შეიძლება, ასეთ მეტოქესთან ცალი ფეხით ითამაშო? მით უმეტეს, დარწმუნებული ვარ, მადრიდშიც და "სან სიროზეც" ტრიბუნები ბოლომდე შეივსება. ხალხი საფეხბურთო ზეიმის საცქერლად მოვა და ჩვენ უფლება არა გვაქვს, მათ იმედი გავუცრუოთ. დიახ, ჩვენ გავედით მომდევნო წრეში, მაგრამ "მილანის" მიზანია, გაიმარჯვოს არა მარტო თითოეულ ტურნირზე, არამედ ყველა შეხვედრაში.

**- ალბათ, "სანტიაგო ბერნაბეუზე" "რეალის" წინააღმდეგ სათამაშოდ განსაკუთრებულად ემზადები. არა მარტო იმიტომ, რომ, თავის დროზე, კიევის "დინამოს" შემადგენლობაში, ამ სტადიონზე სამეფო კლუბისთვის ბურთები გაგიტანია. არც იმიტომ, რომ სწორედ შენმა გოლმა, ნოემბერში, "მილანს" მადრიდელებზე გაამარჯვებინა. არამედ იმიტომაც, რომ "რეალი" ისევ დაინტერესებულია შენით. თქვენმა ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანიმ, თანხაც კი დაასახელა – შენ 84 მილიონ დოლარად ხარ შეფასებული.**

- ჰო, მაგრამ გალიანიმ ისიც თქვა, რომ ჩემს გაყიდვას არ აპირებს. ეს ხელმძღვანელობის პოზიციაა. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს და არაერთ ჭორსა თუ მოსაზრებაზე პასუხიც თავის დროზე გამიცია.

**- შესაძლოა, თავადაც ხარ იმაში დამნაშავე, რომ შენს ირგვლივ ამდენი არასწორი ინფორმაცია ვრცელდება. ამ ბოლო დროს იშვიათად საუბრობ პრესასთან.**


შევჩენკო მოსკოველებს გაუწყრა

უბრალოდ, დავრწმუნდი: რაც მეტად ცდილობ, სხვებისთვის ხელმისაწვდომი იყო, მით უფრო მეტ ზიანს იღებ. ამას წინათ ერთ-ერთმა მოსკოვურმა გამოცემამ ჩემი ინტერვიუ გამოაქვეყნა. თავიდან იმ უცნობ რეპორტიორებს უარს ვეუბნებოდი საუბარზე, მაგრამ რაკი ჟურნალისტები მილანში ჩამოვიდნენ, უარი ველარ ვუთხარი. ვცდილობ, სხვათა მიერ გაწეულ ხარჯებს – ნერვულს, ფიზიკურს, მატერიალურს – პატივი ვცე. სამწუხაროდ, საპასუხო პატივისცემას იშვიათად ვაწყდები.

ცაიტნოტში საუბარი არასდროს არ არის გამართული. ზოგიერთ სიტყვას ყურადღებასაც არ აქცევ. რეპორტიორს კი ავიწყდება, რომ ეს ორი ადამიანის საუბარია. ის კი, რასაც მერე წერენ, ასიათასობით ადამიანის განსასჯელი ხდება. ერთი სიტყვით, ძალიან მენანება მაშინდელ საუბარში დაკარგული დრო, როგორც ჩემი, ისე - ჟურნალისტისა. არა უშავს, კარგი გაკვეთილი იქნება ჩემთვის.

რაგბი

# "ბორჯღალოსანთა" რიგებში ცვლილებებია

პაატა თოთაძე



ესპანელების შემდეგ ქართველები მომჯობინდნენ.

გოგიტა ბახაიძის ფოტო

*დღეს საფრანგეთში და საქართველოში მოთამაშე ქართველი მორაგბეები თბილისში შეიკრიბებიან და ხვალიდან რუსეთთან 8 მარტს დაგეგმილი მატჩისთვის დაიწყებენ მზადებას. ესპანელებთან მატჩისგან განსხვავებით, ბორჯღალოსანთა შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა.*

როგორც აქამდე, ეროვნული ნაკრები ახლაც მცხეთაში დაბინავდება და საგურამოში ივარჯიშებს. შეკრება 7 მარტამდე გასტანს. ქართველები კრასნოდარში შეხვედრის წინა დღით ჩავლენ. რუსეთთან მატჩისთვის ეროვნულ გუნდს რამდენიმე მორაგბე დაემატება. კახა ალანიას, ბესიკ ხამაშურიძეს, ვანო ნადირიძეს და ირაკლი აბუსერიძეს ტრავმები ჰქონდათ და ესპანელებთან მატჩი გამოტოვეს. ახლა ალანია, ნადირაძე და აბუსერიძე მწყობრში არიან და, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, რუსეთთან მატჩშიც მიიღებენ მონაწილეობას. მათ დაემატება გია ლაბაძე და ბორჯღალოსნები კრასნოდარში თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით გამოვლენ. სავარაუდოდ, ითამაშებს ბესიკ ხამაშურიძეც. "ანტილოპამ" ესპანელებთან მატჩი მოტეხილი თითის გამო გამოტოვა, თუმცა, ახლა სორელმა ის შეკრებაზე იხმო - ჩანს, სარუსეთოდ მზად იქნება.

ამ მოთამაშეების დამატებით, ბუნებრივია, ნაკრებში ვიღაც "ზედმეტი" აღმოჩნდა. ასეთები არიან ზვიად მათიაშვილი, გია ჩხაიძე და არჩილ ჭუმბურიძე. ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ ეროვნული გუნდის შეკრების შემდეგ, შესაძლოა, რაიმე ცვლილება შემადგენლობაში კიდევ მოხდეს. დღეს კი ბორჯღალოსანთა შემადგენლობა ასე გამოიყურება:

გოდერძი შველიძე, ავქსენტი გიორგაძე, სოსო ნიკოლაენკო, ტარიელ რატიანიძე, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, დავით ბოლღაშვილი, გრეგუარ იაშვილი, დავით ხინჩაგაშვილი, ზურაბ მჭედლიშვილი, ილო ზედგენიძე, მამუკა გორგოძე, ირაკლი აბუსერიძე, მერაბ კვირიკაშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, კახა ალანია, მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე, ვასილ კაცაძე, ბადრი ხეხელაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი გუნდიშვილი, გიორგი ელიზბარაშვილი.

აქვე ორი სიტყვით საფრანგეთის ჩემპიონატში დატრიალებულ ამბებზეც ვიტყვით. ჩემპიონატის ბოლო ტური ერთობ უიღბლო გამოდგა ქართველი მორაგბეებისთვის. "მონფერანი" იყო ერთადერთი გუნდი, რომელიც ქართველ მორაგბეებს პლეი-ოფში თამაშის შესაძლებლობას აძლევდა, მაგრამ ბოლო ტურში შინ, "გრენობლთან" მარცხით, ისიც პლეი-ოფს მიღმა აღმოჩნდა. მასპინძელთა მარცხის მთავარი "შემოქმედი" ჯერალდ მერსერონი იყო. ისევე როგორც ინგლის-საფრანგეთის ცოტა ხნის წინანდელ მატჩში, ფრანგმა ნახევარმცველმა უზუსტოდ ურტყა. მართალია, 80 წუთის განმავლობაში სამი საჯარიმო გაიტანა, მაგრამ ორჯერ მეტი სტუმართა კარს ააცილა. სამაგიეროდ, მისი გრენობლელი ვიზავი აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. ბოლო წუთამდე ანგარიში თანაბარი იყო (14:14), რაც "მონფერანს" ხელს აძლევდა, მაგრამ მსაჯის მიერ წამატებულ დროში კარმონამ ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი თანაგუნდელებს გაამარჯვებინა და იმდღევანდელი საკუთარი მონაგარი 12 ქულამდე გაზარდა.

ლევან ცაბაძის ამბავი მოგეხსენებათ: ქართველ მორკინალს ტრავმა აქვს და "მონფერანს" ამიტომ ვერ შეეშველა. იმავე მიზეზით გამოტოვა მატჩი დავით აშვეთიამაც. მათ გარეშე კი გუნდს რა დღეც დაადგა, უკვე გითხარით. ახლა რაგბის ქართველ ქომაგებს საგულშემატკივროდ "ბიარიცი" დარჩათ. საფრანგეთის ჩემპიონის ღირსებას გრეგუარ იაშვილის უმცროსი ძმა, დიმიტრი იცავს. "ბიარიცს" პლეი-ოფში "ბურგუენთან", "ტულუზთან" და "პოსთან" მოუწევს ჭიდილი. მეორე ჯგუფში კი "აჟენი", "სტად ფრანსე", "პერპინიანი" და "გრენობლი" გაარკვევენ ურთიერთობას.

ისტორიული ფოტო

## ეს იყო 14 წლის წინათ...




1989 წლის 5 აპრილი, მადრიდი.
ჩემპიონთა თასის მატჩი: "რეალი"-"მილანი" 1:1.
უგო სანჩესი და კარლო ანჩელოტი.

ფორმულა 1

# უფროსი „შუმი" „ფერარის" მიღმა

ნინო პირველი

მიხაელ შუმახერი ამქვეყნად ყველაზე წარმატებული პილოტია, ელვის სისწრაფით დააქროლებს თვალისმომჭრელ "ფერარის" და, ვითომცდა აქ არაფერიაო, აუტანელი სიმსუბუქით რბოლას რბოლაზე იგებს. ის ყოველთვის დიდების კვარცხლბეკზე დგას და მუდამ პირველია. ლეგენდარულ ფანხიოს უფროსმა "შუმიმ" დიდხანს არ აცალა ლეგენდად ყოფნა - შარშან მეხუთედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და რეკორდის დამყარების ბრწყინვალე შანსიც მიეცა. მიხაელი ყველაფერს ისე იოლად იგებს, ლამის გული ამერიოსო, - თქვა ამას წინათ ძმის გაუგონარი წარმატებებით თავმობეზრებულმა რალფმა. ნუთუ მართლა ასე ადვილია "ფორმულა 1-ის" ჯადოქრის ცხოვრება? მოდით, ერთად გავეცნოთ შუმახერის წარმატების რეცეპტებს:

პირველი, რაც "შუმის" უდიდეს სტიმულს აძლევს, ეს მისი მეუღლის, ქერათმიანი კორინას სიყვარული და მზრუნველობაა. კორინა ცდილობს, ყველა რბოლას დაესწროს და მუდამ "შუმის" გვერდით იყოს, მაგრამ თუ ამას ვერ ახერხებს, შეჯიბრების წინ აუცილებლად ურეკავს მეუღლეს.

"როცა რბოლას ვერ ვესწრები, მიხაელს ყოველთვის ვურეკავ. ორის ათ წუთზე ჩემს ოთახში ავდივარ, თხუთმეტ წუთზე მის ნომერს ვკრეფ. ვიცი, რომ ამ დროს "შუმი" ჩემს ზარს ელოდება. თუ ვერ ვუკავშირდები, ძალიან ვნერვიულობ, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. თუ ვერ დავურეკე, თვითონ მირეკავს. იცის, რომ მოუთმენლად ველი მასთან დალაპარაკებას", - ამბობს კორინა.

რბოლის წინ რაც ხდება, "შუმიმ" დეტალურად აღწერა ავტობიოგრაფიულ წიგნში "Schumacher – Driving Force". "შაბათი ჩემთვის ყველაზე მძიმე დღეა. ტრასაზე პირველი ბრიფინგი რვა საათზე იწყება. ზოგჯერ საუზმეს ვერ ვასწრებ და საჭმელი თან მიმაქვს. მართალი გითხრათ, იტალიური სამზარეულო ძალიან მომწონს. არაჩვეულებრივი მზარეული გვყავს, მის მომზადებულ სპაგეტის არაფერი შეედრება. რბოლის დაწყებამდე მოზრდილ ულუფას გეახლებით, დღის ბოლოს კი ისეთი დაღლილი ვარ, საწოლამდე ძლივს ვაღწევ", - ამბობს "შუმი".




შამპანურს მხოლოდ ჩემპიონები სვამენ.

უაღრესად მძიმე დღის რეჟიმის გამო შუმახერი ხშირად გამოძინებასაც ვერ ასწრებს და ამ დანაკლისს რბოლის დაწყებამდე აინაზღაურებს. "რბოლის წინ აუცილებლად მჭირდება ცოტა ხნით დასვენება და განტვირთვა. ამისთვის გულდასმით ვარჩევ მყუდრო ადგილს, სადაც თავისუფლად შევძლებ წამოწოლას. თუ ვერ დავწექი, დასვენებას ვერ ვახერხებ. ბევრჯერ ბოქსშიც წამოვწოლილვარ ცოტა ხნით. ეს არცთუ ისე მოსახერხებელია, განსაკუთრებით ბრაზილიაში, სადაც პატარა ბოქსებია. როცა ასეთ ადგილს ვიპოვი, თვალებს ვხუჭავ და კუნთებს ვადუნებ, შეიძლება, ჩამეძინოს კიდეც. მერე კი ახალი ენერგიით აღსავსე ვიღვიძებ", - ყველა საიდუმლოს ანდობს მკითხველს შუმახერი. უკვე ხუთი წელია, "შუმი" რეგულარულად ასრულებს ამ პროცედურას და რბოლის წინ წაძინება ლამის ჩვევადაც კი ექცა. "ვერ ვიტყვი, რომ ტრასაზე გასვლის წინ ძილი აუცილებლად მჭირდება, მაგრამ, 1998 წლიდან მოყოლებული, ასე ვიქცევი და ვგრძნობ, რომ ეს ნახევარსაათიანი ძილი ჩემზე ძალიან კარგად მოქმედებს", - ამბობს შუმახერი.

რას აკეთებს "შუმი" ისეთ დღეებში, როცა რბოლა არ არის? ყველაფრისგან თავისუფალი, ბუნებრივია, არც მაშინაა. დასვენების დღეებშიც ვარჯიშობს, შეჯიბრებისთვის ემზადება. "თუ რბოლა არა გვაქვს, ფორმის შესანარჩუნებელ ვარჯიშებს ვასრულებ. ხან მოტოციკლზე ვზივარ, დავცოცავ, სპეციალურ ვარჯიშებს ვაკეთებ მკერდის, ყელის და მკლავების გასაძლიერებლად. ხანდახან ფეხბურთსაც ვთამაშობ. ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებს", - ასეთია "შუმის" თავისუფალი დრო.

და მაინც, რა არის მისი წარმატების საიდუმლო? როგორც თვითონ ამტკიცებს, ალბათ, გუნდისა და ტიფოზების სიყვარული. "ჩემი შვილები ჯერ პატარები არიან და კარგად არ ესმით, რა საქმიანობას ეწევა მათი მამა. გამარჯვებებს, რა თქმა უნდა, მათაც ვუძღვნი, მაგრამ, პირველ ყოვლისა, მე გუნდისა და გულშემატკივრებისთვის ვიმარჯვებ. მათ გარეშე არაფერს აზრი არ ექნებოდა. ერთ დღეს კი, როცა რბოლას თავს დავანებებ და შინ დავჯდები, დარწმუნებული ვარ, ბედნიერი კაცი ვიქნები, რადგან მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად ცხოვრება დიდ სიამოვნებას მიანიჭებს", - მომავლის სურათს ხატავს შუმახერი.

ჯერჯერობით კი "შუმი" პენსიაში გასვლას არ აპირებს. ის დღესაც შესანიშნავ ფორმაშია და, ვინ იცის, "ფერარისთან" ერთად, კიდევ რამდენჯერ გააოცებს სპორტულ სამყაროს "ფორმულა 1-ის" მფრინავი პილოტი...

კრივი

# ერთჯერადი საკრივო ისტორია

ბიგა გურასაშვილი

*თურმე, ესეც შესაძლებელი ყოფილა. "პატარას" "დიდთან" გაუვიდა. თუმცა, ამას ვინ წარმოიდგენდა? 1897 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც ბობ ფიცსიმონსმა მე-14 რაუნდში ჯეიმს კორბეტი ნოკაუტში ჩააგდო, ალბათ, ყველაზე თამამი ვარაუდითაც წარმოუდგენელი ჩანდა ის, რომ ფიცსიმონსის მსგავს წარმატებას სხვაც მიაღწევდა. 106 წლის წინანდელ საკრივო ორთაბრძოლაში უჩვეულო ის გახლდათ, რომ მეტოქეები წონა-ზომაში ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. თუმცა, საუკუნის წინანდელსა და გუშინდელ ლასვეგასურ შერკინებას შორის მსგავსებაშიც განსხვავებაა. თუ ფიცსიმონსი კორბეტზე 7 კილოგრამით მსუბუქი იყო, როი ჯონს-უმცროსსა და ჯონ რუისს შორის სხვაობა 15 კილოგრამს შეადგენდა. აბა!*

ნებისმიერ საკრივო დაპირისპირებას, მით უფრო, თუ სასწორზე ერთ-ერთი პრესტიჟული საჩემპიონო სარტყელი დევს, სეირის მოყვარულთა არმიაც თან სდევს. ეს არმია გუშინაც მრავალრიცხოვანი იყო. ლას-ვეგასი WBA (ასოციაციის) მძიმეწონოსანთა სატიტულო ორთაბრძოლას მასპინძლობდა. "ტომას და მაკ ცენტრში" იყვნენ როგორც კრივის სამყაროს გავლენიანი თუ ცნობილი პიროვნებები, ისე მსოფლიოს შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები. ყველას ერთი რამ სურდა: გამხდარიყო ისტორიული მომენტის თვითმხილველი. ვიტალი კლიჩკო, დევიდ ტუა, ლენოქს ლუისი... ეს ის ხალხია, ვინც 12-რაუნდიან საბრძოლო პერიპეტიებს საკუთარი კომენტარებით ამდიდრებდნენ. ლასვეგასური შეხლა კი, მართლაც, ისტორიული გახლდათ. გამჭრიახ პრომოუტერთა წყალობით, რინგზე გავიდნენ თანამედროვეობის უძლიერესი მოკრივე, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ნახევრად მძიმე წონაში, 34 წლის ამერიკელი როი ჯონს-უმცროსი და WBA მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში, 31 წლის პუერტორიკოელი ჯონ რუისი. ინტრიგა კი მოკრივეებს შორის განსხვავებულ ზომა-წონაში მდგომარეობდა. მას შემდეგ, რაც მოკრივეები ერთმანეთს წარუდგინეს და ამერიკის ჰიმნიც იმღერეს, რეფერი ჯეი ნეიდიმ ბრძოლის დაწყება ბრძანა. მატჩი დაიწყო სწორედ ისე, როგორც ვარაუდობდნენ.



ჯონ რუისმა როი ჯონსის მუშტი იგემა.

REUTERS

რუისი თავიდანვე იერიშზე გადავიდა. უნდოდა, ძლიერი დარტყმებით დროზე მოეგვარებინა საქმე, მაგრამ, მისი უპირატესობა მეორედ ჩამოკრული გონგის ჟღარუნა ხმასავით გაიფანტა. ცოტა ხნის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ტექნიკური როი ჯონსის გატეხვა იოლი არ იქნებოდა.

სხვათა შორის, როდესაც კრივის მახვშები ჯონსისა და რუისის შესაძლო სტრატეგიაზე მარჩიელობდნენ, ვარაუდობდნენ, რომ რუისი, მძიმე წონის გამო, შეეცდებოდა, საქმე პირველ ოთხ რაუნდში მოეგვარებინა, ხოლო ჯონსის სტრატეგიაში საწყისი რაუნდების გადალახვას, შესაბამისად, მეტოქის დაქანცვასა და შემდგომ იერიშებზე მიუთითებდნენ. ექსპერტთა ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა. მეორე რაუნდიდან აშკარა გახდა: თუ რუისი ვითარებას არ გაამწვავებდა და ერთს გემრიელად არ მოსცხებდა ჯონსს, ტიტულს უნდა გამომშვიდობებოდა. პუერტორიკოელიც ცდილობდა, მაგრამ უპირატესობას ვერ აღწევდა. მესამე რაუნდში ჯონსის ჯები და ჰუკი ერთმანეთის მონაცვლეობით ეხეთქებოდა ცხვირ-პირში. ბოლოს ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს, როი ჯონსი სამხრეთამერიკელს დასცინოდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი აშკარა იყო. 12 რაუნდამდე გაწელილმა ორთაბრძოლამ ნოკდაუნების გარეშე ჩაიარა. ამიტომ გამარჯვებულის გამოსავლენად მსაჯების ჩარევა გახდა საჭირო. ერთმა მსაჯმა, როის სასარგებლოდ, 118:110 დათვალა, მეორემ – 117:111, ხოლო მესამემ – 116:112. ერთი სიტყვით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც "პატარამ" "დიდი" დაამარცხა. ამასთან, როი ჯონს-უმცროსი ისტორიაში შევიდა.

აღფრთოვანებას ვერ ფარავდა მსოფლიო ჩემპიონი ლენოქს ლუისი, რომელსაც მატჩის დასრულებისთანავე სთხოვეს კომენტარი. როდესაც ლუისს ახლად გამომცხვარ ჩემპიონთან მისი შესაძლო დაპირისპირების პერსპექტივაზე ჩამოუგდეს სიტყვა, უფრო სწორად, ჰკითხეს, მისი ჩხუბის მანერას თავად რას დაუპირისპირებთო, ლუისმა უპასუხა: "როი ჯონსი მძიმე წონის ღირსეული ჩემპიონია. მართალია, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისი ჩხუბის მანერამ, მაგრამ, რაც შეეხება იმას, შევხვდებით თუ არა ერთმანეთს, ეს სხვა თემაა და ამაზე ლაპარაკს არ მოვყვები. ვერც იმას გეტყვით, თუ რას შეძლებს ჩემს წინააღმდეგ".

თავად ჩემპიონი კი მეტისმეტად გახარებული ჩანდა და საკუთარ თავს ბაქიბუქის უფლებაც მისცა.

"მხოლოდ ალის შეეძლო მსოფლიოს შოკირება ისე, როგორც ეს მე შევძელი. ამ ბრძოლით მე ისტორია გამოვაწრთე. ბევრი მირჩევდა, რინგზე მერბინა და სტილი შემეცვალა. მე კი სულაც არ ვაპირებდი ამის გაკეთებას. სანამ როი ჯონსი არ დამარცხდება, არ შეცვლის საკუთარ საბრძოლო სტილს, - განაცხადა ჯონსმა და იქვე სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა, - სულაც არ ვაპირებ, მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონობის შესანარჩუნებლად ვიბრძოლო. მე ჩემი ჩანაფიქრი შევასრულე. ერთადერთი ბრძოლის ჩატარება მსურდა. მაინტერესებდა, რას შევძლებდი. ეს ერთჯერადი ამბავი გახლდათ".

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების ქვითარი

მიიღება მხოლოდ კერძო პირების განცხადებები

ბინები. ავტომობილები. ცხოველები.

3.03.03 N-60

## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**

ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“

დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**

“ჩემი გალაკტიონი”, რეჟ. ელდინო სალარაძე

დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**

“ვენეციელი ვაჭარი”, რეჟ. ლევან წულაძე

დას: 20:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**

სტუდენტური სპექტაკლის პრემიერა

“ედუარდო დე ფილიპოს ცილინდრი”, რეჟ. გიორგი სავანელი

დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**უნივერსი**

მამუკა მიქელაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ორიენტი**

“კოლექციიდან კოლექციამდე 3”, წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

### კინოთეატრები

**"ამირანი"**

“აბა დამიჭირე”

დას: 13:00; 16:00; ფასი 5,6 ლარი

“სიმონა”

დას: 19:00; 21:30; ფასი 8,9 ლარი

**"ელისო"**

“შპიონი ბავშვები 2”

დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი

“სოლარისი”

დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

“მოატყუე ყველა”

დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**"რუსთაველი"**

“შპიონი ბავშვები 2”

დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი

“მოატყუე ყველა”

დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

“სოლარისი”

21:30 სთ; ფასი 10 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომერით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით-სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

### მიწის ნაკვეთი

იყიდება ოთხოთახიანი ბინა მიცკევიჩზე, ახალაშენებულ კორპუსში, მე-9 სართ. 93-91-91, 899 19-55-19.

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

### კომერც. ფართი

იყიდება სასადილო "მონა-ლიზა" ყავისფერი როიალი "როინიში" და სამეული "710". 95-88-11.

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

ვიგირავებ ბინას 1000 $-ის ფარგლებში. 60 66 28, 8(93) 24 19 24 ვახო, 8(77) 74 58 70 ელისო

### მანქანები

იყიდება ავტომანქანა „შკოდა-ოქტავიას“ ნებისმიერი სათადარიგო ნაწილები. 8(99) 50 33 53

### სწავლება

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას. ფასი 15 ლარი. მეცადინეობა ინდივიდუალური მეთოდით. 98 80 23 ნიკო

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

### სხვადასხვა

ორხევის N19-ში, პროფილაქტიკაში აწარმოებენ ყველა სახის ინპორტული მიკროავტობუსების ჭერის ამაღლებას. 899 292358, 76727 რობერტი.

კვალიფიციური თარჯიმანი ამზადებს გერმანულ ენაში. სასურველია ჰქონდეს კარგი საფუძველი. ტელ: 39-85-30 ოთარი.

**სავენახე რკინა-ბეტონის ახალი ბოძები და ლუზები. მოთუთიებული და სპეციალურად ქიმიურად მდგრადი პოლიმერით დაფარული მავთულები.**
**ტ/ფაქსი 94 27 15, 94 26 47**

**გეპატიჟებათ კაფე-რესტორანი „იმედი“**
გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.
**სანდრო ეულის ქ. 1. 8(93) 21 76 12**




**გვესაჭიროება!**

**მდივანი**: ახალგაზრდა მანდილოსანი ინგლისური და რუსული ენების, აგრეთვე, კომპიუტერის კარგი ცოდნით (სწრაფი ბეჭდვა ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე), სასურველია, ჰქონდეს მუშაობის გამოცდილება.

**ბუღალტერი:** ახალგაზრდა მანდილოსანი უმაღლესი საბუღალტრო განათლებით, ბუღალტერიის საერთაშორისო სტანდარტების მცოდნე (სასურველია იყოს ფაბის მიერ სერთიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი), კომპიუტერისა და საგადასახადო კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნით, მუშაობის სამწლიანი გამოცდილებით.

ანაზღაურება შეთანხმებით. მიღება მოხდება გასაუბრების და მოთხოვნათა შემოწმების საფუძველზე ადმინისტრაციის შეხედულებისამებრ. მსურველებმა სავალდებულოა წარმოადგინონ:

განათლების დამადასტურებელი საბუთი და სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მოთხოვნებთან შესაბამისობას: ავტობიოგრაფია; ორი ფოტოსურათი. განცხადების მიღების ბოლო ვადა 3.03.03

საკონტაქტო ტელეფონები: **98-65-45, 98-65-68, 92-09-04**.

იყიდება ახალი და მეორადი სამედიცინო ტექნიკა: ექოსკოპი, ელექტროდანა, ახალშობილთა რეანიმაციის მოწყობილობა და გერმანული ლაბორატორია. 93 49 62, 8(99) 53 63 95

გვესაჭიროება ტრაქტორისტი, რომელიც შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს წალკის რაიონში და აგრეთვე პროფესიონალი მეფუტკრე. 79 62 34, 8(99) 98 17 43







## TV პროგრამა 3 მარტი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა“
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა“
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ახალგაზრდა ამერიკელები“ მთ. რ-ში: ჰარვი კაიეტელი
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

09.00, 12.00, 15.00, 20.00 „მოამბე“
09.10 მულტსერიალი „ბელფეგორი“
09.35 მხ. ფილმი „აღორძინების ეპოქის ადამიანი“
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 „ცირკი“
13.55 „თბილისი და თბილისელები“
14.25 უკრავს ირმა გიგანი
15.15 მხ. ფილმი „ორი ღამე კლეოპატრასთან ერთად“
16.30 კალათბურთი. თბილისი „დინამო“ - ბათუმის „ბასკო“. შესვენებისას - „რამპა“
18.00 ტელევიზიის ოქროს ფონდიდან - „ხანუმა“
18.20 სატ. ფილმი „დედის ხელი“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „მრავალჟამიერ“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.50 მღერის ირმა სოხაძე
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
22.55 ირმა სოხაძე (გაგრძელება)
00.00 მხ. ფილმი „ამელი“

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით ქართული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „პიკის საათი“ მთ. როლ-ში ჯეკი ჩანი
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 უცნობი
00.00 ფილმი ბრავო „ბრძოლა ეშმაკთან“ მთ. როლში ტობი მაგუაიერი
01.40 ფილმი ღამურა „სადედოფლო ბრძოლა „ მთ. როლ-ში ტაკეში კიტანო
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.30 დოკ. ფილმი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „კაპიტანი ფრაკასია“

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „კოსმოსის ტყვეობაში“
10.20 მხ.ფ. „მაცდურის დღიური“
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია“
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „მფარველი ანგელოზი“
22.40 „ბურთი და მოედანი“
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „დიდი იმედები“
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.00 რუსული ენის გაკვეთილი
11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „ვარსკვლავები გვამცნობენ“
13.00 დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში“
13.30 მხ. ფილმი „უპატიებელი“
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინარული
20.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
21.30 პირველი ნაბიჯები
22.00 მუსიკალური პაუზა
22.30 ინდური კინო. მხ. ფილმი „დიახ მე შენ მიყვარხარ“

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი
15.00 მხ. ფილმი „მრბოლელი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „დიკ ტრეისი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „განკიცხულნი“

### მეცხრე არხი

10.00 მხ. ფილმი „ჩრდილში“
11.45, 12.45, 17.50, 18.25, 21.55, 23.50 მუსიკა
12.00 მულტფილმი „კასპერი-მოჩვენებების შობა“ 1-ლი ნ.
13.00 დოკ. ფილმი „ფოტოროგოტი“ მე-2 ს.
13.50 მარიონეტების ფილმი „ყორჩალები“ 1-ლი ს.
14.10 „ბელისიმო“
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 „მსოფლიო ფეხბურთი“
15.15 დოკ. სერიალი „ცხოვრებისეული გამოცდილება“ 1-ლი ს.
16.00 მხ. ფილმი „ჯოჯოხეთში მიმავალი მატარებელი“
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა“ მე-6 ს.
18.40 მულტფილმი „ალექსი“ მე-12 ს.
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 126-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი“
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი“
22.00 „ტელემეტრი“
22.15 მხ.ფილმი „წარმატების ფორმულა“
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი“
00.45 მხ.ფ. „მადა“

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 მულტფილმი „აბა, დამაცადე!“
10.00 საგავშვო ფილმი „ჰეიდი“ 1 სერია
12.15 ისტორიული ფილმი „რანი“
14.50 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი
17.35 კომედია „ადამიანი რეპტილია“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
19.20, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.35 დოკუმენტური ფილმი
20.00 დრამა „ედემი“
22.50, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.55, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.00 „ალტერნატივა“ საავტორო გადაცემა
01.00 დრამა „მკაცრი ადამიანები“
03.30 თრილერი „ინსტინქტი“

### VII არხი

09.25 „აჩიკუდა“
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 სპორტი
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 „ობიექტივი“-სტუმარი (გამეორებით)
12.50 კომპიუტერული ტექნიკა
13.40 დისნეი და მისი მეგობრები
14.00 კომპიუტერული თამაშები
14.15 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა“
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
20.55 კომპიუტერული თამაშები
21.10 „ლა-ლა-ლა“
22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.25 „კინოკლუბი „ - „ელ სიდი“ . 1 სერია. ისტორიული. როლებში: სოფი ლორენი
00.20 მობილურები
01.10 „გიორითმი“ - ოლეგ გაზმანოვი

### ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Детектив „Без единой улики“
12.05 Большие родители. А.Поскребышев
12.40 Следствие ведет Колобков
13.15 Худ.фильм „По дороге домой. Потерянные в Сан-Франциско“
15.00 „Путешествия натуралиста“
15.30 Док. детектив „Заложник любви“
16.15 Комедия „Где находится нофелет?“
18.00 „Большая стирка“
19.25 „Шутка за шуткой“
20.00 Жди меня
21.00 „Кто хочет стать миллионером?“
22.00, 00.30 Время
22.40 „Последний герой 3“
23.40 Независимое расследование
00.55 „На футболе“ 01.25 „Новый день“. „Жертвы инопланетян“ 00.55 „Новый день“. „Формула власти“

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Худ.фильм „Фантом“
11.45, 18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Тайна испанского сундука“
13.20 В „Городке“
13.30 Вести недели
14.30 Вести-Москва. Неделя в городе
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Трое против всех“
17.15 Сериал „Простые истины“
17.45 Экспертиза
18.50 Дорожный патруль
19.05 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Мэр“
22.55 Сериал „Кобра“. „Груз“
23.50 „Вести +“
00.20 Док.фильм „Сталин. Некоторые страницы личной жизни“, 1 с.
01.15 „Дежурный по стране“
02.10 „Футбол России“

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 7“
11.00 Сегодня утром
11.20 „Истории охотника за крокодилами“
11.45 Вкусные истории
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Растительная жизнь“
12.35 Вы будете смеяться!
13.05 Боевик „Неудержимые“
14.30 „Тайны Красной планеты“. „Профессия - репортер“
14.50 Криминал
15.05 „Женский взгляд“
15.35 Детектив „Она написала убийство“
16.35 „Принцип „Домино“
18.05 Сериал „Гангстерские войны“. „Роковая коллекция“
19.15 „Внимание! Розыск!“ „Без лица“
20.40, 00.20 Сериал „Тайны следствия“
21.45 Сериал „Бандитский Петербург“. „Адвокат“, 3 с.
23.00 „Страна и мир“
23.40 Сериал „Секс в большом городе“
01.25 Гордон



# ახალი დისკი კუბიდან

*ზუსტად ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გაყიდვაში გამოვიდა ზე-წარმატებული ალბომის **Buena Vista Social Club**-ის მეორე ნაწილი, რაი კუდერის ჰავანური მისიის მორიგი შედეგი – **Mambo Sinuendo** ("ტალღოვანი მამბო"). კუბური მუსიკის მსმენელები ინტერესით ეცნობიან კუდერის ამ ახალ ექსპერიმენტს და ვარაუდობენ, რომ "ტალღოვანი მამბოც" ძველ ალბომზე არანაკლებ წარმატებული იქნება. თუმცა, პროექტის ავტორი შიშობს, რომ მალე მას კუბაზე გამგზავრების უფლებას და ახალი ალბომის ჩაწერას, დიდი მუსიკალური რესურსების არსებობის მიუხედავად, აღარ მისცემენ. ვნახოთ, რა ბედი ელის კუბური მუსიკის პოპულარიზაციის საქმეს და ისიც, თუ როგორი სირთულეების ფონზე იქმნებოდა კუდერის ორი ცნობილი ალბომი..*

თამარ ბაბუაძე

### ჯერ კარგი ამბავი

**"წლების წინ ჰავანას ყოველ მეორე ბარში მუსიკალური სკივრი, ე.წ. ჯიუკბოქსი იდგა. ბარში შესული, ათ ცენტად ცივი ლუდით გაგრილდებოდი, ხოლო თუ დამატებით 5 ცენტსაც გაიმეტებდი, ჯიუკბოქსსაც დაუკრავდი. ძალიან ხშირად, ბარის თავზე შენი გელფრენდი ცხოვრობდა. და შენც, შეივლიდი ბარში – ვითომ ლუდის დასალევად და საყვარელ გოგონას სიყვარულს ჯიუკბოქსის საშუალებით აუხსნიდი..."** – ამ ამბავს 60-იანი წლების ცნობილი კუბელი გიტარისტი მანუელ გალბანი რაი კუდერს უყვება. ამ უკანასკნელსაც კუბისკენ სწორედ ამ სიტუაციის წარმოდგენა იზიდავს: მცხუნვარე მზე, მტვრიანი ქუჩები, ჩაბნელებული, გრილი, ნესტიანი ბარი, ჯიუკბოქსი, ლუდი და საყვარელი გოგონა: "როგორ შეიძლება გალბანის ისტორიამ არ აღგაფრთოვანოს? სწორედ ეს გახლავთ მთელი ამბის მთავარი არსი", - აცხადებს კუდერი და ალბომის Buena Vista Social Club-ის გამოშვების შემდეგ კუბაზე ახალი მუსიკალური მისიით ხელახლა მიდის...

კუდერმა ჰავანურ სტუდია "ეგრემში" მხოლოდ რამდენიმე კვირა გაატარა, შემდეგ კუბაზე შეგროვებული მასალები, ლოს ანჯელესში ჩაიტანა და იქ დაამუშავა. ჩანაწერები, რომლებიც ამ მოგზაურობისა და ერთწლიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა, გაერთიანებულია ახალ ალბომში Mambo Sinuendo ("ტალღოვანი მამბო"), რომელიც ევროპასა და ამერიკაში თებერვლის პირველ რიცხვებში გამოჩნდა. მარტში კი კუბური ჰანგების თაყვანისმცემლებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელით – კუდერის თაოსნობით გამოვა, Buena Vista-ს ერთ-ერთი მომღერლის, იბრაჰიმ ფერერის სოლო-ალბომიც Buenos Hermanos ("კარგი ძმები"). თუმცა, არის ერთი სამწუხარო სიახლეც: რაი კუდერი ეჭვობს, რომ ეს მისი უკანასკნელი კუბური ვიზიტი იქნება. მიზეზი კი პოლიტიკური გახლავთ, ანუ, ის ფაქტი, რომ ჯორჯ ბუშსა და აშშ-ს მთავრობას ფიდელ კასტრო და მისი რეჟიმი დიდად არ უყვარს.

### გმადლობთ, ბილ

**"კუბა – ეს იყო საოცარი მოგზაურობა დროის მანქანაში. მაგრამ როგორც კონკიას დაემართა, ჩემი დროც ამოიწურა: არა მგონია, უკან დაბრუნების უფლება კვლავაც მომცენ. 11 სექტემბრის შემდეგ კარი კიდევ უფრო მჭიდროდ მომიკეტეს..."** - აცხადებს კუდერი.

და არც თუ უსაფუძვლოდ – რომ არა ბილ კლინტონი, იყო შანსი, Mumbo Sinuendo, გამოსვლიდან ათიოდე დღის თავზე უკვე საოცრად პოპულარული ალბომი, საერთოდ არ შექმნილიყო. აი, რატომ:

ალბათ, კარგად გახსოვთ, რომ რაი კუდერის 1996 წელს გამოშვებული პირველი კუბური ბესტსელერი ალბომი "გრემის" მფლობელი გახდა. მაგრამ მაშინ კასტროს კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ დაწესებული ემბარგოს დარღვევისთვის აშშ-ს მთავრობამ მუსიკოსი ასი ათასი დოლარითაც დააჯარიმა. იქვე, კუდერს უბრძანეს, რომ მას ჰავანაში ახალი მუსიკალური ჩანაწერი სპეციალური ნებართვის გარეშე არ უნდა გამოეშვა.

ასე დაიწყო სამიოდე წლის წინ გაუთავებელი ბიუროკრატიული პერიპეტიები. ნებართვის მოპოვება ინსტანციიდან ინსტანციაში სირბილს ნიშნავდა. **"იმ გართულებების გამო, რაც პირველი ალბომის გამოშვებას მოჰყვა, ჭკუა ვისწავლეთ და ადვოკატები დავიქირავეთ. ისინი ჩვენს საკითხს მთელი წლის განმავლობაში ლობირებდნენ. გვიდგენდნენ დოკუმენტებს, ჩვენ კი კონგრესსა და სენატში დავდიოდით. სახელმწიფო დეპარტამენტი აშშ-ს ხაზინაში გვაგზავნიდა, ისინი კი უკან – სახელმწიფო დეპარტამენტში"** – იხსენებს კუდერი.

პრინციპში, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ამერიკელებმა რაი კუდერის გარშემო ეს მოჯადოებული წრე შეკრეს. 40 წლის ისტორიის მქონე ემბარგოს, რომელიც ამერიკის მოქალაქეს კუბაში "ეკონომიკურ საქმიანობას" უკრძალავს, გამონაკლისი ხომ არც ერთხელ არ ჰქონია. ბუნებრივია, ამერიკელი ჩინოვნიკები სანქციის შეცვლას არც კუდერისთვის აპირებდნენ. სწორედ ამიტომაც დააჯარიმეს ის 1996 წელს თვითნებური ქმედებისთვის – მუსიკოსს არ აპატიეს ის, რომ Buena Vista-ს ალბომმა კუბა ხანგრძლივი პოლიტიკური და კულტურული იზოლაციისგან გაათავისუფლა; რომ მან მსოფლიოს კვლავ გაახსენა, ამ ულამაზესი კუნძულის არსებობა – თავისი ფანტასტიკური ჰანგებით, ადამიანებითა და კულტურით.

ცხადია, კიდევ უფრო უპატიებელი იყო ის ფაქტი, რომ კუბური ალბომის გამოსვლა ქვეყნის ეკონომიკასაც წაადგა. მეტიც, ასეთი დალხენილი ცხოვრება კუბას მას შემდეგ არ ჰქონია, რაც ფიდელ კასტროს საბჭოთა დახმარება შეუწყვიტეს: Buena Vista მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შვიდმა მილიონმა ადამიანმა იყიდა, უფრო მეტმა ნახა ვიმ ვენდერსის ფილმი და მთელი ეს ხალხი მაშინვე კუბის დასალაშქრად გაემართა – ქვეყანას ტურისტები მიაწყდა.

ახლა თავადაც დარწმუნდებით, რომ რაი კუდერის ადვოკატები არ ტყუოდნენ, როდესაც 2000 წლის დასაწყისში მუსიკოსს უმტკიცებდნენ – **"კუბაზე მეორედ ჩასვლის და ალბომის ჩაწერის შანსი ნულის ტოლია"**. ასე – თითქმის ბოლო წუთებში, კუდერმა გადაწყვიტა კლინტონი, რომელსაც თეთრ სახლში ცხოვრებისა და ქვეყნის მართვის ერთი კვირაღა ჰქონდა დარჩენილი, პირადად ენახა...

რაც არ უნდა ჩაედინა აშშ-ს ექს-პრეზიდენტს, რამდენ მონიკა ლევინსკიზეც არ უნდა დაედგა თვალი, კუბური მუსიკის თაყვანისმცემლები მას, ალბათ, არასდროს დაუვიწყებენ მთავარს – კლინტონმა შეასრულა მუსიკისთვის უმნიშვნელოვანესი მისია, რაი კუდერისთვის 40-წლიან ემბარგოზე გამონაკლისი დაუშვა და მუსიკოსს ჰავანაში მუშაობის ერთწლიანი უფლება მისცა. ანუ, ნაწილობრივ, მისი დამსახურებაც გახლავთ ის, რომ დღეს მსოფლიოს უდიდეს მუსიკალურ მაღაზიებში კუბური სექცია ისევე დიდია, როგორც ასე პოპულარული აფრიკული მუსიკის განყოფილება...

როგორც თავადაც მიხვდით, კლინტონის დამსახურებაა ისიც, რომ სრულიად ლეგალურად დღის შუქი იხილა Mambo Sinuendo-მაც – Buena Vista-ს სერიის ახალმა დისკმა, რომელიც იმედია, მალე თბილისშიც გამოჩნდება. თუმცა, თითქმის ხელჩაქნეული რაი კუდერი აცხადებს, რომ მას კუბაზე დაბრუნების უფლებას ამ ეტაპზე უკვე აღარ მისცემენ. უარყოფითი განაჩენის გამოტანაში თავის როლს ითამაშებს 11 სექტემბერი და გლობალური ტერორიზმის საფრთხეც. **"ბევრი კარგი იდეა მაქვს. ჰავანაში უამრავი მასალა და წყაროც მეგულება, მაგრამ, ალბათ, ბუშის ადმინისტრაცია ჩემთვის გამონაკლისს არ დაუშვებს"**, - ეჭვობს ის.


ომარა პორტუნადო, რუბენ გონსალესი და კომპაი სეგუნდო


კომპაი სეგუნდო და ფიდელ კასტრო


კომპაი სეგუნდო და ომარა პორტუნადო


Buena Vista Social Club-ის დასი

### მამბო კარიბულ ტალღებზე

ასე რომ, ჯერჯერობით, მსმენელი Mambo Sinuendo-ს ამარა რჩება, ალბომის, რომელსაც კუდერი ახასიათებს, როგორც "ხელოვნურად დამუშავებულს". "Buena Vista მხოლოდ ოდნავ შევალამაზეთ და გავაშალაშინეთ. მისი ჩაწერა მაგნიტოფონში აუდიო-კასეტის ჩადებას და პირდაპირ დაკვრას ჰგავდა. ეს კი დამუშავებულია", - აცხადებს ის. მართლაც, სტუდია "ეგრემში" გაკეთებული ჩანაწერები ლოს ანჯელესში წაიღეს და იქაურ სტუდიაში რამდენიმე თვის განმავლობაში ამუშავებდნენ, ჭრიდნენ და ამონტაჟებდნენ სიმღერებს.

50-წუთიანი დისკიდან ორი ელექტრო-გიტარის, ორი წყვილი დასარტყამი ინსტრუმენტის, კონგებისა და ბასის ხმა ილვრება. კრიტიკოსთა შეფასებით, ეს გახლავთ 50-იანი წლების მამბო-ჯაზის დამუშავებული, გადახალისებული ვერსია. **"ვიგრძენი, რომ არჩეული გზის შეცვლა იყო საჭირო. იმიტომ, რომ კუბურ ჩანაწერებზე სულ ერთი და იგივე სტილით ვმუშაობდით. ასე გადავწყვიტეთ, შეგვექმნა ინსტრუმენტული ჩანაწერები, ელექტრო-გიტარით"**, - განმარტავს კუდერი. ეს კი უკვე სრულიად ახლებური მიდგომაა ჰავანური ჰანგების მიმართ. კუბა ხომ ის ქვეყანაა, სადაც ელექტრო-გიტარამ ფეხი ბოლომდე ვერ მოიკიდა.

ასე რომ, უკვე დადგა დრო, როდესაც კუბური მელოდიებით თამაში, მათზე ახალი ექსპერიმენტების ჩატარებაც შეიძლება. რაი კუდერიც აცხადებს: **"Buena Vista-ს საშუალებით საზოგადოება კუბურ მუსიკას ვაზიარეთ. ამ ერთ დისკში კი მათ მიეცათ შანსი, მოესმინათ ამ ქვეყნის საუკეთესო მუსიკოსებისთვის... ანუ, Buena Vista ერთგვარი გახურება, ძრავის ჩართვა იყო. ახლა ძრავა სრული, ცხენის ძალით მუშაობს. მთელი ეს კუბური ამბავი შენც უკეთეს მუსიკოსად გაქცევს – იმიტომ, რომ ისინი არიან ასე კარგები. ისინი თავისკენ გიზიდავენ, გექაჩებიან და შენც სწავლობ და სწავლობ"**...

დაბოლოს, ერთი საინტერესო დეტალი: Mambo Sinuendo რაი კუდერის საკუთარი ხმის ჩამწერი ხაზით – Perro Verde-თი (მწვანე ძაღლი) გამოვიდა (ეს უცნაური სახეც კუდერმა ჰავანაში აღმოაჩინა). ამიერიდან, ყველა კომპაქტ-დისკი, რომელსაც მუსიკოსი ჩაწერს, სწორედ ამ სამარკო ნიშნით გამოვა. კუდერი ამბობს: "მწვანე ძაღლის" ნიშნით გამოვუშვებ მუსიკას, რომელიც მიყვარს, მაგრამ რომელიც კომერციული თვალსაზრისით, აბსოლუტურად გამოუსადეგარია".

---

კალეიდოსკოპი

### ფემინისტები ჰოლივუდის წინააღმდეგ

ფემინისტური მოძრაობის წარმომადგენლებმა კამპანია წამოიწყეს, რომელიც "ოსკარსა" და მთელს ამერიკულ კინოინდუსტრიაში "თეთრი მამაკაცების ბატონობის" წინააღმდეგაა მიმართული.

ორგანიზაცია, რომელსაც "პარტიზანი გოგონები" ჰქვია, ლოს ანჟელესში სარეკლამო აბრას გამოაკრავს. მასზე აშშ-ს სენატში ქალების მცირე რაოდენობასა და კინოინდუსტრიაში მათ უმცირეს რაოდენობას შორის პარალელი იქნება გავლებული.

"აშშ-ს სენატიც კი ჰოლივუდზე პროგრესული გამოდგა!" ეს აქცია ასეთი დევიზით ტარდება. "პარტიზნების" მონაცემების თანახმად, ასი სენატორიდან 14 ქალია, რეჟისორი ქალები კი მხოლოდ 4 პროცენტს შეადგენენ. "ავღანეთის დროებითი მთავრობაც კი უფრო გონებაგახსნილი აღმოჩნდა – იქ ქალები 6 პროცენტს შეადგენენ," ბრაზობენ "პარტიზნები", რომლებიც 1999 წლიდან ყოველწლიურად ატარებენ ჰოლივუდში ადამიანთა შორის უთანასწორობის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს.

### მოდის "დიდების დარბაზი"

ამერიკული კინოს ვარსკვლავებს ჰოლივუდის ბულვარზე საკუთარი "დიდების დარბაზი" აქვთ. მალე მათ ბედს მოდის ცნობილი სახეებიც გაიზიარებენ. სახელგანთქმულ და დაფასებულ მოდელიერებს "დიდების ქუჩას" ბევერლი ჰილსის ყველაზე პოპულარულ და მდიდრულ სავაჭრო უბანში – როდეო დრაივზე გაუკეთებენ. პირველი, ვინც იქ დაიდებს ბინას, ჯორჯო არმანი იქნება. 68 წლის მილანელი დიზაინერი ჰოლივუდში მართლაც დიდი დამსახურებებით გამოირჩევა. ჯერ კიდევ 1980 წელს, სწორედ არმანიმ შექმნა რიჩარდ გირის გარდერობი ფილმისთვის "ამერიკელი ჟიგოლო". მას შემდეგ არმანი ჰოლივუდელი ვარსკვლავების საყვარელ დიზაინერად იქცა. ჯოდი ფოსტერმა და მიშელ პფაიფერმა "ოსკარის" ცერემონიალზე მისი კაბები პირველებმა ჩაიცვეს. შემდეგ მილანელი დიზაინერის კოსტუმებით მამაკაცებიც მოიხიბლნენ და შარშანდელ "ოსკარზე" არმანის პიჯაკით უკვე რასელ ქროუ იწონებდა თავს. 2000 წელს შრომა მილანელ დიზაინერს ნიუ იორკის გუგენჰეიმის მუზეუმმაც დაუფასა და მოაწყო შოუ "ჯორჯო არმანი". თუმცა, მალე გავარდა ხმები, რომ ამ ექსპოზიციის გამართვისთვის მუზეუმმა არმანის კომპანიისგან მშვენიერი საჩუქარი – 15 მილიონი დოლარი მიიღო.

არმანის ვარსკვლავს როდეო დრაივის ტროტუარში 19 მარტს, საზეიმო ცერემონიალზე ჩადგამენ.

## დღეს
ორშაბათს, 3 მარტს



**1966 წელი: ნიდერლანდების პრინცესა ბეატრისი გერმანელ დიპლომატზე, კლაუს ფონ ამსბერგზე დაქორწინდა**

**1847 წელი: დაიბადა ალექსანდერ გრემ ბელი, რომელმაც ტელეფონი გამოიგონა.**

**1875 წელი: პარიზის სცენაზე ისტორიაში პირველად შესრულდა ბიზეს ოპერა "კარმენი".**

**1924 წელი: ქემალ ათათურქმა თურქეთში ხალიფატი გააუქმა.**

**1995 წელი: კალიფორნიელს, რომელმაც ერთი ნაჭერი პიცა მოიპარა, 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ის ახლადმიღებული კანონის პირველი მსხვერპლი გახდა.**

**2002 წელი: ბრიტანული ტალანტების ტელე-შოუს გამარჯვებული უილ იანგი გახდა ყველაზე სწრაფად გაყიდვადი სინგლის ავტორი. სინგლის Evergreen/Anything is Possible-ის- გამოსვლიდან პირველი კვირის განმავლობაში გაიყიდა 1.108.269 ეგზემპლარი.**

© GRAPHIC NEWS







პროფესიული ზანვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო
"იმიჯ-ცენტრი"

# ნარგიზები და ტოპ-მოდელი კიბოს წინააღმდეგ

ბრიტანელი მოდელი, ჯოდი კიდი, კიბოთი დაავადებულთა თავშესაფრების და სახლებისთვის თანხების შეგროვების საქმეში ჩაება. კამპანიას, რომლის "სახეც" მშვენიერი ჯოდი კიდი გახდა, "ნარგიზების დღე" ჰქვია, და ამიტომ სარეკლამო ფოტოსურათებზე ის ნარგიზებით სავსე აბაზანაშია გამოსახული.

დიდ ბრიტანეთში ნარგიზების დღე 8 მარტს გაიმართება. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ დაახლოებით 40 წლის წინათ გახსნილ კიბოთი დაავადებულთა პირველ სახლში ორი მილიონი გირვანქა სტერლინგის შეგროვებას შეძლებენ. შემოსული თანხა ათი თავშესაფრის, კვლევითი ცენტრისა და ავადმყოფების მოვლის სამსახურის ფინანსირებას მოხმარდება.

თავად ჯოდი კიდისთვის ქველმოქმედება აშკარად იზიდავს. ის სულ ცოტა ხნის წინათ წითელი ჯვრის საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრი გახდა. "ჯოდის ერთ-ერთი ჩვენი წევრის მეშვეობით დავუკავშირდით, " მოყვა წითელი ჯვრის ორგანიზაციის თავმჯდომარე, "მასთან ურთიერთობა ახლახანს დავიწყეთ. ძალიან გვიხარია, რომ შემოგვიერთდა და ვიმედოვნებთ, რომ ჯოდი ჩვენს საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს."

მოდელი მართლაც ენთუზიაზმით აღივსო. ამას წინათ ის ინდოეთიდან, გუჯარათიდან დაბრუნდა, სადაც წითელი ჯვრის სხვა წევრებთან ერთად 2001 წლის მიწისძვრით დაზარალებული ოჯახები მოინახულა. გარდა ამისა, ჯოდის რეგულარულად მოუწევს ინგლისის დედოფალთან შეხვედრა, რომელიც დიდ ბრიტანეთში წითელი ჯვრის პრეზიდენტი და მფარველია.

წითელი ჯვრისთვის ჯოდი საუკეთესო წარმომადგენელი გამოდგა – თავისი მდგომარეობის და პოპულარობის წყალობით, ის მთელი მსოფლიოს გასაგონად შეძლებს ამა თუ იმ პრობლემის შესახებ საუბარს. გარდა ამისა, ჯოდი, როგორც მოდელი, ახალგაზრდა აუდიტორიასაც მიმართავს, რაც წითელი ჯვრის "დაბერებას" შეაჩერებს.

ცოტა ხნის წინათ ჯოდიმ თავის მეგობართან, ტარკინ საუტუელთან ერთად ლონდონში პოლოს სკოლა გახსნა – ოფიციალური ვერსიის თანახმად, ერთი ხანა სწორედ პოლოს სიყვარულით ჰქონდა პოდიუმი მიტოვებული. ამას ერთი უსიამოვნო ინცინდენტიც დაერთო: ჟივანშის მოდელიორის, ალექსანდრ მაკ ქუინის სადებიუტო ჩვენებაზე მას გული წაუვიდა: "ისეთი კორსეტი ჩამაცვა, რომ წელი 54-დან 40 სანტიმეტრამდე დამიპატარავდა, ველარ ამოვისუნთქე".


ჯოდი კიდი - ანგელოზი

მოდელის პროფესია ჯოდის არასოდეს მოსწონდა: ერთი წლის წინათ Dayli Telegraph-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ ბიზნესთან "კოშმარული მოგონებები" აკავშირებს, და მოდელები აუტანელ ხალხად მიაჩნია: "ნორმალურად მხოლოდ სინდი (კროუფორდი) მექცეოდა. ჰელენს (კრისტენსენს) ორი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ ჩემთან დალაპარაკება ეკადრა, კეიტ მოსს კი არ მოვწონდი და არც ახლა ვეხატები გულზე, ალბათ იმიტომ, რომ მე ყველაფერი მაქვს, რაც მას არ ღირსებია." დიდ მოდაში დაბრუნების მიზეზი ჯოდიმ ძალიან კონკრეტულად ჩამოაყალიბა: "ფულის გამო. მრავალი ადამიანი ერთი წლის განმავლობაში მუშაობს იმის შესაგროვებლად, რასაც მე ერთ დღეში ვაკეთებ. უნდა ვაღიარო, რომ მოდელობა დიდად არ მომწონს, მაგრამ რომ ვიცოდე, რომ ფულის გაკეთება შემიძლია და არ ვაკეთებ, ნამდვილად შევიშლები."

თუმცა, საფრანგეთის რამდენიმე დიზაინერმა მასთან მუშაობაზე უარი განაცხადა – ძალიან გასუქდაო, - ჯოდის ეს გულთან ახლოს არ მიუტანია: "ახლა ბევრად სექსუალურად ვგრძნობ თავს. ადრე იმას მსაყვედურობდნენ, ისეთი გამხდარია, რომ ამთქნარებს, კაბა ძვრებაო. თან, როგორც იქნა, მკერდი მეღირსა! იმასაც ვხვდები, რომ ადრე სულ ვილაცა მმართავდა. ამიერიდან უფრო ჭკვიანურად მოვიქცევი."

როგორც ჩანს, ჯოდი კიდი ქველმოქმედის გარდა, ფრიად გონიერი ქალბატონიც ბრძანდება.

# მოულოდნელი და ფასდაუდებელი საჩუქარი


ანრი მატისი "საუზმე"

ანრი მატისის 100 ნამუშევარი და მეოცე საუკუნის სხვა მხატვრების სურათები საჩუქრად გადასცეს მეტროპოლიტენ მუზეუმს ნიუ ორკში. ეს ყველაზე დიდი საჩუქარია მუზეუმისთვის ბოლო 50 წლის მანძილზე, განაცხადა მუზეუმის წარმომადგენელმა ჰაროლდ ჰოლზერმა – "ჩვენ ამაყები და აღელვებულები ვართ, ეს თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი დიდი კოლექციაა". ეს მოულოდნელი საჩუქარი, რომელიც 100 მილიონ დოლარადაა შეფასებული, მეტროპოლიტენმა მიიღო ფონდიდან, რომელიც მატისის შვილის პიერ მატისის და მისი მეუღლის მარიგაეტანი მატისის სახელს ატარებს.

პიერ მატისი რომელიც 1989 წელს გარდაიცვალა, საკუთარი გალერეა ჰქონდა მანჰეტენზე. მეტროპოლიტენისთვის გადაცემული სურათები მისი კოლექციის ნაწილი იყო.

მუზეუმი მომავალი წლისთვის გეგმავს მატისის გამოფენის მოწყობას სადაც მისი სურათები, ნახატები და ქანდაკებები იქნება წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, მატისის შემოქმედებითი ცხოვრება გრძელი და სავსე იყო. იგი თავისი სამხატვრო კარიერის დროს სხვადასხვა სტილს მიმართავდა, დაწყებული აბსტრაქციით და დამთავრებული თითქმის აბსტრაქციით.

# სექსი არაბულად

ისრაელში პირველ ებრაულ-არაბულ პორნო ფილმს იღებენ, რომელიც მალე ისრაელის კინოთეატრებში გამოვა. ფილმში მთავარ როლს არაბი ბიჭი ჰალედი შეასრულებს. მისი პარტნიორის როლს კი რუსი ებრაელი საბრინა ითამაშებს, რომელიც მეტად სოლიდურ ანაზღაურებას მიიღებს. ჰალედს და საბრინას იმედი აქვთ, რომ ეს ფილმი ებრაელებსა და არაბებს შორის დაძაბულობას მოხსნის, მათ სჯერათ რომ ეს ორი ხალხი შესძლებს სიყვარულსა და მეგობრობაში ცხოვრებას.

ფილმში "სასიყვარულო სამკუთხედი" არაბი ბიჭი ებრაელ გოგონას გაიცნობს, მათი ურთიერთობა სექსით გვირგვინდება. ამის შემდეგ მთავარი გმირი მეგობარ ბიჭს სთავაზობს სარეცლის გაყოფას და სამი ახალგაზრდა ჯგუფური სექსის საღამოს აწყობს. ფილმის ცენტრალური იდეა იმაში მდგომარეობს, რომ სექსი შეიძლება არაბებისა ებრაელების დაახლოების საწინდარი გახდეს.

ექსპერტთა აზრით, ამგვარი მიდგომა აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ისრაელში მცხოვრები არაბების ტრადიციებს და ეს მათ რეპუტაციას შელახავს.

ცოტა ხნის წინ ისრაელის კომაპანია Sex Style-მა გასაყიდად გამოიტანა ეროტიული კასეტა "იუსეფი და ფატიმა". როგორც ფირმის დირექტორი ამბობს, როცა გაიგეს რომ ფილმში არაბი მსახიობები მონაწილეობენ, კასეტაზე ნადირობა გაჩაღდა და იგი ათასობით ებრაელმა შეიძინა. გარდა ამისა sex Style-ის ოფისში არაბმა ბიჭებმა დაიწყეს მისვლა, რომლებიც ამბობდნენ, რომ სიამოვნებით ითამაშებენ პორნო ფილმებში ებრაელ გოგონებთან ერთად.

ისრაელში სექსის ინდუსტრია დიდად განვითარებულია. ქვეყანაში არსებობს პორნო არხი, ათეულობით ფირმა სხვადასხვა სახის ეროტიული პროდუქციით ვაჭრობს. მრავალრიცხოვან საროსკიპოებში კი უცხოეთიდან ჩამოყვანილი გოგონები მუშაობენ. ყოველწლიურად ისრაელში 3 ათასი უცხოელი გოგონა ხვდება და როგორც ამბობენ, ძირათადად, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან.

## სკანდინავიური კროსვორდი




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24



## წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის
ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, ტელ: 202424 ფაქსი: 202425, e-mail: public@24hours.ge

იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში